



# საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა

## CONSTITUTIONAL LAW REVIEW

დეკემბერი/DECEMBER, 2023 (სპეციალური ნომერი/ SPECIAL ISSUE)

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის რეფორმა  
კონსტიტუციონალური საფარველოები: გამოწვევების ანალიზი  
საბჭოთა მემკვიდრეობითობის ფრილში

ადვოკატი – პროფესია თოტალიტარული  
სისტემის ჩრდილში

ეკონომიკური და საკანონმდებლო ცვლილებები:  
მიწასთან დაკავშირებული პრაქტიკებისა და მორალის  
სიმრავლე დუშეთის სოფლებში

COMMUNITY POLICING REFORM IN POST-SOVIET GEORGIA:  
DECODING THE PERSISTENT CHALLENGES THROUGH  
SOVIET LEGACIES

ATTORNEY – A PROFESSION IN THE SHADOW OF  
THE TOTALITARIAN SYSTEM

ECONOMIC AND LEGISLATIVE TRANSFORMATIONS:  
LAND PRACTICES AND MORALITIES IN VILLAGES OF DUSHETI

**მრჩეველთა საბჭოს წევრები:**

**გიორგი კაკაუაშვილი**

საბჭოს თავმჯდომარე. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. სამართლის სკოლის დეკანი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე

**პარეზი მაკრაილი**

ადვოკატი, მონეტონის პალატები, გრეის ინი, ლონდონი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი და ბირმინგემის უნივერსიტეტის საპატიო უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

**ანდრეუ შიო**

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი. ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მოწვეული პროფესორი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე.

**კარმენ შვარცი**

ვაშინგტონის იურიდიული კოლეჯის პროფესორი, ამერიკული უნივერსიტეტი, ვაშინგტონი.

**ნუნა წოწოია**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე.

**ლვილ მაქროუ**

The New York Times-ის ვიცე-პრეზიდენტი და მთავარი

იურისტის მოადგილე, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი

**სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე:**

**კონსტანტინე ვარკელაშვილი**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე

**სარედაქციო საბჭოს წევრები:**

**ირაკლი ფორჩხიძე**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**სოფიო ნაქაძე**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი, ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების რეფორმის პროგრამის მენეჯერი

**რიჩარდ ვოლფერი**

სასექსის უნივერსიტეტის პროფესორი

**გიორგი ჩიტიძე**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პედაგოგი. სამოქალაქო საზოგადოების ფონდის ადამიანის უფლებების პროგრამის მენეჯერი

თარჯიმანი:

საპა ბრაჟუელი

რედაქტირება:

გიორგი ჩიტიძე

გარეკანის დიზაინი:

ხათუნა ჭიკაძე

დაკაბადონება:

ქეთევან მოგვაძე



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE



**USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა  
USAID RULE OF LAW PROGRAM**

მოცემულ ნომერში დაბეჭდილი სტატიები მომზადდა და გამოიცა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. სტატიების შინაარსზე სრულად პასუხისმგებლები არიან ავტორები და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან/და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

This special issue of the journal was made possible with the support of the USAID Rule of Law Program, funded by the United States Agency for International Development (USAID) through the East-West Management Institute (EWMI). The views expressed in this special issue are the sole responsibility of the authors and do not necessarily reflect the views of USAID and/or EWMI.

ISSN 1987-9962 უაკ (UDC) 34  
ს-396

ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშუქვრების ციტირებისას, გთხოვთ გამოიყენოთ შემდეგი მოდელი:  
ავტორის გვარი, სახელი, (გამოცემის წელი). სტატიის სათაური. ჟურნალის სახელწოდება, ნომერი, გვერდი/გვერდები.

Please cite as follows:

Last, F. M., & Last, F. M. (Year Published). Article title. Journal Name, Volume (Issue), pp. Pages.

# სარჩევი

გიორგი მელაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, მალხაზ ნაკაშიძე, ლაშა შაინიძე, გიორგი ჩიტიძე საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის რეფორმა პოსტსაბჭოთა საქართველოში: მემოვებების ენალიზი საბჭოთა მემკვიდრეობითობის ჭრილში	3
ირაკლი ხვადაგიანი ადვოკატი - პროფესია ტოტალიტარული სისტემის ჩრდილში	23
მარიამ დარჩიაშვილი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები: მიწის დეკოვიზაცია პრაქტიკაში და მოსახლის სიმრავლე დუშეთის სოფლებში	44
GIORGI MELADZE, MARIAM LORTKIPANIDZE, MALKHAZ NAKASHIDZE, LASHA SHAINIDZE, GIORGI CHITIDZE COMMUNITY POLICING REFORM IN POST-SOVIET GEORGIA: DECODING THE PERSISTENT CHALLENGES THROUGH SOVIET LEGACIES	58
IRAKLI KHVADAGIANI ATTORNEY - A PROFESSION IN THE SHADOW OF THE TOTALITARIAN SYSTEM	74
MARIAM DARCHIASHVILI ECONOMIC AND LEGISLATIVE TRANSFORMATIONS: LAND PRACTICES AND MORALITIES IN VILLAGES OF DUSHETI	93



გიორგი მალაქა \* მარიამ ლორთქიფანიძე\*\*  
მალხაზ ნაკაშიძე\*\*\* ლაშა შანიძე\*\*\*\* გიორგი ჩიტიძე\*\*\*\*\*

# საზოგადოებრივი ორიენტირებული პოლიციის რეფორმა პოსტსაბჭოთა საქართველოში: გამომწვევების ენალიზი საბჭოთა მემკვიდრეობითობის ზრდილში

## პოსტსაბჭოთა

პოლიციის რეფორმა დამოუკიდებელი პოსტსაბჭოთა საქართველოს რეფორმების დღის წესრიგში მუდმივად იდგა, თუმცა მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოხვდა რეფორმა მთავარ პრიორიტეტთა სიაში. კორუფციასთან, ძალადობასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ასოცირებული პოლიცია შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ნდობის საგრძნობ ნაკლებობას განიცდიდა. ასევე არსებითი იყო საბჭოთა გავლენები პოლიციის კულტურაზე.

რეფორმის მხარდამჭერები ყოველთვის უსვამდნენ ხაზს პოსტ-ტოტალიტარული პოლიციის დემოკრატიულ ინსტიტუტებად გარდაქმნის მნიშვნელობას და ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად სხვადასხვა გამოცდილებებს განიხილავდნენ. სტატია მიმოიხილავს საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებული პოლიციის 2017 წლის რეფორმას, როგორც დემოკრატიული საპოლიციო სისტემური სისტემის ერთ-ერთ შემადგენელს და ანალიზებს რეფორმის არსებით მახასიათებლებს.

რეფორმების ეფექტიანი განხორციელების ხელშემშლელ ფაქტორებად მოიაზრებოდა პოლიტიკური აქტორები, ფინანსების ნაკლებობა, პროფესიონალი კადრების ნაკლებობა და ა.შ. ეს კვლევა ამტკიცებს, რომ საქართველოში დემოკრატიული საპოლიციო სისტემის რეფორმებზე გავლენა ასევე შეიძლება მოეხდინა საბჭოთა სისტემის მემკვიდრეობითობას და ამ ფაქტორს სათანადო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კვლევა არ აფასებს ამ მემკვიდრეობითობის რეალური ზემოქმედების მასშტაბს, მას შემოაქვს მემკვიდრეობითობის განზომილება და გვთავაზობს, რომ ეს ფაქტორი განიხილებოდეს, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც, შესაძლოა, შეაფერხოს დემოკრატიული საპოლიციო სისტემისკენ სწრაფვა. გარდა

ამისა, მიგვაჩნია, რომ პოლიციის რეფორმის მიმდინარე ინიციატივებს შეიძლება შეზღუდული ეფექტურობა ჰქონდეთ, თუ მემკვიდრეობითობითი არაგუმენტი ყურადღების მიღმა დარჩება.

**საკვანძო სიტყვები:** საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია, დემოკრატიული საპოლიციო სისტემიური სისტემა, პოლიციის რეფორმა საქართველოში, საბჭოთა მემკვიდრეობითობითობა

## შესავლი

პოლიციის ცნებას რომაელებამდე მივყავართ. მათ მემკვიდრეობითობით მიიღეს ტერმინი „პოლიტია“ ბერძნებისგან, რომელიც საბოლოოდ გახდა ლათინური „პოლიცია“<sup>1</sup>. ეს ტერმინი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „პოლისი“, რომელიც აღნიშნავს ქალაქს. თანამედროვე ტერმინი – „პოლიტიკა“ ამ ტერმინიდან მომდინარეობს. ადრეულ შუა საუკუნეებში ძალაუფლების მქონე სხვადასხვა ისნტიტუტები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ურბანული ცხოვრების სხვადასხვა მდგენელის, მათ შორის: ქუჩების, ბაზრებისა და სიცოცხლისა და ქონების დაცვის კონტროლს. მხოლოდ საფრანგეთში ფრანს I-ის მეფობის პერიოდში (1494-1547) დაიწყო თანამედროვედ ცნობადი პოლიციის ფორმირება.

ფუკოს ანალიზი პოლიციური ძალაუფლებისა და პასტორალიზმის შესახებ სახელმწიფო ხელისუფლებისა და მოსახლეობის მმართველობას შორის ურთიერთკავშირს უსვამს ხაზს. პასტორალიზმი – მმართველობის რეჟიმი, რომელიც ახასიათებს არა მხოლოდ სასულიერო ავტორიტეტებს, არამედ სოციალურ მუშაკებსა და ექიმებს – აძლიერებს სახელმწიფოს კონტროლს ინდივიდებზე, განსაკუთრებით მათზე, ვინც რისკის ქვეშაა. როგორც ფუკო ამტკიცებს, თავდაპირველი პოლიცია არ იყო თანამედროვე პოლიციური უფლებამოსილების მქონე საჯარო ორგანო. პასტორალიზმისა და პოლიციური ძალაუფლების ურთიერთკავშირმა შექმნა ის სისტემა, რომელიც დღეს არსებობს და ეს ევოლუცია სახელმწიფო ხელისუფლების ევოლუციის დემონსტრირებაცაა<sup>2</sup>.

მეთვრამეტე საუკუნეში, განსაკუთრებით პრუსიაში, პოლიციის ინსტიტუტის გადამწყვეტი გარდაქმნა მოხდა. პოლიციის განვითარებაზე გავლენა ეკონომიკურმა, სოციალურმა და სამხედრო პოლიტიკამ მოახდინა. პრუსიელი ფრიდრიხ ვილჰელმისა და მისი მემკვიდრეების მიერ ინიცირებულმა რეფორმებმა ყოვლისმომცველი პოლიციური სახელმწიფოს წარმოქმნას დაუდო სათავე. „Polizeistaat“-ის ან პოლიციური სახელმწიფოს დაარსება სამ მთავარ მიზანს ისახავდა: მოსახლეობის დაცვას, სახელმწიფოსა და მოქალაქეთა კეთილდღეობაზე ზრუნვასა

1 Brian Chapman, *Police State, Key Concepts in Political Science* (Pall Mall Press, 1970; University of Michigan, October 13, 2008)

2 Mariana Valverde, „Police, Sovereignty, and Law: Foucaultian Reflections,” in Markus D. Dubber and Mariana Valverde, eds., *Police and the Liberal State* (Redwood City, CA, 2008; online ed., Stanford Scholarship Online, June 20, 2013).

და საზოგადოების გამოსწორებას. ამან გამოიწვია მჭიდროდ ორგანიზებული და მკაცრად ადმინისტრირებული სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც ამ მრავალფეროვანი საჭიროებების დაკმაყოფილება შეეძლო. პირველი Polizeistaat სახელმწიფოს მიერ მის მოქალაქეებზე ძალაუფლების გაძლიერებასა და საზოგადოების კეთილდღეობის ხელშეწყობას ემსახურებოდა.<sup>3</sup>

მეოცე საუკუნეში შედგა კონსენსუსი, რომ პოლიციური საქმიანობა უაღრესად კომპლექსური საქმე გახლდათ. მეცნიერებმა და სამართლის მკვლევარებმა აღიარეს პოლიციის ოფიცრების ხელში არსებული ფართო დისკრეციის პრობლემა, მათი ქმედებების თვითნებური ხასიათი. შეთავაზებულ იქნა სხვადასხვა გზა პოლიციის დისკრეციის შესაბოჭად, მათ შორის – სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკანონმდებლო გზებითა და საზოგადოების ჩართულობით. თუმცა, თანდათან ცხადი გახდა, რომ პოლიციის თანამშრომლების წინაშე არსებული არაპროგნოზირებადი და მრავალფეროვანი გამოწვევები უფრო ნიუანსურ მიდგომას ითხოვდა, რაც მარტივი წესებით ვერ ამოიწურებოდა.<sup>4</sup>

პოლიციის ისტორიულმა დაყოფამ, რომელიც ხშირად სახელმწიფოს სტრუქტურულიდან იღებს სათავეს, პოლიციის მოდელის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია. „სპეციალიზებული“ პოლიციური უფლებამოსილება, როგორც წესი, დაკავშირებულია ცენტრალიზებულ სახელმწიფო ხელისუფლებასთან და არისტოკრატიულ მმართველობასთან, ხელს უწყობდა ვერტიკალური კონტროლის დამყარებასა და კანონებისა და რეგულაციების მკაცრ აღსრულებას. ამის საპირისპიროდ, „ყოფითი“ პოლიციური უფლებამოსილებები მოიცავს საზოგადოებაზე ორიენტირებულ და წესრიგის დაცვის დეცენტრალიზებულ მეთოდებს. ამ ორ მექანიზმს შორის არსებულმა ისტორიულმა წინააღმდეგობამ პოლიციის მოდელის ევოლუციას და მათი საზოგადოებრივი როლის გააზრებას შეუწყო ხელი.<sup>5</sup>

დემოკრატიული საპოლიციო სისტემის იდეის ქართულ რეალობაში შემოტანა აუცილებლად საჭიროებს არსებული ვითარების ღრმა გააზრებას. პოლიციის რეფორმა პოსტსაბჭოთა კონტექსტში მნიშვნელოვანი გამოწვევაა.<sup>6</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ისწრაფვის დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული თანამედროვე სამართალდამცავი აპარატის შექმნისკენ, საბჭოთა წარსულის კვალი კვლავაც შესამჩნევია. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების „კლუბში“ საქართველო ერთ-ერთია, ვისაც აქტიურ რეფორმატორად მიიჩნევენ და ამ რეპუტაციის ინერცია დღესაც მოჰყვება სისტემას. საქართველოს განვლილი გზის – საბჭოთა ისტორიიდან დამოუკიდებლობის აღდგენამდე და შემდგომი პერიოდის – ერთობლიობაში გააზრება დაგვეხმარება დემოკრატიული საპოლიციო სისტემის რეფორმის უკეთ აღქმაში.

სამოქალაქო ომი, შიდა ტერიტორიული კონფლიქტები, ყოვლისმომცველი კორუფცია და ორგანიზებული დანაშაული ის ფაქტორებია, რომლებსაც გვერდს ვერ ავუვლით 90-იან წლებში საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურებზე მსჯელობისას. მოქალაქეთა პირადი დაუ-

---

3 Brian Chapman, *Police State, Key Concepts in Political Science* (Pall Mall Press, 1970; University of Michigan, October 13, 2008)

4 Liqun Cao, Lanying Huang, and Ivan Sun, „From Authoritarian Policing to Democratic Policing: A Case Study of Taiwan,” *Policing and Society* (2015).

5 Brian Chapman, *Police State, Key Concepts in Political Science* (Pall Mall Press, 1970; University of Michigan, October 13, 2008)

6 Erica Marat, „Reforming the Police in Post-Soviet States: Georgia and Kyrgyzstan” (Carlisle Barracks, PA: Strategic Studies Institute and U.S. Army War College Press, November 2013).

ცვდობის მძიმე განცდას, რაც არაფორმალური აქტორებისგან, ორგანიზებული კრიმინალისგან მომდინარეობდა, დისფუნქციურ და დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული პოლიციელები მხოლოდ აუარესებდნენ. რეფორმის გამოწვევა უზარმაზარი იყო და სამოქალაქო ომის შემდგომ მთავრობას კრიმინალური ბანდების ინტერესებსა და სახელმწიფოს მშენებლობის მიზანს შორის ბალანსების პოვნა უწევდა.

ჩვენ გვესმის ზემოთ აღწერილი რთული დინამიკა და ამ მოკლე ნაშრომში თემის სრული კომპლექსურობის განხილვა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვკონცენტრირდებით საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის რეფორმაზე – უფრო ფართო დემოკრატიული საპოლიციო სისტემის რეფორმის ერთ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს კომპონენტზე. ჩვენ ვასახუთებთ, რომ ამ რეფორმის წინაშე მდგარი გამოწვევების სრულად აღსაქმელად, აუცილებელია გავითვალისწინოთ ისტორიული მემკვიდრეობითობა, რომელმაც საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურების ქცევის ჩარჩოები შექმნა.

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის რეფორმა დღის წესრიგში დიდი ხანია დგას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო პოლიციის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საკანონმდებლო ჩარჩოში ხაზს უსვამს დანაშაულის პრევენციას, როგორც უმთავრეს პრიორიტეტს და საზოგადოებაზე ორიენტირებულ პოლიციას ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ გზად ასახელებს. დანაშაულის ეფექტიანი პრევენციის ვალდებულება ასევე გათვალისწინებულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებით (AA). ევროკომისია აქტიურად აკონტროლებს და აფასებს დანაშაულის პრევენციის ვალდებულების შესრულებას, როგორც ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შემდგომი მონიტორინგის პროცესის ნაწილს.

სამინისტრომ საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვის მცდელობა 2005 წელს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში პატრულ-ინსპექტორთა სამმართველოს დაარსებით დაიწყო. პატრულის ინსპექტორები, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით მუშაობდნენ, ახორციელებდნენ საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ ფუნქციებსა და მოვალეობებს, აუმჯობესებდნენ საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმებს და ასე ემსახურებოდნენ დანაშაულის პრევენციის მიზანს, რაც სტანდარტულ საოპერაციო პროცედურებში იყო მითითებული.

2006 წელს უზნის ინსპექტორის სამსახური კრიმინალური პოლიციის დაქვემდებარებაში გადავიდა. შემდგომში, რესურსების შეზღუდვის გამო, უზნის ინსპექტორთა სამსახურმა ფუნქციური ცვლილებები განიცადა, შეითავსა რა ოპერატიული და საგამოძიებო უფლებამოსილებები. შედეგად, უზნის ინსპექტორთა სამსახურს შეექმნა გამოწვევები საზოგადოებასა და პოლიციას შორის თანამშრომლობის მექანიზმების ჩამოყალიბებასა და COP-ის ისეთი პრინციპების ინტეგრირებაში, როგორიცაა პარტნიორობა და ნდობის მშენებლობა.

2007 წლიდან და მას შემდგომ, რაც მთავრობამ ეუთოსთან თანამშრომლობით რეფორმის პროექტი დაიწყო, დანაშაულის პრევენციის მექანიზმების გასაძლიერებლად საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის დანერგვის რამდენიმე მცდელობა განხორციელდა. თუმცა, რეფორმის ინიციატორების მიერ გადადგმული ფაქტობრივი ნაბიჯები არ გასცდა პოლიციის თანამშრომლებისთვის ჩატარებულ ტრენინგებს, ასევე შეზღუდული იყო საჯარო საინფორმაციო კამპანიებისა და საჯარო განათლების კამპანიების ფარგლები. ეს იყო ჩარჩო, რომელშიც გა-



ნიხილებოდა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია და მოცემული სტატია ასაბუთებს, რომ გადაწყვეტილების მიმღებ წრეებში ეს დამოკიდებულება არც შემდგომ ეტაპებზე შეცვლილა.

შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის #215 ბრძანება<sup>7</sup> დემოკრატიული საპოლიციო სისტემის მიზნების მისაღწევად უფრო კომპლექსური რეფორმის საჭიროებაზე მიუთითებდა. საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფცია მიღებულ იქნა შემდგომი რეფორმის სამართლებრივი საფუძვლების დასადგენად.<sup>8</sup> კონცეპტუალური დოკუმენტის შემდეგ მთავრობამ სამსჯელოდ რამდენიმე მოდელი წარმოადგინა, თუმცა მხოლოდ 2018 წელს გადაიდგა ახალი ნაბიჯი. 2017 წლის რეფორმით, რაიონული პოლიციის მოქმედი თანამშრომლები საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის თანამშრომლებით („მართლწესრიგის ოფიცრები“) ჩანაცვლდნენ.

ეს მოკლე სტატია მიზნად ისახავს წვლილი შეიტანოს იმ პრობლემებისა და შესაძლებლობების გაგებაში, რომლებსაც საქართველო დემოკრატიული საპოლიციო სისტემის განხორციელების პროცესში აწყდება. ავტორებს საქართველოში სამართალდამცავი სისტემის რეფორმასთან მუშაობის პირადი გამოცდილება აქვთ, რაც რთული სურათის უკეთ აღქმაში ფასადაუდებელ სამსახურს უწევს მკვლევარს. შემდეგ ნაწილებში განვიხილავთ დემოკრატიული საპოლიციო სისტემისა და საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის თეორიულ საფუძვლებს. ასევე ჩავუღრმავდებით კონკრეტული რეფორმებს, რომლებიც საქართველომ დემოკრატიული საპოლიციო სისტემის მისაღწევად დანერგა. გამოწვევებისა და შესაძლებლობების სრულყოფილად აღსაქმელად, განვიხილავთ მართლწესრიგის ოფიცერთა ბოლოდროინდელ რეფორმას საქართველოში, ვიმსჯელებთ საბჭოთა მემკვიდრეობითობაზე, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს განხორციელებაზე.

## მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგია შემუშავდა კვლევის მთავარი მიზნიდან გამომდინარე. მიზანი კი იმის გარკვევაა, თუ რამდენად გაზიარებულია საბჭოთა მემკვიდრეობითობის არგუმენტი საქართველოს სამართალდამცავი სისტემის კვლევისას აკადემიურ ლიტერატურაში, პოლიტიკის ჩარჩოსა თუ კანონმდებლობაში. ეს კონკრეტული ინსტიტუტი ისტორიულ არგუმენტზე დაყრდნობით შევარჩიეთ – საპოლიციო ინსტიტუტებში საზოგადოების ჩართულობის გარკვეული მოდელი საბჭოთა კავშირის დროსაც არსებობდა და მისი დაშლის შემდეგაც, 90-იან წლებში და მოგვიანებითაც გაგრძელდა. სწორედ ეს მოცემულობა გვაძლევს

---

7 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის ბრძანება #275 საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ

8 იქვე.

შესაძლებლობას, დავაკვირდეთ ინსტიტუტის განვითარების დინამიკას და გამოვიტანოთ დასკვნები.

სტატია სამაგიდო კვლევის მეთოდს ეფუძნება და საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ქართული რეფორმის სხვადასხვა ასპექტის აღმოსაჩენად, მიმოიხილავს აკადემიურ სტატიებს, პოლიტიკის დოკუმენტებსა და საკანონმდებლო რეგულაციებს, ასევე ანალიზებს მას „მემკვიდრეობითობის მატრიცის“ ფარგლებში, რომელიც შემუშავებულია ბრაიან ტეილორის მიერ რუსეთში სამართლებრივი მემკვიდრეობითობის კვლევის მაგალითზე. მემკვიდრეობითობის არგუმენტი, რომელიც საყოველთაოდ გამოიყენება მკვლევრების მიერ, რუსეთის პოსტსაბჭოთა გამოცდილებაზე გასაანალიზებლად გამოიყენა ტეილორმა.<sup>9</sup>

მემკვიდრეობითობის არგუმენტი წარმოადგენს ღირებულებების, გამოცდილებისა და პრაქტიკის კომპლექსურ სიმბიოზს, რომელიც საქართველოს კონტექსტში უფრო დეტალურ განხილვას იმსახურებს. ჩვენ გვესმის, რომ ამ სტატიის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სრული სურათის აღწერა შეუძლებელია. ამიტომ არსებულ კვლევას წარმოგიდგენთ, როგორც დისკუსიის დაწყების მცდელობას. სამწუხაროდ, მწირია სამართალდამცავი ინსტიტუტების საქმიანობასთან დაკავშირებული საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემები. ეს სიმწირე გავლენას ახდენს ჩვენს კვლევაზეც და ზღუდავს მის ფარგლებს. თუმცა, სტატია მაინც ინოვაციაა ქართული კონტექსტისთვის, რადგან ის ცდილობს გამოიკვლიოს არგუმენტი, რომელიც საქართველოში პოლიციის რეფორმის მკვლევრების მიერ ძირითადად იგნორირებულია. ჩვენი მიზანია მემკვიდრეობითობის ელემენტის შემოტანით გავამდიდროთ არსებული დისკუსია და უფრო ფართო პრიზმით დავინახოთ სისტემაში არსებული გამოწვევები.

## მემკვიდრეობითობის არგუმენტის განმარტებისთვის

ჯეისონ ვიტენბერგი მემკვიდრეობითობას განსაზღვრავს, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური გარდაქმნისას წარმოქმნილ „კრიტიკულ გადაკვეთებს“ წარმოიქმნილ შედეგს, რომლებიც პოლიტიკის ახალ ფორმებს ადგენენ.<sup>10</sup> მემკვიდრეობითობა არ არის მხოლოდ წარსულის ნარჩენები, არამედ წარმოადგენს გრძელვადიან კავშირებს, რომლებიც რჩება მათი საწყისი მიზეზების გაქრობის შემთხვევაშიც.<sup>11</sup> თუმცა, მემკვიდრეობითობის არგუმენტებისთვის მტკიცების ტვირთი უფრო მაღალია, ისეთ ინსტიტუციურ პრაქტიკებთან დაკავშირებით, რომლებიც შედარებით გავრცელებულია სხვადასხვა ფუნქციურ სფეროებში, როგორცაა სამართა-

9 Brian D. Taylor, "From Police State to Police State? Legacies and Law Enforcement in Russia," in *Historical Legacies of Communism in Russia and Eastern Europe*, eds. Mark Beissinger and Stephen Kotkin (Cambridge: Cambridge University Press, 2014), 128–51.

10 Jason Wittenberg, „Conceptualizing Historical Legacies,” *East European Politics and Societies* 29, no. 2 (2015): 366–378

11 Mark Beissinger and Stephen Kotkin, *Historical Legacies of Communism in Russia, and Eastern Europe* (Cambridge: Cambridge University Press, 2014).

ლდამცავი ორგანოები. მაგალითად, განსხვავება „სპეციალიზებულ“ (პოლიტიკურ) და „ყოფით“ (კრიმინალურ) პოლიციურ სისტემებს შორის, რომელიც ახასიათებს როგორც ქართულ, ისე საბჭოთა პოლიციას საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, არ არის უნიკალური ამ კონტექსტებისთვის, არამედ საკმაოდ გავრცელებული მახასიათებელია პოლიციისთვის მთელ მსოფლიოში. ამიტომ, სამართალდამცავი ორგანოების ქცევა და ორგანიზაცია არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს მხოლოდ მათ რუსულ ან პოსტკომუნისტურ წარმომავლობას, არამედ – პოლიციის მუშაობის თანდაყოლილ ბუნებაცაა.<sup>12</sup>

მეცნიერები ხაზს უსვამენ ისტორიული მემკვიდრეობითობის მუდმივ გავლენას პოსტკომუნისტურ სამართალდამცავ ორგანოებზე. რასმა კარკლინსი აღნიშნავს, რომ კონკრეტული საბჭოთა მემკვიდრეობა არის ოფიციალური პირების შესაძლებლობა, გამოიყენონ თავიანთი საგამოძიებო და სასამართლო უფლებამოსილება მოქალაქეებისა და პოლიტიკური კონკურენტების დასაშინებლად.<sup>13</sup> ეს მემკვიდრეობა, ღრმად ფესვგადგმული წარსულში, გრძელდება აწმყოშიც და გავლენას ახდენს სამართალდამცავი ორგანოების ქცევაზე.

ტილორი გამოკვეთს რუსული მმართველობის კომუნისტური, საბჭოთა და თუნდაც კოლონიური მემკვიდრეობის მნიშვნელობას და აჩვენებს, რომ ეს მემკვიდრეობა განაგრძობს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში სამართალდამცავი პრაქტიკის ფორმირებას.<sup>14</sup> ამ მემკვიდრეობითობას შემდეგი თვისებები ახასიათებს:

სახელმწიფო აპარატისადმი მორჩილების კულტურა – საბჭოთა ეპოქის სამართალდამცავი ორგანოები უპირატესად სახელმწიფოსა და პოლიტიკურ, და არა მოქალაქეთა მოთხოვნებს ასრულებდნენ. კანონის უზენაესობასისა და მოქალაქის უფლებებზე ზრუნვის მაგივრად სახელმწიფოსადმი მორჩილების კულტურა შეიძლება შენარჩუნდეს და გავლენა მოახდინოს მოქმედი სამართალდამცავების ქცევაზე. ამან, შესაძლოა, შეაფერხოს მათი შესაძლებლობა, მოერგონ დემოკრატიულ ნორმებს, რომლებიც სახელმწიფო ინტერესებზე უპირატესად მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მიიჩნევენ.

ანგარიშვალდებულების ნაკლებობა – საბჭოთა სისტემას ანგარიშვალდებულების შეზღუდული სისტემა ჰქონდა, რაკი სამართალდამცავი ორგანოები ხშირად მოქმედებდნენ დაუსჯეულად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რეჟიმის პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდნენ. ანგარიშვალდებულების ასეთი ნაკლებობა, შესაძლოა, ქართველ სამართალდამცავთა ქცევაზეც ახდენდეს გავლენას, რაც გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული პოლიციის პრაქტიკების ჩამოყალიბებას ართულებს.

პოლიტიკაში ჩარევა – საბჭოთა სისტემა პოლიტიკური მიზნებისთვის, მათ შორის განსხვავებული აზრის ჩასახშობად, სამართალდამცავი ორგანოების ინსტრუმენტალიზებას ახდენდა. სამართალდამცავ სისტემაში პოლიტიკური ჩარევის ამ მემკვიდრეობამ შეიძლება ქართული

---

12 Peter Andreas and Ethan Nadelmann, *Policing the Globe: Criminalization and Crime Control in International Relations* (Oxford: Oxford University Press, 2006).

13 Rasma Karklins, „Typology of Post-Communist Corruption,” *Problems of Post-Communism* 49, no. 4 (July/August 2002): 22–32.

14 Brian D. Taylor, „From Police State to Police State? Legacies and Law Enforcement in Russia,” in *Historical Legacies of Communism in Russia and Eastern Europe*, eds. Mark Beissinger and Stephen Kotkin (Cambridge: Cambridge University Press, 2014), 128–51.

პოლიციის დამოუკიდებლობა შეარყიოს. სამართალდამცავ უწყებებზე პოლიტიკური ზეწოლა შეიძლება გაგრძელდეს და მათ მიერ მიუკერძოებლად მოქმედებისა და კანონის უზენაესობის დაცვის ვალდებულებები შეაფერხოს.

იერარქიული სტრუქტურა – საბჭოთა ეპოქის სამართალდამცავ ორგანოებს მკაცრად იერარქიული სტრუქტურა ჰქონდათ, რომელიც ცენტრალურ კონტროლსა და ავტორიტეტზე იდგა. ასეთი ცენტრალიზებული სტრუქტურა შეიძლება აფერხებდეს დეცენტრალიზაციისა და საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მიდგომებს, რომლებიც ხშირად ასოცირდება დემოკრატიულ პოლიციასთან. ამან შეიძლება ადგილობრივ საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე რეაგირების ნაკლებობამდე მიგვიყვანოს.

დაშინება – საბჭოთა სამართალდამცავი ორგანოები საგამომძიებო და სასამართლო უფლებამოსილებებს მოქალაქეებისა და პოლიტიკური მეტოქეების დასაშინებლად იყენებდნენ. დაშინების ამ მემკვიდრეობამ შეიძლება ხელი შეუშალოს მოქალაქეებს სამართალდამცავ ორგანოებთან კონტაქტში, დანაშაულის შესახებ შეტყობინებაში ან პოლიციასთან თანამშრომლობაში. ამან შეიძლება შეარყიოს საზოგადოების ნდობა და თანამშრომლობა, რაც აუცილებელია ეფექტიანი დემოკრატიული საპოლიციო სისტემისთვის.

საიდუმლოების კულტურა – საბჭოთა კვბ-ის საიდუმლოებისა და თვალთვალის კულტურა შეიძლება შენარჩუნდეს სამართალდამცავ უწყებებში, რაც გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას უფრო დიდ გამოწვევად აქცევს. მან შეიძლება დააკნინოს საჯარო და სამოქალაქო საზოგადოებისთვის ინფორმაციის გაზიარების მზაობა, რაც ხელს უშლის პოლიციის ძალებისადმი ნდობისა და ღიაობის ჩამოყალიბების მცდელობებს.

ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა – ბიუროკრატიულ სისტემებს ხშირად აქვთ ბუნებრივი წინააღმდეგობა ცვლილებების მიმართ. ღრმად ფესვგადგმული საბჭოთა მემკვიდრეობის მქონე სამართალდამცავმა უწყებებმა შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიონ რეფორმებს, რომლებიც მიზნად ისახავს მათ გარდაქმნას პოლიციის დემოკრატიულ ინსტიტუტებად. პოლიციის რიგების შიგნიდან მომდინარე წინააღმდეგობამ შეიძლება შეანელოს ან შეუძლებელი გახადოს პროგრესი დემოკრატიული საპოლიციო სისტემისკენ.

დამატებით, ასევე ხშირია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პოლიციელების მიერ სამსახურის დროს ძალადობის მაღალი მაჩვენებელი. ამ ძალადობას ხშირად პასუხობს აგრესიული და მტრულად განწყობილი მშვიდობიანი მოსახლეობა, რომელიც თვლის, რომ პოლიცია რეგულარულად იყენებს სისასტიკეს ეჭვმიტანილთა მიმართ.<sup>15</sup> როგორც პოლიციას, ასევე მოქალაქეებს ძალადობის საფუძვლიანი შიში აქვთ. პოლიციის მიმართ საზოგადოების უნდობლობას აძლიერებს აღქმა, რომ პოლიცია არის სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელსაც შეუძლია დევნოს უბრალო მოქალაქეები, მოითხოვოს ქრთამი და დაიცვას ნამდვილი დამნაშავეები. ეს ორმხრივი უნდობლობა იწვევს ძალადობის წრეს და კიდევ უფრო ანგრევს ურთიერთობას პოლიციასა და საზოგადოებას შორის, რომელსაც ისინი ემსახურებიან.<sup>16</sup>

15 Erica Marat, „Conclusions: Transforming Post-Soviet Police,” in *The Politics of Police Reform: Society against the State in Post-Soviet Countries* (New York, 2018; online ed., Oxford Academic, March 22, 2018)

16 Erica Marat, „Conclusions: Transforming Post-Soviet Police,” in *The Politics of Police Reform: Society against the State in Post-Soviet*

მოცემული კვლევის ფარგლებში სწორედ ამ კრიტერიუმებს ვიყენებთ და ვცდილობთ, დავინახოთ პარალელები არსებულ რეალობასა და ჩვენ მიერ ჩამოთვლილ მახასიათებლებს შორის. კვლევის მიზანი ნამდვილად არ არის თეორიის დამტკიცება საქართველოს მაგალითზე, არამედ უფრო მსჯელობის ინიცირება და შემდგომი კვლევის წახალისება მემკვიდრეობითობის ღრმად შესწავლის მიმართულებით.

## დემოკრატიული საპოლიციო სისტემისა და საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის სნაბები

თანამედროვე პოლიცია დემოკრატიულ და არადემოკრატიულ პოლიციურ სისტემებს შორის არჩევანს სთავაზობს საზოგადოებას. დემოკრატიული პოლიციური სისტემა ხაზს უსვამს ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა: თვითმმართველობა, ინდივიდუალური ავტონომია და კანონის უზენაესობა. ის ეფუძნება ჩართულობის, თანამშრომლობისა და მსჯელობის პრინციპებს, რომლებიც დემოკრატიულ იდეალებს შეესაბამება. ამის საპირისპიროდ, არადემოკრატიული საპოლიციო სისტემა ხასიათდება ავტოკრატიული კონტროლით, რომელსაც სახელმწიფო თავის მოქალაქეების წინააღმდეგ იყენებს, ზღუდავს ინდივიდუალურ თავისუფლებებსა და უფლებებს.<sup>17</sup>

ქვემოთ აღვწერთ რამდენიმე ელემენტს, რომლებიც საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის აუცილებელ ელემენტად მიიჩნევა მკვლევრების მიერ<sup>18</sup>:

**ინდივიდუალური უფლებების დაცვა** – დემოკრატიულ საზოგადოებაში უმთავრესი ინდივიდუალური უფლებების დაცვაა. საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია არსებითად უსვამს ხაზს წესრიგის დაცვით ინდივიდუალური უფლებების პატივისცემა. ის უზრუნველყოფს, რომ სამართალდამცავი საქმიანობა კანონისა და საზოგადოებრივი ნორმების ფარგლებში წარიმართოს.

**მოქალაქეთა მონაწილეობა** – დემოკრატიული საპოლიციო სისტემა ხელს უწყობს მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას სამართალდამცავი პოლიტიკისა და პრაქტიკის ჩამოყალიბებაში. საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია უზრუნველყოფს პლატფორმას საზოგადოების წევრებისთვის, რათა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რითიც პოლიციის ძალისხმევის ლეგიტიმურობა ძლიერდება.

---

Countries (New York, 2018; online ed., Oxford Academic, March 22, 2018)

17 Liqun Cao, Lanying Huang, and Ivan Sun, „From Authoritarian Policing to Democratic Policing: A Case Study of Taiwan,” *Policing and Society* (2015).

18 Christopher E. Stone and Heather H. Ward, „Democratic Policing: A Framework for Action,” *Policing and Society: An International Journal of Research and Policy* 10, no. 1 (2000): 11-45.

თემის გაძლიერება – ადგილობრივი თემისთვის უფლების მინიჭება, გადახედონ მათთვის დამახასიათებელ, მათი საცხოვრებელი გარემოსთვის უნიკალურ უსაფრთხოების საკითხებს, თვითმმართველობისა და ინდივიდუალური ავტონომიის პრინციპების განხორციელების ნაწილი. ეს თემა დემოკრატიული საპოლიციო სისტემისთვისაც ცენტრალური საკითხია. პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაწყვეტილებების შემუშავებაში თემის ჩართვით, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია ხელს უწყობს მესაკუთრეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხების მიმართ.

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია დემოკრატიული საპოლიციო სისტემის ელემენტია და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობისადმი დამოკიდებულების ხედვაა, რომელიც საზოგადოებაში პოლიციის როლს ხელახლა გაიაზრებს. ის ცვლის აქცენტს წმინდა სამართალდამცავი პერსპექტივიდან იმ პერსპექტივაზე, რომელიც მომეტებულ აქცენტს საზოგადოებასთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარებაზე აკეთებს. ამ მოდელში პოლიცია და საზოგადოება ერთად მუშაობენ უსაფრთხოების პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის მიზნით, რითაც ხელს უწყობენ საერთო პასუხისმგებლობასა და თანამშრომლობას.<sup>19</sup> დემოკრატიულ გარემოში პოლიციამ უნდა დაიცვას კანონის უზენაესობა და უზრუნველყოს, რომ სამართალდამცავი საქმიანობა საზოგადოებრივ ნორმებსა და ღირებულებებს შეესაბამებოდეს. ეს როლი მოითხოვს პოლიციასა და საზოგადოებას შორის სიმბიოზურ ურთიერთობას, სადაც პოლიცია საზოგადოებასთან თანამშრომლობით ოპერირებს წესრიგის შენარჩუნებისა და ინდივიდუალური უფლებების დასაცავად.<sup>20</sup>

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის გამოცდილების<sup>21</sup> გათვალისწინებით, შეიძლება გამოიყოს ძირითადი პრინციპები და პრაქტიკები, როგორებიცაა:<sup>22</sup>

**პრობლემების გადაჭრა** – უკვე ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირების ნაცვლად, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია პრობლემის პროაქტიულ გადაჭრაზე ფოკუსირდება. პოლიციის ოფიცრები, თემის წევრებთან თანამშრომლობით, გამოიკვლევენ ძირითად საფრთხეებს და ერთად მუშაობენ მათი გადაწყვეტის გზების შემუშავებაზე.

**საზოგადოების ჩართულობა** – საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია უპირატესობას საზოგადოების ჩართულობას ანიჭებს. პოლიციის ოფიცრები ხელს უწყობენ ღია კომუნიკაციას, ესწრებიან თემის შეხვედრებს და აქტიურად ეძიებენ მოსახლეობის მხარდაჭერას. ეს ჩართულობა ხელს უწყობს თითოეული საზოგადოების სპეციფიკურ საჭიროებებსა და პრობლემებზე სამართალდამცავი სტრატეგიების მორგებას.

**გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზაცია** – საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციაში გადაწყვეტილების მიღება დეცენტრალიზებულია. პოლიციის ოფიცრებს შეუძლიათ, ცენტრალიზებული წესებისა და რეგულაციების მკაცრი დაცვის ნაცვლად, საკუთარი დისკრე-

19 Jerome H. Skolnick and David H. Bayley, „Theme and Variation in Community Policing,” *Crime and Justice* 10 (1988): 1–37

20 Bonnie Bucqueroux and Robert Trojanowicz, *Community Policing: How to Get Started (United States: Elsevier Science, 1998).*

21 Liqun Cao, Lanying Huang, and Ivan Sun, „From Authoritarian Policing to Democratic Policing: A Case Study of Taiwan,” *Policing and Society* (2015).

22 Peter K. Manning, „Community Policing,” *American Journal of Police* Vol. III, No. II (1984).

ცია გამოიყენონ ადგილობრივი საკითხების გადასაჭრელად. ეს ქმნის უფრო მოქნილი და საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომის შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის კონცეფცია დემოკრატიული საპოლიციო სისტემის პრინციპებს ემთხვევა, მისი წარმატებით განხორციელება მარტივი არაა. მას თან ახლავს გამოწვევებიც და სირთულეებიც, როგორებიცაა: სამართალდამცავ ორგანოებში არსებული წინააღმდეგობა ცვლილებების მიმართ, ტრენინგის ნაკლებობა და კულტურული და ორგანიზაციული ცვლილებების საჭიროება. გარდა ამისა, საზოგადოების ეფექტური ჩართულობა შეიძლება იყოს გამოწვევა მრავალფეროვან თემებში და ნდობის ჩამოყალიბება შესაძლოა განგრძობად პერიოდსა და მდგრად ძალისხმევას საჭიროებდეს.<sup>23</sup> სწორედ ასეთ კომპლექსურ რეალობაში უნდა გავიაზროთ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის რეფორმა საქართველოში.

## საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის რეფორმა საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებმა ტრანსფორმაციის ამბიციური პროცესი დაიწყეს. საქართველოსთვის პოლიციის რეფორმა მთავარ ამოსავალ წერტილად იქცა სამართალდამცავ სისტემაში წარსული ეპოქის ნაშთების ჩამოშორებისა და სამართალდამცავი ორგანოების დემოკრატიულ პრინციპებთან შესაბამისობისთვის. პოლიციის რეფორმა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, როგორც წესი, სამი შედეგიდან ერთ-ერთს ესწრაფვის: მჩაგვრელი ინსტიტუტების დემონტაჟს, ეკონომიკური კოლაფსის შედეგად წარმოშობილ უმართავ ელემენტებზე კონტროლის დამყარებას, ან პოლიციის კონტროლის მანდატის საზოგადოებისთვის მინდობას.<sup>24</sup>

სსრკ-ის დაშლის შედეგად, ზოგიერთ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს მოუწია ბრძოლა არაფორმალურ, კრიმინალურ დაჯგუფებებთან, რომლებიც სახელმწიფო ძალაუფლებას უპირისპირდებოდნენ. მომრავლდნენ მემბოხე ჯგუფები, კორუმპირებული ოფიციალური პირები და ორგანიზებული კრიმინალური სუბიექტები.<sup>25</sup> ასეთ დროს პოლიციის რეფორმა გულისხმობდა არა მხოლოდ პოლიციის განახლებას, არამედ-სახელმწიფო აქტორებსა და ამ კრიმინალურ ელემენტებს შორის კავშირების აღმოფხვრას.

---

23 Jerome H. Skolnick and David H. Bayley, „Theme and Variation in Community Policing,” *Crime and Justice* 10 (1988): 1–37

24 Erica Marat, „Conclusions: Transforming Post-Soviet Police,” in *The Politics of Police Reform: Society against the State in Post-Soviet Countries* (New York, 2018; online ed., Oxford Academic, March 22, 2018)

25 Erica Marat, „Conclusions: Transforming Post-Soviet Police,” in *The Politics of Police Reform: Society against the State in Post-Soviet Countries* (New York, 2018; online ed., Oxford Academic, March 22, 2018)

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს უჭირდათ და დღესაც უჭირთ, დაამყარონ ბალანსი პოლიციის უკეთ აღჭურვას, სერვისების გაუმჯობესებასა და ადამიანის უფლებების პატივისცემას შორის. ხშირად არსებობს წყვეტა მთავრობის სტრატეგიულ გეგმებს, საერთაშორისო საზოგადოების რეკომენდაციებსა და საზოგადოების საჭიროებებსა და მოლოდინებს შორის.<sup>26</sup> საერთაშორისო თანამეგობრობა ხშირად ახორციელებს ზეწოლას ამ სახელმწიფოებზე ადამიანის უფლებების პრობლემების მოგვარების მიზნით, რაც რეფორმების წინაპირობა ხდება ხოლმე.

პოსტსაბჭოთა კონტექსტში პოლიციის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი იმ ინსტიტუტების დაშლა იყო, რომლებსაც ყოფილი პოლიტიკური ხელმძღვანელობა განსხვავებული აზრის ჩასახშობად და მათი ინტერესების დასაცავად იყენებდა. პოლიცია, რომელიც ხშირად გამოიყენებოდა ჩაგვრის სადამსჯელო ინსტრუმენტად, უფრო გამჭვირვალე, ანგარიშვალდებულ და საჯარო ინსტიტუციად უნდა გარდაქმნილიყო.<sup>27</sup>

ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ჩეხეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები, კომუნისტური ეპოქის საიდუმლო პოლიცია გაუქმდა, კოლაბორანტებს მაღალი სამთავრობო თანამდებობების დაკავების უფლება აეკრძალათ და ლუსტრაციის პროცესი უფრო თანმიმდევრულად განხორციელდა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებმა დაშალეს ძველი საიდუმლო პოლიცია და შექმნეს ახალი ერთეულები.<sup>28</sup>

ისევე, როგორც ზემოაღნიშნული სხვა შემთხვევები, საქართველოში პოლიციის რეფორმის ისტორიაც იცნობს ამბიციურ რეფორმებს, როცა შლიან მჩაგვრელ ინსტიტუტებს და ამყარებენ კონტროლს ეკონომიკური კოლაფსიდან წარმოშობილ უმართავ ელემენტებზე, რაც მიზნად ისახავს სამართალდამცავი აპარატის გარდაქმნას ისეთ ორგანოდ, რომელიც ხალხის ინტერესებს დაიცავს და მოემსახურება.<sup>29</sup>

სწორედაც რომ სისტემის განახლების რეფორმების სახელით წარუდგინა მთავრობამ საზოგადოებას ახალი, მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი. ამ ოფიცრების როლები და მოვალეობები საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარებასა და დანაშაულის პრევენციაზე ფოკუსირებას მოიცავს. ახალი ერთეულის ჩამოყალიბება მიზნად ისახავს უბნის ინსპექტორების არსისა და კრიმინალური პოლიციის რაიონული მიმართულებების თანდათანობით ჩანაცვლებას.

გახსნის ღონისძიებაზე პოლიციის თანამშრომლებს მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარია: „დღეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. როგორც მოგეხსენებათ, შინაგან საქმეთა სამინისტრო უკვე ერთი წელია აგრძელებს სისტემური განა-

26 Erica Marat, „Conclusions: Transforming Post-Soviet Police,” in *The Politics of Police Reform: Society against the State in Post-Soviet Countries* (New York, 2018; online ed., Oxford Academic, March 22, 2018)

27 Erica Marat, „Conclusions: Transforming Post-Soviet Police,” in *The Politics of Police Reform: Society against the State in Post-Soviet Countries* (New York, 2018; online ed., Oxford Academic, March 22, 2018)

28 Ibid.

29 Erica Marat, „Georgia: Refurbishment versus Reform,” in *The Politics of Police Reform: Society against the State in Post-Soviet Countries* (New York, 2018; online ed., Oxford Academic, March 22, 2018).



ხლებს რეფორმას და თქვენ ხართ პირველი რეალური პრაქტიკული ნაბიჯი ამ რეფორმის გა-  
ნსახორციელებლად. თქვენი ფუნქცია – ჩვენს მოქალაქეებზე ზრუნვა – ყველაზე მთავარია.<sup>30</sup>

2017 წლის 25 მაისის შინაგან საქმეთა მინისტრის N275 ბრძანება საზოგადოებაზე ორი-  
ენტირებული პოლიციის კონცეფციის დამტკიცების შესახებ დანაშაულის პრევენციას განი-  
ხილავს, როგორც პოლიციის იმ სტრატეგიებისა და ღონისძიებების ერთიანობას, რომლებიც  
დანაშაულის შემცირებას, ტრადიციული საპოლიციო საქმიანობისგან განსხვავებით, სხვადა-  
სხვა ინიციატივის განხორციელებით ესწრაფვის და ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ინსტრუ-  
მენტად საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ინსტიტუტის დანერგვა მიაჩნია. კონ-  
ცეფცია პირდაპირ აცხადებს, რომ დანაშაულზე პოლიციის მხრიდან არასწორი რეაგირების  
შიში სამართალდარღვევის პრევენციის ერთადერთი მექანიზმია, რომელიც საზოგადოებასა  
და სამართალდამცავ ორგანოებს შორის ნდობისა და პარტნიორული ურთიერთობების დამყა-  
რებას შეუძლებელს ხდის. ამ პრობლემის ერთ-ერთი გადაწყვეტა პრევენციული ღონისძიებე-  
ბის დაგეგმვის სტრატეგიის შემუშავებაა, რომელსაც სამართალდამცავი ორგანოები პრევენ-  
ციული ღონისძიებების განხორციელებისას უნდა მიჰყვინ. კონცეფცია ასევე ითვალისწინებს  
ორგანიზაციულ ცვლილებებს პოლიციის მიმართ მოსახლეობის ნდობის გაზრდის მიზნით.  
ეს გულისხმობს ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნას საპატრულო პოლიციის დეპა-  
რტამენტში, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ელე-  
მენტების განხორციელებაზე და დაკომპლექტებული იქნება ახალი ოფიცრებით, რომლებიც  
გადაწყვეტილების მიღებისას მეტი ავტონომიით ისარგებლებენ. ზემოაღნიშნული ოფიცრები  
ჩაანაცვლებენ რაიონულ ინსპექტორთა ინსტიტუტს. მისასალმებელი ფაქტია კონცეფციით  
გათვალისწინებული ნორმატიული ჩარჩოს შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს განსახორცი-  
ელებელ პრევენციულ ღონისძიებებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კონცეფცია არ აკონკრე-  
ტებს პოლიციის უფლებამოსილებას დანაშაულის პრევენციის სფეროში და პოლიცია რჩება  
რეპრესიულ ინსტიტუტად საზოგადოებაზე კონტროლის ფუნქციით. ეს კი თავის მხრივ ძირს  
უთხრის პოლიციასა და საზოგადოებას შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის შენების  
შესაძლებლობას.<sup>31</sup>

რეფორმის კონცეფცია (საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია – სოპ) შემდეგ მიდგო-  
მებს ემყარება:

თანამშრომლობა – ეფექტიანი თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებსა და სხვა  
სტრუქტურებში გადაწყვეტა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, პოლი-  
ციასა და საზოგადოებას შორის ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით. თანამშრომ-  
ლობის მიზანი პრობლემის გადაჭრის მიდგომის ჩამოყალიბება და პოლიციის მიმართ საზოგა-  
დოებრივი ნდობის ამაღლებაა.

ორგანიზაციული მოწყობა – ორგანიზაციული რესტრუქტურისა და გულისხმობს სისტე-  
მურ დეცენტრალიზაციას, კონკრეტული საკითხების გადასაჭრელად გადაწყვეტილების მი-

---

30 Amy Jones, „Community Policing Begins in Tbilisi,” *Georgia Today*, December 5, 2018, <http://gtarchive.georgiatoday.ge/news/13562/Community-Policing-Begins-in-Tbilisi>

31 დანაშაულის პრევენცია (საპოლიციო კონტროლის რისკები), ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცე-  
ნტრი (EMC), 2017.

ღების პროცესში „წინა ხაზის“ ოფიცრებისთვის უფრო მეტი ავტონომიის მინიჭებას. ეს ორგანიზაციული დეცენტრალიზაცია ამცირებს გადაწყვეტილების მიღებისას ბიუროკრატიულ შეფერხებებს, აძლიერებს ანგარიშვალდებულებას ქვედა მენეჯერულ დონეზე და ხელს უწყობს მოსახლეობის პრობლემებისა და საჭიროებების უფრო ზუსტად რეფლექსიას.

პრობლემაზე ორიენტირებული პოლიცია – პრობლემაზე ორიენტირებული პოლიცია გულისხმობს პოლიციის რესურსების მობილიზებას მცირე გეოგრაფიული დაყოფის პრინციპით. SARA მოდელის გამოყენებით (Scanning, Analysis, Response, Assessment) ეს მიდგომა განსაზღვრავს საზოგადოებაში არსებულ პრობლემებსა და საჭიროებებს, რაც ეფექტიანი რეაგირების სტრატეგიების შემუშავების საფუძველია.

აქედან გამომდინარე, კონცეფციის ფუნდამენტური პრინციპები გამოიკვეთა შემდეგნაირად:

- პოლიციის ფუნქციების განხორციელება დიდწილად უნდა ეყრდნობოდეს თანამშრომლობას და არა იძულებას;
- პოლიცია უნდა აღიქმებოდეს საზოგადოების კომპონენტად და არა მასზე ზედამხედველობის რეპრესიულ ინსტიტუტად;
- პოლიციამ სხვა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით ხელი უნდა შეუწყოს მოსახლეობის საჭიროებების განსაზღვრას;
- პოლიციის საქმიანობა უნდა იყოს ადაპტირებული საზოგადოების საჭიროებებზე;
- პოლიციამ უნდა უზრუნველყოს ხარისხიანი მომსახურება და იღებდეს პასუხისმგებლობას გაწეულ მომსახურებაზე.

კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესებული მექანიზმების მეშვეობით პოლიციას შეუძლია დაიწყოს დიალოგი საზოგადოებასთან საზოგადოების ჩართულობის წახალისებით და პოლიციასა და თემის წარმომადგენლებს შორის შეხვედრების ორგანიზებით. აღნიშნული თანამშრომლობით გამოვლენილი საკითხების მოგვარება სხვადასხვა უწყების, ორგანიზაციებისა და მედიის ძალისხმევით კოორდინაციას გულისხმობს. ამის გასაადვილებლად აუცილებელია უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნა. ეს ჯგუფი უზრუნველყოფს ჩართულ უწყებებს შორის ეფექტიან ურთიერთქმედებასა და პასუხისმგებლობების სწორად განაწილებას უწყვეტი თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით.

საქართველოს სოპ კონცეფცია მართებულად უსვამს ხაზს თანამშრომლობის მნიშვნელობას სამართალდამცავ ორგანოებსა და სხვა სტრუქტურებში. პოლიციასა და საზოგადოებას შორის ურთიერთდამოკიდებულების აღიარება ძალაა, რადგან ქმნის კავშირს, ერთობლივ ძალისხმევას. სისტემური დეცენტრალიზაციის გზით ორგანიზაციულ რესტრუქტურისაზე ფოკუსირება დადებითი ასპექტია. „წინა ხაზის“ ოფიცრებისთვის მეტი ავტონომიის მინიჭება ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების უფრო საპასუხისმგებლო პროცესს და კონკრეტულ საკითხებს ეფექტურად აგვარებს. ამან შეიძლება გამოიწვიოს ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება და საზოგადოების პრობლემებისა და საჭიროებების უკეთ გაგება. პრობლემაზე ორიენტირებული პოლიციის ჩართვა მცირე გეოგრაფიულ სამოქმედო სივრცეებში და SARA-ს მოდელის ინტეგრირება გვთავაზობს მეტად მოტივირებული სისტემის შესაძლებლობას. ამ

მიდგომას შეუძლია პოლიციის რესურსებისა და რეაგირების სტრატეგიების ეფექტურობის ზრდა.

თუმცა, საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობის აღიარებასთან ერთად, საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერების კონკრეტული სტრატეგიები მკაფიოდ არ არის გაწერილი. საზოგადოების სხვადასხვა წევრისგან ინფორმაციის მოთხოვნის, გამომხმარებლისა და ჩართულობის კონკრეტული მეთოდები დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სოპ-ის უფრო ყოვლისმომცველი მიდგომისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სოპ კონცეფცია ხაზს უსვამს ანგარიშვალდებულებას, პოლიციის სერვისების ეფექტურობისა და საზოგადოების კმაყოფილების დონის შესაფასებლად კონკრეტული, გაზომვადი მაჩვენებლები ცალსახად არ არის ასახული. მკაფიო ინდიკატორებისა და შეფასების ინსტრუმენტების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებულების ასპექტს. მცირე გეოგრაფიულ დანაყოფებზე ფოკუსირება ღირებულია, მაგრამ უზრუნველყოფილი უნდა იყოს ის, რომ გამოვლენილი პრობლემები მოიცავდეს საკითხების მრავალფეროვან სპექტრს, რომელიც მოსახლეობის სხვადასხვა სეგმენტზე ახდენს გავლენას. მთელი საზოგადოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად პრობლემის იდენტიფიცირებაში ინკლუზიურობა გადამწყვეტია.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლამდე სამინისტრო სისტემატურად არ ახორციელებდა საზოგადოებაზე ორიენტირებულ საპოლიციო აქტივობებს. გადამწყვეტი მომენტი იყო სწორედ 2018 წლის 4 დეკემბერს საზოგადოებაზე ორიენტირებული მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტის ოფიციალური დანერგვა, რომელიც წარმოდგენილი იყო როგორც მთელი წლის განმავლობაში განხორციელებული ყოვლისმომცველი რეფორმების პროდუქტი.

აქვე უნდა გავიმეოროთ, რომ, რეფორმების მიუხედავად, პოლიციის ძალის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის, განსაკუთრებით საარჩევნო პერიოდში ან ოპოზიციის ჩასახშობად, ქართულ პოლიტიკაში არსებულ პრობლემად რჩება<sup>32</sup>. იმის ნაცვლად, რომ ფოკუსირება მოახდინონ მხოლოდ საზოგადოების მომსახურებასა და კანონისა და წესრიგის დაცვაზე, პოლიცია ხშირად ხდება ინსტრუმენტი მოქმედი მთავრობებისთვის, რათა შეინარჩუნონ ძალაუფლება. ეს ძირს უთხრის დემოკრატიული საპოლიციო სისტემის ძირითად პრინციპებს, რომლისთვი-საც პოლიტიკური მანიპულაციისგან დამოუკიდებლობა არსებითია.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში რეფორმა დასრულებულად ვერ ჩაითვლება კომპლექსური გარდამავალი პერიოდის საბჭოთა წარსულის ღრმად ფესვგადგმული ეფექტისა და რეფორმის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევების გამო<sup>33</sup>, როგორცაა ახალი კადრების საჭიროება, ახალი ცოდნა და ინსტიტუტის პოლიტიკური პოზიციონირების ტრანსფორმაცია.

---

32 Alexander Kupatadze, "Police Reform in Georgia," *Center for Social Sciences*, September 2012

33 Ibid.

## მსჯელობა მეგკვიდრობითობის კრეკუენბზე

არსებობს აზრი, რომ საქართველოში დემოკრატიული საპოლიციო სისტემის წარმატებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რეფორმების მცდელობის დროს არადემოკრატიულ ზომებზე დამოკიდებულება გახდა. სააკაშვილის მთავრობის მმართველობის პერიოდში განხორციელებულმა „დიდი აფეთქების“ ეფექტის მქონე რეფორმამ მართლაც წარმატებას მიაღწია კორუფციისა და კრიმინალის შეზღუდვაში.<sup>34</sup> თუმცა, ეს გაკეთდა მძიმე მსხვერპლის ფასად, რომელიც ხშირად გულისხმობდა დემოკრატიული პროცესებისა და ადამიანის უფლებების უგულვებლყოფას.<sup>35</sup> პოლიცია გამოიყენებოდა იარაღად სამართლებრივი გარანტიების, დემოკრატიული კონტროლისა და ბალანსის სათანადო პატივისცემის გარეშე.

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ინსტიტუტი და აშკარაა, რომ კონცეფცია საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობის რეკომენდაციას გასცემს. თუმცა, მიუხედავად ამ მიღწევისა, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ეფექტური განხორციელება გამოწვევების წინაშე დგას, რასაც მოწმობს:<sup>36</sup>

1. ნდობის ნაკლებობა – მოსახლეობის ნდობის დონე პოლიციის მიმართ საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ძალისხმევის ეფექტურობის ინდიკატორია.
2. ინფორმირებულობისა და ჩართულობის ნაკლებობა – საზოგადოების ინფორმირებულობისა და საზოგადოებაზე ორიენტირებულ საპოლიციო ინიციატივებში დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობის კუთხით გამოწვევები არსებობს.
3. სათანადო ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა – დეფიციტია ინსტიტუციურ და საკანონმდებლო ბაზაში, რაც აუცილებელია საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის ეფექტური განხორციელების მხარდასაჭერად.

არადემოკრატიული მეთოდების გამოყენება, პოლიტიკური მიზნებისთვის პოლიციის ინსტრუმენტალიზაცია და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა ცხადს ხდის, რომ საქართველოს სამართალდამცავმა უწყებებმა სრულად არასოდეს მიიღეს დემოკრატიული საპოლიციო სისტემის მოდელი. დემოკრატიული საპოლიციო სისტემისა და თანამონაწილეობითი, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ძიების პროცესში, საქართველოსთვის ინსტიტუციური მთლიანობის, ანგარიშვალდებულებისა და დეცენტრალიზაციის გაძლიერება უმთავრეს გამოწვევად რჩება.

დემოკრატიული საპოლიციო სისტემია მოითხოვს, რომ პოლიციამ იმოქმედოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებისა და სამოქალაქო ზედამხედველობის გათვალისწინებით.<sup>37</sup>

34 Farid Osmanov, „Police Reform in Georgia,” *Blavatnik School of Government, University of Oxford*, May 11, 2020.

35 Farid Osmanov, „Police Reform in Georgia,” *Blavatnik School of Government, University of Oxford*, May 11, 2020.

36 თონა სურმავა, „საზოგადოებისა და პოლიციის ჩართულობა: პარტნიორობის ჩარჩო“, 2019.

37 David H. Bayley, *Democratizing the Police Abroad: What to do and how to do it?* U.S. Department of Justice, Office of Justice Programs, June 2001.

საქართველოში, მიუხედავად სხვადასხვა რეფორმის მცდელობისა, პოლიციას კვლავ არ გააჩნია ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმები. პასუხისმგებლობის მყარი მექანიზმების არარსებობა გამჭვირვალობის ნაკლებობას იწვევს, რაც პოლიციის დემოკრატიული პრინციპების უზრუნველყოფას ართულებს.

როგორც ზემოხსენებული რეფორმის აღწერიდან ჩანს, აშკარაა, რომ მიუხედავად სხვადასხვა მცდელობისა, რეფორმის ძირითადი კონცეფცია, რომელიც კონცენტრირებულია პოლიციის ინსტიტუტის ირგვლივ, შემოიფარგლება პოლიციის დაწესებულებაში ძალაუფლების ახლებური გადანაწილების მცდელობით. ცოტა თუ გაკეთდა პოლიციის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ან დაფინანსების ზრდის, რეფორმის გაფართოებისა და ფართო საზოგადოების ჩართვის მიზნით. განათლების მცდელობები მნიშვნელოვანია, მაგრამ ეფექტიანი საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია ასევე საჭიროებს მჭიდრო თანამშრომლობას ადგილობრივ მოსახლეობასთან. საზოგადოების მონაწილეობის მუდმივი უგულვებელყოფა თვალსაჩინოა პოლიციის რეფორმის ანალიზისას. ეს შეიძლება აიხსნას მრავალი ფაქტორით. ორგანიზებული დანაშაულის გავლენა საზოგადოებაზე და მჭიდრო კავშირები, რომლებსაც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები საზოგადოებაში ინარჩუნებენ, ხშირად იყო ნახსენები, როგორც საზოგადოებისთვის კარების გახსნისა და პოლიციის საქმეებში მეტად ჩართვის, მონაწილეობის შემაკავებელი ფაქტორები. წინააღმდეგობა ასევე შეიძლება აიხსნას იდეოლოგიური ნარატივებით. მემარჯვენე პოლიტიკოსები არ არიან მიდრეკილნი ფართო საზოგადოებისთვის სისტემის გასახსნელად.<sup>38</sup> ან ეს შეიძლება იყოს საბჭოთა მემკვიდრეობითობის პირდაპირი შედეგი, როცა ანგარიშგაღებულების არარსებობა და საქმიანობის გასაიდუმლოება სამართალდამცავი სისტემის განუყოფელი ნაწილი იყო.

ზემოხსენებული მემკვიდრეობითობა, როგორებიცაა: სახელმწიფოსადმი მორჩილების კულტურა, ანგარიშგაღებულების ნაკლებობა, პოლიტიკური ჩარევა, იერარქიული სტრუქტურა, დაშინების მემკვიდრეობითობა, საიდუმლოების კულტურული მემკვიდრეობითობა, ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის გაწევა და პოლიციის მიერ სამსახურში ძალადობის მაღალი მაჩვენებლები ხშირად მოიხსენიება პოლიციის ნაკლად. თუმცა, გავლენას ახდენენ თუ არა ისინი მართლწესრიგის ოფიცრების საქმიანობაზე, აქამდე არდასმულ კითხვად რჩება.

საბჭოთა ეპოქიდან მემკვიდრეობით მიღებული ღრმად ფესვგადგმული იერარქიული სტრუქტურა საქართველოში დემოკრატიული საპოლიციო სისტემისთვის საჭირო დეცენტრალიზაციის მიღწევას არსებითად ეწინააღმდეგება. ეს ისტორიული ჩარჩო არა მხოლოდ აფერხებს ადგილობრივი სამართალდამცავი დანაყოფების ავტონომიას, არამედ ხელს უწყობს ძალაუფლების ცენტრალიზაციის დინამიკას, რომელიც ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებებზე რეაგირებას აფერხებს. ამრიგად, ამ ისტორიული ცენტრალიზაციისგან თავის დაღწევა დიდ გამოწვევად რჩება, რაც ქვეყანაში დემოკრატიული და საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მოდელის ჩამოყალიბებას ხელს უშლის.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ანგარიშგაღებულების არარსებობის განგრძობადი საბჭოთა მემკვიდრეობითობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოს სამართალ-

---

38 Michelle D. Bonner, „What Democratic Policing Is... and Is Not,” *Policing and Society* (2019)

ლდამცავ სისტემაში ზედამხედველობის არაადეკვატური მექანიზმების შენარჩუნებას. შეზღუდული პასუხისმგებლობის ისტორიული პრეცედენტი შესაძლოა კვლავაც აქტუალური იყოს, რის გამოც ზედამხედველობის მკაცრი ზომების დაწესება რთული ამოცანა ხდება. კონტროლისა და ბალანსის ეს ნაკლოვანება ქმნის გარემოს, რომელშიც არასწორი ქმედებები და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება შეიძლება უკონტროლოდ გაგრძელდეს, რაც არსებითად გამორიცხავს ნდობას პოლიციასა და საზოგადოებას შორის. საბოლოო ჯამში, ეფექტური ანგარიშვალდებულების მექანიზმების არარსებობა აძლიერებს გაუმჭვირვალე სამართალდამცავ სისტემას, რაც ძირს უთხრის დემოკრატიული საპოლიციო სისტემის ფუნდამენტურ პრინციპებს.

გარდა ამისა, პოლიტიკური ჩარევის საბჭოთა მემკვიდრეობითობა ბუნებრივად ერწყმის საქართველოში პოლიციის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების პრაქტიკას. პოლიტიკური ტრადიცია, რომლებიც სამართალდამცავ უწყებებს ძალაუფლების კონსოლიდაციის ინსტრუმენტებად იყენებს, საბჭოთა მთავრობასა და პოლიციას შორის ისტორიული კავშირების მემკვიდრეობითობით შეიძლება აიხსნას. სამართალდამცავ ორგანოებსა და პოლიტიკურ ინტერესებს შორის მკაფიო გამიჯვნა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი პოლიციის შექმნის გზაზე არსებული დაბრკოლებაა. ასეთი მუდმივი ინსტრუმენტალიზაცია პირდაპირ გამოწვევას უქმნის დემოკრატიული საპოლიციო სისტემის ძირითად პრინციპებს, როცა პოლიცია უნდა მოქმედებდეს პოლიტიკური მანიპულაციის გარეშე, საჯარო ინტერესებს ემსახურებოდეს და კანონის უზენაესობას იცავდეს.

## დასკვნა

პოლიტიკის დოკუმენტებისა და საკანონმდებლო რეგულაციების საფუძვლიანი კვლევით ირკვევა, რომ, მიუხედავად ხელისუფლების ცვლილებისა, საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის მთავარი მახასიათებელი – საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში – საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციის ქოლგის ქვეშ შემუშავებული ყველა რეფორმის ფარგლებში მუდმივად უგულვებელყოფილ პრინციპად რჩება. ამ ტენდენციის ახსნა სხვადასხვა ისეთი მიზეზით შეიძლება, როგორცაა გამოცდილების ნაკლებობა, ცოდნის ნაკლებობა და ა.შ. მაგრამ ჩვენ გვსურს ხაზი გავუსვათ მემკვიდრეობითობის გავლენას, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მქონე ფაქტორს. რაკი საბჭოთა სისტემას არ გააჩნდა მონაწილეობის მექანიზმები, მას ანგარიშვალდებულების ნაკლებობითა და გასაიდუმლოების პრაქტიკით ანაცვლებდა. მიგვაჩნია, რომ რეფორმის მუდმივად თავიდან აცილების მიზეზი მემკვიდრეობითობითობის არგუმენტის გარშემო უნდა ვეძიოთ, ხოლო მომავალი კვლევები ფოკუსირდნენ ჩვენი ჰიპოთეზის დადასტურებასა ან უარყოფაზე.

მემკვიდრეობითი არგუმენტი თუმცა არსებითია, მხოლოდ ნაწილობრივ პასუხს გვთავაზობს. აუცილებელია ვაღიაროთ, რომ სამართალდამცავი ორგანოების ქცევას აყალიბებს არა მხოლოდ ისტორიული მემკვიდრეობითობა, არამედ უფრო ფართო სოციალური და ინსტიტუციური გარემოც. საყოველთაო ზეწოლა, რომელსაც სამართალდამცავები აწყდებიან, კიდევ უფრო ამყარებს საქართველოში პოსტსაბჭოთა პოლიციური მემკვიდრეობითობის ვარაუდს. არსებული პოლიტიკური ლანდშაფტი, რომელზეც მმართველი ელიტები დომინირებენ და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა შეზღუდულია, ის გამოწვევაა, რომლის დროსაც რეფორმების სტრატეგიები პოლიტიკური ლიდერების მიერ უკონტროლო ძალაუფლების მითვისების საფრთხეს ქმნის. სამართალდამცავ სტრუქტურებსა და პოლიტიკოსებს შორის ურთიერდამოკიდებულმა კავშირმა შეიძლება შეაფერხოს ყოვლისმომცველი რეფორმა, რაც ეტაპობრივ და არა ტრანსფორმაციულ ცვლილებებს გამოიწვევს.

საქართველოში პოლიციის რეფორმის მცდელობები, მათი შედეგები და სისტემაში არსებული „ორპირობა“ საზოგადოებაზე ორიენტირებულობის მიზანს, სისტემის დემოკრატიულობისკენ სწრაფვის მიზანს ჩრდილს აყენებს და მიუღწევლად აქცევს. დემოკრატიული საპოლიციო სისტემის ქეშმარიტი რეალიზაციისთვის აუცილებელია საზოგადოების გაზრდილი მონაწილეობის, გამჭვირვალულობის, ანგარიშვალდებულებისა და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპების უზრუნველყოფა. არსებული გამოწვევები ხაზს უსვამს მომავალი კვლევების აუცილებლობას, რათა შესწავლილ იქნას მემკვიდრეობითობის არგუმენტი და გაირკვეს, არის თუ არა ის მუდმივი ბარიერის რეფორმებისთვის, თუ სხვა ფაქტორები უწყობს ხელს სამართალდამცავი ორგანოების რეფორმის სირთულეს პოსტ-საბჭოთა საქართველოში.

საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია, რომელიც არსებითად სამართალდამცავებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობაა, საქართველოში პოლიციის ფილოსოფიური დანიშნულების გადაზრების შესაძლებლობას ქმნის. ქვეყანა გზაჯვარედინზეა და მკვეთრი რეფორმებია საჭირო საზოგადოების ნდობის აღსადგენად. დღეს პოლიციის რეპუტაცია შერყეულია პოლიციის პოლიტიკური რეპრესიების იარაღად გამოყენების გამო. საზოგადოების ჩართულობა, საერთაშორისო ექსპერტთა ტრენინგები, გაცვლითი პროგრამები სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებთან, სწავლაზე დაფუძნებული სამართლებრივი რეფორმის პროგრამები და სხვა საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომები, სამართალდამცავ სისტემათა ხელახალი ჩამოყალიბებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სტრატეგიებად გვევლინება. მხოლოდ ასეთი ყოვლისმომცველი და საზოგადოებაზე ორიენტირებული ინიციატივებით შეიძლება საქართველომ გზა გაუხსნას პოლიციის იმ მოდელს, რომელიც არა მხოლოდ წესრიგს ინარჩუნებს, არამედ ასახავს მრავალფეროვანი ადგილობრივი თემების მიზნებსა და საჭიროებებს. ეს გადასვლა საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიციისკენ უნდა განიხილებოდეს, როგორც უფრო ფართო დემოკრატიზაციის დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილი. დეპოლიტიზებული და ანგარიშვალდებული პოლიცია დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სამართალდამცავი ორგანოები მიუკერძოებლად, გამჭვირვალედ ემსახურობდნენ საზოგადოებას და პასუხს აგებდნენ საზოგადოებისა და კანონის წინაშე.

# ადვოკატი – პროფესია ტოტალიტარული სისტემის ჩრდილში

## უბსტრუქტი

მოქალაქის უფლებებისა და ინტერესების დამცველი იურისტის – ადვოკატის – პროფესია, თანამედროვე სახელმწიფოს სამართლებრივი ველის ამ ერთ-ერთი უცვლელი პრესონაჟის ადგილი ჩვენი საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ ისტორიაში ნაკლებად არის შესწავლილი და გაანალიზებული. ისევე, როგორც არაა ფუნდამენტურად გაშუქებული სამართლებრივი გარემოს ტრანსფორმაცია უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში; რუსეთის იმპერიის სასამართლო სისტემის სახე და პრაქტიკა კავკასიაში, სასამართლო სისტემის რეფორმისა და დემოკრატიული სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბების პროცესი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. ფაქტობრივად, საზოგადოებრივი და სამეცნიერო დისკუსიის მიღმა ასევე დარჩენილი კითხვა – თუ რა ძირეული გავლენა მოახდინა სამართლის იდეის, თეორიასა და პრაქტიკაზე 70 წლიანმა საბჭოთა რუსულმა ოკუპაციამ და ტოტალიტარულმა რეჟიმმა? შესაბამისად, დღეს მოქალაქისა თუ იურიდიული სფეროს წარმომადგენლისათვის რთულია თანამედროვე გამოწვევების ანალიზისას თვალი გადაავლოს ისტორიულ წანამძღვარებს, დააკვირდეს სისტემის რეფორმისა და მოდერნიზაციის წარსულ გამოცდილებას, დააფიქსიროს, გააცნობიეროს და დაძლიოს ტოტალიტარიზმის მემკვიდრეობა დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელ ამ ერთ-ერთ უპირველეს სფეროში.

ამ სტატიაში მიმოვიხილავთ რუსული იმპერიული სასამართლო სისტემის ძირითად ელემენტებს და მასში ადვოკატთა ადგილს. ადვოკატთა თემის პოლიტიკური და პროფესიული მობილიზაციის გამოცდილებას, რამაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნების შემდეგ სასამართლოს ფუნდამენტური რეფორმის

\* მოწვეული ლექტორი ისტორიის მიმართულებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



განხორციელებაში. ამ ყოველივემ თანამედროვე სასამართლო სისტემის დამკვიდრება და პრაქტიკაში ამუშავება გახდა შესაძლებელი, რაც საბჭოთა რუსეთმა სამხედრო აგრესიისა და ოკუპაციის შემდეგ ძირფესვიანად გაანადგურა და შეცვალა. თავისთავად ეს კატაკლიზმები ადვოკატთა თემის და უფლებრივ მდგომარეობასა და ფიზიკურ არსებობაზეც აისახა. სტატია ძირითადად ფოკუსირებულია საბჭოთა რუსული საოკუპაციო რეჟიმის მიერ არსებული დემოკრატიული სამართლებრივი სისტემის დემონტაჟის, მისი ტოტალიტარული მოდელით ჩანაცვლებაზე და ამ სისტემაში ადვოკატთა პროფესიული ადაპტაციის უშედეგო მცდელობების აღწერასა და ანალიზზე.

## ეპოქები — „ნაფიში ვეჩილუბი“ და რუსეთის იმპერიის სასამართლო მოდელი; ბრძოლა სისტემური პოლიტიკური და სამართლებრივი ჩაპერის წინააღმდეგ

რუსეთის იმპერიის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების ანექსიისა და კოლონიური მმართველობის დამყარების კვალდაკვალ, მოსახლეობის ერთ-ერთი პირველი შეჯახება ცარისტული პოლიციური რეჟიმის ბუნებასთან ადგილობრივი, ტრადიციული სასამართლოს მოსპობასა და რუსული ყაიდის მართლმსაჯულების შემოღებაში აისახა. ქართულ ფეოდალურ სამართალს – პირდაპირ და ზეპირ მართლმსაჯულებას მიჩვეული ყველა წოდების წარმომადგენლები, ეკატერინე მეორის შემოღებული უკიდურესად რთული და ბიუროკრატიული რუსული სასამართლო „ვალაკიტას“ პირისპირ აღმოჩნდნენ. კავკასიის პირველი მთავარმართებელი – პავლე ციციანოვი ყასიდად გამოხატავდა გაოცებას, თუ რატომ არ მიმართავდნენ ადგილობრივები მის მიერ შემოღებულ სასამართლო უწყებებს და უშუალოდ მასთან ცდილობდნენ ხოლმე „სამართლის პოვნას“<sup>1</sup> როცა ცხადი იყო, რომ მშობლიურ ენაზე და სამეფოს უმაღლეს წარმომადგენლებთან ზეპირ მართლმსაჯულებას შეჩვეული ადამიანებისათვის ახალი, რუსული სასამართლო გაუგებარი და ორგანულად მიუღებელი იყო.

XVIII საუკუნიდან 1860-იან წლებამდე არსებული რუსული იმპერიული სასამართლო მოდელი, ცარისტული ადმინისტრაციის ფაქტობრივი ნაწილი, მრავალსაფეხუროვანი, ჩაკეტილი, წოდებრივი და უკიდურესად ბიუროკრატიული იყო. ტერიტორიული პრინციპით მაზრებში სასოფლო და სათემო „რასპრავები“ მუშაობდნენ, ქალაქების მკვიდრთ კი მაგისტრატების და რატუშების მიერ შექმნილი სასამართლოები განსჯიდნენ. არსებობდა სამაზრო სასამართლოები, „კარის სასამართლო“ (ჰოფგერინტი) და სავაჭრო საქმეთა სასამართლო. საგუბერნიო დონეზე სამოქალაქო და სისხლის სამართლის პალატები და კომერციული სასამართლო

1 ა. ფრონელი, ტფილისი, 27 თებერვალი..., ივერია (გაზეთი) #43, 28.02.1893 წელი, გვ. 1-2.

მოქმედებდნენ, რომელთა ზემდგომი ინსტანცია – „მმართველობითი სენატი“ იყო. ყველა ეს ჩამოთვლილი ორგანო ფორმალურად „არჩევითი“ იყო, თუმცა იმპერიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის და ფეოდალური განზომილებიდან გამომდინარე – წოდებრივი პრინციპით კომპლექტდებოდნენ (გლეხები, თავად-აზნაურობა, ვაჭრები, მოქალაქეები და აშ.). სამაზრო და საგუბერნიო დონეზე, ფაქტობრივად, არ არსებობდა სასამართლოს ელემენტარული დამოუკიდებლობა, რამდენადაც გუბერნატორს შეეძლო ყველა ამ სასამართლოს გადაწყვეტილება შეეჩერებინა ან გაეუქმებინა. ერთი მხრივ, სასამართლოში წოდებათა წარმომადგენლების კომპეტენცია და პროცესში ჩართულობის მოტივაცია ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა და, ამავდროულად, მათი უმრავლესობა თავს ადმინისტრაციულდ მოხელედ აღიქვამდა და გუბერნატორების ნებაზე იყო დამოკიდებული. ამავე დროს, მათი უმრავლესობა დამოუკიდებლად ვერ რისკავდა მკაფიო და მკაცრი გადაწყვეტილების მიღებას და, შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში აშკარა დამნაშავეთა მიმართ გამამტყუვნებელი განაჩენი არ ღებობდა და რეფორმამდელი სასამართლოს სტატისტიკით ბრალდებულთა მხოლოდ 12 %-ის მიმართ იყო კონკრეტული სასჯელი გამოყენებული, დანარჩენები კი „ექვევქვე“ და „პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ“ იყვნენ მოქცეული, რაც იმ დროის რეალიებით ადამიანის ფაქტობრივ სამოქალაქო სიკვდილს ნიშნავდა, რადგან მისთვის ყველა ოფიციალური სამსახურისა და სხვა სერვისების მიღების გზა დახშული იყო.<sup>2</sup> რიგი სისხლის სამართლის საქმეების კატეგორიიდან, საერთოდ სასამართლოს ამ ორგანოთა კომპეტენციის მიღმა იყო და მასზე გადაწყვეტილებას საპოლიციო აპარატი იღებდა.

თავად ამ მრავალსაფეხუროვან ვერტიკალში საქმის წარმოების წესი, ფაქტობრივად, გამორიცხავდა ზეპირ მოსმენებს. პროცესი, ძირითადად, წერილობით მიმდინარეობდა და ხშირად მოსამართლე განაჩენს ისე გამოიტანდა, რომ მხარეებს ფიზიკურად არ ხვდებოდა. შესაბამისად, პროცესი დახურული იყო და მხარეთა შეჯიბრობითობის პრინციპი კი – გამორიცხული. საზოგადოების ჩართულობა პროცესის დახურულობის, წერილობითი ხასიათისა და სასამართლოს წოდებრივობის გამო, ასევე წარმოუდგენელი იყო. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ათწლეულების განმავლობაში იმპერიის მოსახლეობას მკაფიოდ ჰქონდა ჩამოყალიბებული შთაბეჭდილება, რომ პრაქტიკაში მართლმსაჯულება არა „არჩეული“ მოსამართლეების, არამედ სასამართლოს კანცელარიის მოხელეების – მდივნების – ხელში იყო, რომლებიც ადმინისტრირებდნენ დოკუმენტაციის ამ უსასრულო ნაკადებს. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილ ბიუროკრატიულ ჯოჯოხეთს აგვირგვინებდა ის მოცემულობაც, რომ პირველი საფეხურების შემდეგ სასამართლოს ყველა ზემდგომ ინსტანციას შეეძლო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განსახილველად უკან დაბრუნება, რასაც შედეგად მოჰყვებოდა პროცესის წარმოუდგენელი გაჭიანურება – ათწლეულების განმავლობაშიც კი და ხშირად მიმდინარე სასამართლო წარმოება მხარეების შთამომავლებზე მემკვიდრეობით გადადიოდა ხოლმე.

1860-იან წლებში რუსეთის იმპერიის ისტორიაში იშვიათი და მცირეხნიანი რეფორმების მორიგი ეტაპისას, იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ ინიცირებულ რიგი დასავლური ყაიდის რეფორმათა შორის სასამართლო სისტემის მოდერნიზებას განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. საიმპერატორო სახელმწიფო საბჭოს კომისია წლების განმავლობაში აქტიურად მუშა-

2 გ.რ., სასამართლო რეფორმა 1864 წლისა, ცნობის ფურცელი (გაზეთი) #2709, 25.12.1904 წელი, გვ. 2-3.

ობდა არსებული მოდელის თანამედროვე, გამოცდილი და სანდო სისტემით ჩასანაცვლებლად, რისთვისაც საუკეთესო ვარიანტად დასავლური, ევროპული გამოცდილება მიიჩნეოდა.

1864 წლის ახალი სასამართლო დებულების დეკლარაციული სულისკვეთებით რუსეთის იმპერიაში დასავლური მართლმსაჯულების საუკეთესო გამოცდილების გადმონერგვა დაიწყო. სასამართლო სისტემა გამარტივდა, მოისპო მრავალსართულიანი ინსტანციები და დაწესდა სამომრიგებლო და საერთო სასამართლოები (სამოქალაქო და სისხლის სამართლის). ჩამოყალიბდა საოლქო სასამართლოები, სასამართლო პალატა და სენატი. მართლმსაჯულება დაეფუძნა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის, პროცესის ზეპირი მოსმენების და მისი ღიაობის პრინციპს. მოისპო წოდებრიობა და შემოღებულ იქნა მოსამართლეთა არჩევითობა. მოსამართლეთათვის სავალდებულო გახდა პროფესიული განათლების ქონა. მათი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად ისინი სახელმწიფო მოხელეთა ტაბელიდან გამოიყვანეს და არჩევითობა მუდმივი გახადეს. სისხლის სამართლის საქმეებისათვის დაფუძნდა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი.

სწორედ „დიდი რეფორმების ხანაში“ სასამართლო სისტემის რეფორმის კვალდაკვალ რუსეთის იმპერიაში გაჩნდა ადვოკატის – „ნაფიცი ვექილის“ – პროფესია. შემდგომი ათწლეულების პრაქტიკით, ნაფიცი ვექილები სასამართლო ოლქებში კორპორაციებად ერთიანდებოდნენ და საბჭოს ქმნიდნენ, რომლის წევრობაც და ვექილთა თანაშემწედ მუშაობა ადვოკატთა ახალ კადრებს გზას უხსნიდა პროფესიული პრაქტიკის დაგროვებისა და ნაფიც ვექილად ჩამოყალიბებაში.

სასამართლო რეფორმას, ისევე, როგორც 1860-იანი წლების სხვა რეფორმებს, დამტკიცებამდე მოეპოვებოდა ძლიერი მოწინააღმდეგე წრეები, რომელთათვისაც ყოველივე პროგრესული და განსაკუთრებით დასავლური გამოცდილება რუსული სახელმწიფოებისათვის საფუძვლებისათვის შეუთავსებლად მიაჩნდა და მათ აღმოფხვრას ჩანასახშივე ცდილობდა. 1860-1870-იანი წლების განმავლობაში აბსოლუტიზმის მომხრე ამ ელიტების მაქსიმალური მობილიზებით დაიწყო სასამართლო დებულების მიერ შემოტანილი დასავლური მართლმსაჯულების პრინციპების ნელ-ნელა შეკვეცა, მასში შესწორებების შეტანის გზით. იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობისა და მემკვიდრის – ალექსანდრე მესამის მიერ მკაცრი, რეაქციული კურსის გატარების კვალდაკვალ კი ამ პროცესმა ახალი მასშტაბები შეიძინა და უკვე 1890-იანი წლების ბოლოსათვის 1864 წლის დებულებაში 700-მდე შესწორება იყო შეტანილი,<sup>3</sup> რითაც საწყისი სადამფუძნებლო პრინციპებიდან პრაქტიკულად აღარაფერი იყო დარჩენილი.

კავკასიაში რეფორმირებული სასამართლო დებულების დამკვიდრება 1867 წლიდან დაიწყო. მოეწყო საოლქო სასამართლოები და ტფილისის სასამართლო პალატა. ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში შეიქმნა ნაფიც ვექილთა საბჭოები. დაფუძნდა „კავკასიის იურიდიული საზოგადოება“.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო რეფორმას რუსეთის იმპერიის მოსახლეობის უფლებრივი განვითარებისათვის უდავოდ პროგრესულ აქტად მიიჩნევდნენ, მას, ისევე, როგორც რე-

3 სასამართლოს წესდების გადასინჯვის გამო, მოამბე (ჟურნალი) #8, 1895 წელი, გვ.168

ფორმათა პაკეტის სხვა ერთეულებს, დასაწყისიდანვე თან სდევდა რუსული კოლონიური და შოვინისტური სინდრომი. იმპერიის ელიტებში წინაგანი წინააღმდეგობის – აბსოლუტიზმის – შესუსტების შიშის გამო, რაც რეფორმების შეკვეცილი და შეზღუდული ვერსიების დამკვიდრებაში გამოვლინდა, ამ პროცესს თავიდანვე არაჯანსაღი სახე მიეცა. ეს არასრულფასოვნება განსაკუთრებით ძლიერდებოდა არარუსული მოსახლეობით დომინირებული „განაპირა მხარეებზე“ რეფორმათა სიკეთეების გავრცელების საკითხში, რაც დიდწილად ამ ზონებში რეფორმების დაგვიანებაში, დამატებით შეკვეცასა და ან საერთოდ დაუშვებლობაში გამოიხატებოდა.

სასამართლო რეფორმაც კავკასიაში ამ კოლონიური განზომილების მსხვერპლი გახდა. ყველა ის სიკეთე, რომელთაც 1864 წლის სასამართლო დებულება მოიცავდა და იმპერიის მოსახლეობაში სასამართლოს პრესტიჟი და მართლმსაჯულებისადმი ნდობა მკვეთრად გაზარდა, კავკასიაში და საქართველოში ფუჭი აღმოჩნდა, რამდენადაც სასამართლო – ექსკლუზიურად რუსულენოვანი იყო, რაც სამართალწარმოებას ადგილობრივ არარუსულენოვანი მოსახლეობისათვის გაუგებარსა და შუამავალი თარჯიმანის გარეშე მიუწვდომელს ხდიდა.<sup>4</sup> „სეპარატიზმის“ შიშით იმპერია კატეგორიულად არ უშვებდა სახელმწიფო სტრუქტურებში რუსულის გარდა სხვა ენის, თუნდაც ადგილობრივ, ელემენტარულ დონეზე, საქმისწარმოებაში გამოყენებას და, შესაბამისად, ქართული მოსახლეობის რუსულენოვან სასამართლოსთან გაუცხოება კვლავ სტაბილურად გრძელდებოდა.

ენობრივ კოლონიურ განზომილებას დამატებითი პოლიტიკური ფაქტორებიც ემატებოდა: იმპერიამ კავკასიაში არ დაუშვა 1864 წლის სასამართლო დებულების ორი პრინციპულად მნიშვნელოვანი ელემენტი – მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევითობა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება. კავკასიაში მოსამართლეებს იუსტიციის სამინისტრო ნიშნავდა, რითაც ფუნდამენტურად ირღვეოდა სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი, რადგან მოსამართლეები ადმინისტრაციაზე დამოკიდებულები ხდებოდნენ. ნაფიც მსაჯულთა უარყოფა კი საზოგადოებას მართლმსაჯულებაში ჩართულობის შანსს უსპობდა. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წინააღმდეგ აბსოლუტიზმის დამცველთა გაშმაგებული იერიშები „ველოკორუსულ“ ცენტრალურ ზონებშიც უწყვეტი იყო და, მით უმეტეს, „განაპირა მხარეებში“ მის დაუშვებლობას მეტროპოლიის აგენტები ყველა სხვა რეფორმის წინააღმდეგ დამუშავებული რიტორიკით ხსნიდნენ, რომ – ადგილობრივი არარუსი მოსახლეობა განვითარების დაბალ საფეხურზე იდგა, გაუნათლებელი იყო, ტომობრივად აზროვნებდა და მზად არ იყო ამ რეფორმისათვის.<sup>5</sup>

სასამართლო დებულებაში ცვლილებათა ტალღის შეჩერების და პირვანდელი სულისკვეთების აღდგენის შესაძლებლობის ილუზიები 1900-იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა. იპერიაში, ცარიზმის წინააღმდეგ მასობრივი პოლიტიკური მოძრაობების მობილიზების, მშვიდობიანი თუ შეიარღვეული პროტესტის ეპიზოდების პერმანენტული მატების ფონზე, რეჟიმის რეპრესიულმა პოლიტიკამ უკვე შეუდარებლად დიდი მასშტაბები შეიძინა. განსაკუთრებით, 1905 წლის პირველი რევოლუციის მცდელობის ჩახშობისა და იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს მიერ „შავი რეაქციის“ წამოწყების კვალდაკვალ, უფრო გაფართოვდა არასასამართლო წესით

4 ჩენი საჭიროებანი; ტფილისი, 24 მარტს, დროება (გაზეთი) #63, 25.03.1882, გვ. 1-2.

5 სასამართლოს წესდების გადასინჯვის გამო, მოამბე (ჟურნალი) #8, 1895 წელი, გვ. 176-183.

მოქალაქეთა დასჯის პრაქტიკა, საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადებითა და სამხედრო-საველე სასამართლოების მაქსიმალური მობილიზებით, „პოლიტიკურ დამნაშავეთა“ – სწრაფად და მიკერძოებულად გასამართლებით.

ამ პროცესებსა და პერიოდს უკავშირდება საქართველოში მომუშავე იმ ადვოკატთა ნაწილის, რომლებიც სხვადასხვა იატაკქვეშა პოლიტიკური პარტიების ლიდერებიც იყვნენ, პროფესიული მობილიზაცია და არაფორმალური კორპორაციის დაფუძნება, რომელიც მიზნად ისახავდა პოლიტიკურ საქმეებში ბრალდებულთა დაცვასა და უფასო იურიდიულ კონსულტაციებს პოლიტიკური საბაბით შევიწროებული მოქალაქეებისათვის. ამ კორპორაციაში შემავალი მხოლოდ რამდენიმე ადვოკატის ვინაობაა ცნობილი<sup>6</sup>: ნიკო ელიავა, კონსტანტინე ჯაფარიძე და გრიგოლ გიორგაძე, რომლებიც პოპულარული და წარმატებული იურისტები, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები იყვნენ და მომდევნო ხანებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებლებიც გახდნენ.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში, ყველა დემოკრატიულად განწყობილი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მსაგასად, ტფილისისა და ქუთაისის ნაფიც ვექილთა საბჭოები მაქსიმალურად ცდილობდნენ თავიანთი ავტორიტეტი და უფლებამოსილება გამოეყენებინათ დემოკრატიული რეფორმების მოთხოვნის კამპანიის გაძლიერებისათვის. 1905 წლის 20 მარტს (ძველი სტილით) ტფილისში ნაფიც ვექილთა და თანაშემწეთა კრებაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, რომელიც მოითხოვდა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევას საყოველთაო დემოკრატიული არჩევნების გზით და მის მოწვევამდე სიტყვის და კრების თავისუფლებას, პიროვნების უფლებათა ხელშეუხებლობის გარანტიებსა და პოლიტიკურ პატიმართა განთავისუფლებას.<sup>7</sup>

ნაფიცმა ვექილებმა შეუტყის „კავკასიის იურიდიულ საზოგადოებასაც“, რომელსაც ათწლეულების განმავლობაში ფორმალურად არსებობასა და უძრაობაში სდებდნენ ბრალს. 1905 წლის 20 ნოემბერს, ინიციატორებმა საერთო კრებაზე ახალი გამგეობა და თავმჯდომარე აირჩიეს. საზოგადოების თავმჯდომარე, ცნობილი დემოკრატი ვექილი – მათე გრუზინბერგი გახდა, მოადგილეები – ვერხოვსკი და შევალიე, მდივნები – ისაია დოლუხანოვი და ივანე ზურაბიშვილი. ახალმა შემადგენლობამ საზოგადოებიდან გარიცხა კავკასის ყოფილი მთავარმართებელი თავადი გოლიცინი; კრებაზე დადგა – სიკვდილით დასჯის გაუქმებისა და პოლიტპატიმართა ამნისტიის მოთხოვნის საკითხები. ცხარე დისკუსიის შემდეგ საზოგადოებამ დაადგინა წინა თვეებში ტფილისში ცარისტული რეჟიმისა და მისი სადამსჯელო რაზმების მიერ მოწყობილი ხოცვა-ჟლეტის გამოძიება, დამნაშავეთა დასჯა და გამოძიების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა მოეთხოვა.<sup>8</sup>

ადვოკატთა პროფესიული მობილიზების ოფიციალური და არაფორმალურ განზომილებაში ნაციონალური მომენტიც ნელ-ნელა აქტუალური ხდებოდა. ამ მხრივ, საეტაპო მნიშვნელობის

6 საქართველოს შსს აკადემიის არქივი. მე-2 განყოფილება (ყოფილი პარტიული ორგანოების არქივი), ფონდი #8, ანაწერი #2, ნაწილი 1, საქმე #58, გვ. 61-114.

7 კვირას, 20 მარტს...; ახალი ამბავი, ცნობის ფურცელი (გაზეთი) #2778, 22.03.1905 წელი, გვ. 3.

8 იურიდიული საზოგადოება, ცნობის ფურცელი (გაზეთი) #2956, 23.11.1905 წელი, გვ. 4.

მოვლენად მიიჩნეოდა 1917 წლის იანვარში, რევოლუციამდე კვირებით ადრე, კავკასიის ნაფიც ვეჟილთა საბჭოს თავმჯდომარედ ქართველი ადვოკატის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის – სერგი ჯაფარიძის არჩევა, რაც პირველი პრეცედენტი იყო საბჭოს ისტორიაში. მასთან ერთად საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ ოსიკო ბარათაშვილი, დავით ხელთუფლიშვილი, ნიკო ელიავა და გრიგოლ რცხილაძე.

## სასამართლოს რეფორმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში და კლდეკაბთა პროფესიული გაერთიანებაში

1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნებამდე, დემოკრატიულ – გარდამავალ პერიოდში, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მთავარ სფეროში ფუნდამენტური რეფორმების კონტურები იკვეთებოდა, თუმცა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ანარქიის აფექტების და რუსული ტოტალიტარიზმის გამარჯვების კვალდაკვალ ამ რეფორმების განვითარება, დახვეწა და პრაქტიკაში დანერგვა მხოლოდ იმ სივრცეებში მოხდა, სადაც, მაღალი სამოქალაქო კულტურისა და საზოგადოების მაქსიმალური მობილიზების შედეგად, შეძლეს მტკიცე დემოკრატიული ინსტიტუტების დაფუძნება და თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოების მშენებლობის წამოწყება. საქართველოს რესპუბლიკა, ამ მხრივ, ერთ-ერთ სამაგალითო და წარმატებულ პროექტად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელმაც შეძლო დემოკრატიული რევოლუციის მემკვიდრეობის შენარჩუნება და საუკეთესო დასავლური ინსტიტუციური გამოცდილების პრაქტიკაში დანერგვა, რითაც მყარი ფუნდამენტი შექმნა ეროვნული სახელმწიფოს განვითარებისათვის.

თებერვლის რევოლუციის მომდევნო თვეებში, საყოველთაო ეიფორიის ფაზის გავლისა და რუსული ცარიზმის და მსოფლიო ომის უმძიმესი მემკვიდრეობის გამკლავების გამოწვევისათვის თვალის გასწორების ფონზე, ყოფილ რუსეთის იმპერიაში, მათ შორის კავკასიაში და საქართველოში დროებითი მთავრობის სტრუქტურებისა და რევოლუციური ხელისუფლების ორგანოთა პარალელური მმართველობის, ძველი სახელმწიფო სისტემის დაშლის, ბიუროკრატიის ტრანსფორმაციისა და ფუნდამენტური რეფორმებისათვის მზადების პროცესის განზომილება იდგა. ამ ურთულეს მდგომარეობას თან ახლდა საგანგებო, დროებითი, სახელდახელო ორგანოებისა და სტრუქტურების მოწყობა, არსებული – ცარისტული სახელმწიფო დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და საკადრო შემადგენლობის მოშლა, ანარქიული ექსცესები საზოგადოებაში და სოციალური და ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება. ეს გარემო გავლენას ახდენდა სამართლებრივ გარემოზეც, რამდენადაც იურიდიულ სფეროში ახალი მოდელები ჯერ დადგენილი არ იყო, დროებით შეკვეცილი ცარისტული დებულებები გამოიყენებოდა და

პარალელურად რევოლუციური ორგანოები ქაოტურად ქმნიდნენ საგანგებო სასამართლოებს, ტრიბუნალებს და აშ.

საქართველოს პოლიტიკური კლასი, იუსტიციის სფეროს ფუნდამენტური რეფორმისათვის არსებითად დიდ ადამიანურ, ინტელექტუალურ რესურსებს ფლობდა. როგორც წინა ქვეთავში მიმოვიხილეთ, საქართველოს იურისტები და ადვოკატები პოლიტიკურად ძალზე აქტიურები იყვნენ და რეფორმატორული პროცესების ლიდერებად გვევლინებოდნენ. 1918-1919 წლები-სათვის საქართველოს მთავარ საკანონმდებლო ორგანოებში პროფესიულ ჯგუფთა შორის პოლიტიკოს ადვოკატთა წარმომადგენლობა ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო. 1917-1918 წლებში, საქართველოს ეროვნული საბჭოს (1918 წლის ოქტომბრიდან – საქართველოს პარლამენტის) შემადგენლობაში 21 იურისტი/ადვოკატი ირიცხებოდა,<sup>9</sup> რაც წევრთა საერთო რიცხვის 15,32 %-ს შეადგენდა და პროცენტულად მხოლოდ ჟურნალისტთა ჯგუფს ჩამორჩებოდა. 1918 წელს – ამიერკავკასიის სეიმის შემადგენლობაში 19 იურისტი იყო (19%) და პროცენტულად პირველი ადგილი ეჭირა. 1919 წლიდან, საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატებში კი 33 იურისტი/ადვოკატი იყო<sup>10</sup> (22,75%) და ამჯერად რიცხობრივად ყველაზე დიდ პროფესიულ ჯგუფს წარმოადგენდა.

საქართველოს პირველ კოალიციურ მთავრობაში იუსტიციის მინისტრის პოსტი, ცნობილ ადვოკატს, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ერთ-ერთ ლიდერს – შალვა ალექსი-მესხიშვილს ეჭირა, რომლის მინისტრობისასაც დაიწყო სამართლის სფეროს ფუნდამენტური რეფორმები. 1919 წლის მარტიდან, დამფუძნებელი კრების არჩევის და მთავრობის სოციალ-დემოკრატიული კაბინეტის დაკომპლექტების შემდეგ, იუსტიციის მინისტრი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი და თეორეტიკოსი, გამოცდილი ადვოკატი – რაჟდენ არსენიძე გახდა.

1918 წლის ზაფხულიდან სამართლის სფეროს ფუნდამენტური რეფორმისათვის მოსამზადებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ არსებითი ღონისძიებების გატარება დაიწყო. გაუქმდა ყველა განსაკუთრებული/საგანგებო სასამართლოები, რევოლუციური ტრიბუნალები, საგანგებო საგამოძიებო კომისიები, სასამართლო ფუნქციები ჩამოერთვა რევოლუციურ აღმასრულებელ კომიტეტებს.<sup>11</sup>

1918 წლის 2 ივლისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გაუქმებულად გამოაცხადა ჯაშუშობის საქმეთა საგამოძიებო კომისია.<sup>12</sup> 5 ივლისს გაუქმდა „საობლო სასამართლო“ და მისი მიმდინარე საქმეები მომრიგებელი მოსამართლეების წარმოების ქვეშ გადაარიცხა.<sup>13</sup> ამავე

9 სეა, სცსსა, ფონდი #1836, ანაწერი #1, საქმე #121, გვ. 2.

საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა, სახალხო საქმე (გაზეთი) #398, 01.12.1918 წელი, გვ. 4.

10 <https://firstrepublic.ge/ka/theme/19?profession=%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98>  
ნანახია 01.12.2023 წელი

11 მოკლე ანგარიში იუსტიციის სამინისტრო მოღვაწეობისა დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა დამფუძნებელ კრების მოწვევამდე (1918 წ. მაისის 26-ს – 1919 წ. მარტის 12 ს.), სახალხო საქმე (გაზეთი) #477, 11.03.1919 წელი, გვ. 1.

12 4. კანონი ჯაშუშობის საქმეთა კომისიის გაუქმებისა, საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული 1918 წ., იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება, ტფილისი, 1919 წელი.

13 9. დებულება ტფილისის საობლო სასამართლოს გაუქმებისა, საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული 1918 წ.,

დღეს გაუქმებულად გამოცხადდა „დროებითი საგამომძიებლო კომისიაც“<sup>14</sup> 9 ივლისს გაუქმდა წოდებრივი – საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულო და მომრიგებელი შუამავალის თანამდებობა.<sup>15</sup>

1918 წლის 10 სექტემბრის კანონით დაწესდა სასამართლო გამომძიებლის ინსტიტუტი. მათი რიცხვი კანონით განისაზღვრა, ხოლო ოლქის სასამართლოების საზოგადო კრებებს დაევაღათ საგამომძიებო უბნების საზღვრების დადგენა, რასაც იუსტიციის სამინისტრო დაამტკიცებდა. ტფილისის, ქუთაისის და სოხუმის საოლქო სასამართლოებში შენარჩუნდა შტატი – განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლისათვის (ტფილისი – 2, ქუთაისი 1, სოხუმი – 1).<sup>16</sup> მთელს რესპუბლიკაში კი, მათი ჩათვლით, სასამართლო გამომძიებელთა რიცხვი – 64 გახდა.

1918 წლის 20 და 24 სექტემბერს, სასამართლოს რეფორმის პირველი, გარდამავალი ფაზისათვის ორი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი ჩამოყალიბდა. 20 სექტემბერს იმ 1918 წლის 5 ივლისის კანონით განსაზღვრული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებათა (რომლებისთვისაც სიკვდილით დასჯა იქნა დროებით შემოღებული) განსახილველად მოეწყო დროებითი საგანგებო სასამართლო,<sup>17</sup> რომელიც, კანონის დათქმით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებამდე იმუშავებდა. 24 სექტემბერს კი დამტკიცდა კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა,<sup>18</sup> რითაც მოეწყო სასამართლოს პირველი საფეხური ქალაქებსა და მაზრებში. მაზრების მიხედვით განისაზღვრა სამომრიგებლო ოლქები (მასში მოქცეული ქალაქებით), ხოლო ოლქებს შორის სამომრიგებლო უბნები გამოიყო, რომელთა რიცხვი რესპუბლიკაში საწყის ეტაპზე 120-ით განისაზღვრა. სამომრიგებლო სასამართლოს უმაღლეს ინსტანციად – მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა შეიქმნა. ყრილობის წევრთა რიცხვი – 11-ით განისაზღვრა. ოლქებსა და უბნებში დაწესდა ასევე – საპატიო მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობაც. სამომრიგებლო სასამართლოს ოლქებში მოსამართლეებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები – საქალაქო საბჭო და სამაზრო ერობის საბჭო – ირჩევდა. საუბნო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლედ კანდიდატურის დაყენება შეეძლო საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებდა – კერძოდ, იქნებოდა 25 წლიდან ზემოთ, ექნებოდა საშუალო ან უმაღლესი განათლება (გამონაკლისი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში დაიშვებოდა), ეცოდინებოდა სახელმწიფო ენა და მის უბანზე 20%-ზე მეტით წარმოდგენილი ეროვნული უმცირესობის ენა. არ იქნებოდა გამოძების ქვეშ ან სასამართლოს მიერ უფლებააყრილი. იმ უბნებში, რომლებშიც ეროვნული უმცირესობები უმრავ-

იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება, ტფილისი, 1919 წელი.

- 14 11. კანონი საგანგებო საგამომძიებლო კომისიის გაუქმებისა 1918 წლის ივლისის შეიდიდან, საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული 1918 წ., იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება, ტფილისი, 1919 წელი.
- 15 15. კანონი საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულებისა და მომრიგებელ შუამავალთა ინსტიტუტის გაუქმებისა. საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული 1918 წ., იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება, ტფილისი, 1919 წელი.
- 16 56. კანონი სასამართლოს საგამომძიებო ნაწილის შეცვლისა, საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული 1918 წ., იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება, ტფილისი, 1919 წელი.
- 17 64. დებულება რესპუბლიკის დროებითი საგანგებო სასამართლოსი, საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული 1918 წ., იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება, ტფილისი, 1919 წელი.
- 18 66. კანონი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტისა, საქართველოს რესპუბლიკის კანონთა კრებული 1918 წ., იუსტიციის სამინისტროს საკოდიფიკაციო განყოფილება, ტფილისი, 1919 წელი.



ვლესობას წარმოადგენდნენ, სასამართლოში სახელმწიფო ენის გარდა ამ უმცირესობის ენის პარალელური გამოყენება კანონით გარანტირებული გახდა.

შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო სისტემა ამ ეტაპისათვის შემდეგნაირად გაფორმდა:

- პირველი შტო – სამომრიგებლო სასამართლო, მისი ზედა ინსტანციით, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობით.
- მეორე შტო – საოლქო სასამართლო, ზედა ინსტანციით – სასამართლო პალატა.
- მესამე შტო – სამხედრო სასამართლო.

1918 წლის აგვისტოს დასაწყისში, ტფილისში, ქართულ კლუბში „ქართული იურიდიული საზოგადოების“ დასაფუძნებლად ადვოკატთა საორგანიზაციო კრება შედგა.<sup>19</sup> კრებამ დააკომპლექტა კომისია საზოგადოების წესდების შესამუშავებლად, რომელსაც დამფუძნებელ ყრილობას წარუდგენდა. კომისიაში შედიოდნენ: იოსებ (იესე) ბარათაშვილი, ივანე ზურაბიშვილი, სარაჯიშვილი, გიორგი შალიბაშვილი, გიორგი (?) ლასხიშვილი და არტემ ახნაზაროვი. კომისია აგვისტო-სექტემბრის განმავლობაში ადვოკატის – გიორგი თევდორეს ძე ჟორდანიას ბინაზე იკრიბებოდა.<sup>20</sup> 1918 წლის 6 ოქტომბერს ტფილისის სასამართლო პალატის დარბაზში სადამფუძნებლო ყრილობა შედგა, რომელსაც 30 დელეგატი დაესწრო. საზოგადოების წესდების პროექტი ყრილობას გიორგი ჟორდანიამ გააცნო, რომელიც მოწონებული იქნა. ფარული კენჭისყრით აირჩიეს გამგეობა – დავით ბესარიონის ძე კვიციანი, გიორგი ზურაბის ძე ჩაჩიბაია, გიორგი ჟორდანიას, ი. ყიფშიძე, არტემ ახნაზაროვი, სიმონ ყარამანის ძე ჩხეიძე, ა.გ. ბებურიშვილი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ – დავით კვიციანი, მოადგილედ – გიორგი ჩაჩიბაია, მდივნად – გიორგი ჟორდანიას, ხოლო ხაზინადრად – არტემ ახნაზაროვი.<sup>21</sup> საქართველოს იურიდიული საზოგადოება პერმანენტულად იკრიბებოდა და მჭიდროდ თანამშრომლობდა იუსტიციის სამინისტროსთან მიმდინარე რეფორმების კურსის შემუშავებისა და დანერგვისათვის.

1919 წლის 7 იანვარს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულება.<sup>22</sup> სისხლის სამართლის საქმეთათვის დადგინდა ნაფიც მსაჯულთა სიების რიცხვი ოლქებისათვის, მსაჯულად არჩევის კრიტერიუმები და უზენაესი სასამართლოს – სენატის მოწყობამდე ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტისა და სასამართლო პალატების თანამიმართება.

1918 წლის ბოლოსათვის, უკვე განხორციელებული რეფორმების და სასამართლოს მოსამსახურეთა საკადრო ცვლილებების კვალდაკვალ, რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ უკვე შესაძლებელი გახდა სასამართლოს „გაეროვნება“ რეალობად ექცია. ოქტომბერში იუსტიციის მინისტრმა სასამართლო სისტემაში ცირკულარი გამოუშვა, რომლის მიხედვითაც წლის ბო-

19 ქართული იურიდიული საზოგადოება, საქართველოს რესპუბლიკა (გაზეთი) #12, 08.08.1918 წელი, გვ. 5.

20 ქართული იურიდიული საზოგადოების... საქართველოს რესპუბლიკა (გაზეთი) #28, 29.08.1918 წელი, გვ. 5.

21 კვირას, 8 ოქტომბერს...; საზოგადოებანი და კრებები, საქართველოს რესპუბლიკა (გაზეთი) #64, 12.10.1918 წელი, გვ. 6.

22 7. ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღებისა, 8. დებულება ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოსი, კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან არსებული (1920 წელს საქართველოს სენატთან არსებული) საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა, ტფილისი, 1920 წელი.

ლომდე საქმისწარმოების ენა აქამდე გამოყენებული ენები შეიძლება ყოფილიყო, ხოლო 1919 წლის იანვრიდან კი მთელი სისტემა სახელმწიფო ენაზე უნდა გადაწყობილიყო. მიუხედავად ამისა, იანვარში სასამართლო სისტემაში ვეჭილთა მიერ წარდგენილი 300-მდე სარჩელი დაგროვდა, რომლებიც ქართულ ენაზე არ იყო შედგენილი. შესაბამისად, მათზე საქმისწარმოება შეჩერდა და მოსარჩელებს უკან დაუბრუნათ, რამაც ვეჭილთა სერიოზული შეშფოთება გამოიწვია.

უკმაყოფილება საქართველოს პარლამენტის 1919 წლის 11 იანვრის სხდომაზე დამსწრე ვეჭილთა ისაია დოლუხანოვმა გაახმოვანა, რასაც იუსტიციის მინისტრმა შალვა-ალექსი მესხიშვილმა უპასუხა და ნაციონალიზაციის კურსი დაიცვა.<sup>23</sup>

პრობლემის გადასაჭრელად ტფილისში ვეჭილთა კრება გაიმართა. დამსწრეთა ნაწილი სასამართლოს გაეროვნებას ნაადრევად თვლიდა. კრებამ აირჩია განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევა ეშუამდგომლა მთავრობასთან, რომ ნაციონალიზაცია ნახევარი წლით გადადებულიყო. კომისია შეხვდა იუსტიციის მინისტრს შალვა ალექსი-მესხიშვილის, რომელმაც განუცხადათ, რომ შესანიშნავად ესმოდა არაქართულენოვან ვეჭილთა გასაჭირი და მათი საარსებო შემოსავლისათვის შექმნილი საფრთხე, თუმცა მის პირად განწყობას კანონზე მაღლა ვერ დააყენებდა. კომისიამ მინისტრის შემდეგ მინისტრთა კაბინეტს მიმართა, რომელმაც საკითხის გამოსარკვევად განსაკუთრებული კომისიის მოწყობას დაუჭირა მხარი. პარალელურად, სასამართლოს მოხელეთა წარმომადგენლებმა დელეგაცია გაგზავნეს იუსტიციის მინისტრთან და ნაციონალიზაციის გატარების პრინციპული მზაობა გამოხატეს და მისი დაუყოვნებლივი დაწყება მოითხოვეს, მიუხედავად ვეჭილთა ნაწილის პროტესტისა.<sup>24</sup>

28 თებერვალს გამოქვეყნდა<sup>25</sup> საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება, რომელიც რესპუბლიკის მთავრობის 1919 წლის 8 თებერვლის დადგენილებაზე დაყრდნობით აცხადებდა რომ ტფილისისა და ქუთაისის სასამართლო ოლქებში 1 მარტიდან ახლადმიღებული სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების წარმოება სახელმწიფო ენაზე უნდა განხორციელებულიყო შემდეგი პირობებით; ქუთაისის ოლქში ყველა საქმე, ტფილისის ოლქში სისხლის სამართლის საქმეები და სამოქალაქოს ის საქმეები, რომლებშიც მომჩივანი და მოპასუხენი ტფილისის მცხოვრებნი არ იყვნენ, ან ტფილისის მკვიდრი, მაგრამ ქართულენოვანი, მაშინ – წარმოება სახელმწიფო ენაზე იქნებოდა, ხოლო, თუკი ერთი მხარე მაინც არაქართულენოვანი – ამ შემთხვევაში რუსული ენის გამოყენება ნებადართული იყო. სახელმწიფო ენაზე საქმისწარმოება დაევალიათ სასამართლოს გამომძიებლებს, სოხუმის ოლქისა და ტფილისის ცალკეული უბნების გარდა.

1919 წლის 18 ივლისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაიწყო საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოს უმაღლესი ინსტანციის – სენატის – დებულების მუხლობრივი განხილვა. მწვავე დისკუსიების შემდეგ, სენატორთა პაროფესიული ცენზის, ვადით თუ უვადო

23 საქართველოს პარლამენტი, 11 იანვრის სხდომა, ერთობა (გაზეთი) #8, 12.01.1919 წელი, გვ. 3.

24 -ელა., სასამართლოს გარშემო, სახალხო საქმე (გაზეთი) #53, 09.02.1919 წელი, გვ. 2.

25 ბრძანება იუსტიციის მინისტრისა; იუსტიციის სამინისტროში, ერთობა (გაზეთი) #47, 28.02.1919 წელი, გვ. 3.

არჩევის და აშ. შემდეგ, დებულება შესწორებებით 1919 წლის 29 ივლისს მიღებულ იქნა.<sup>26</sup> დებულებით რესპუბლიკის სენატს ორი – სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა საკასაციო – დეპარტამენტისაგან შედგებოდა. სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში მოქცეული იყო საადმინისტრაციო განყოფილება. ქვემდგომ ორგანოებს წარმოადგენდა – საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრება, საკასაციო დეპარტამენტთა შერთებული საკრებულო. ყველა სასამართლო დაწესებულება სენატს დაექვემდებარა. სენატორთა რიცხვი 13-ით განისაზღვრა (სისხლის სამართლის დეპარტამენტი 5, სამოქალაქოს – 8), რომელთაც, თავმჯდომარესა და მის ამხანაგთან ერთად 2 წლის ვადით დამფუძნებელი კრება აირჩევდა, ხოლო შემდგომ კი პარლამენტი – 4 წლის ვადით. ორივე დეპარტამენტს თავისი პროკურორი უნდა ჰყოლოდა. სენატის დებულების ამოქმედება თარიღად – 1919 წლის 1 ოქტომბერს დადგინდა.

1919 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ კენჭი უყარა და აირჩია სენატორები.<sup>27</sup>

სენატის თავმჯდომარე – დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი.  
თავმჯდომარის ამხანაგი – ივანე მიხეილის ძე ნაკაშიძე.

სამოქალაქო საქმეთა საკასაციო დეპარტამენტი: ივანე ივანეს ძე ზურაბიშვილი,  
ვასილ ალექსანდრეს ძე ომიდოვი,  
სოლომონ გიორგის ძე მიქელაძე,  
ლევან გიორგის ძე ასათიანი,  
გიორგი ისიდორეს ძე მდინარაძე.

სამოქალაქო საქმეთა საკასაციო დეპარტამენტის ადმინისტრაციულ განყოფილებაში:  
დიმიტრი ივანეს ძე კალანდარიშვილი,  
გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი,  
ვლადიმერ ნესტორის ძე ქუთათელაძე.

სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო დეპარტამენტი:  
ნიკოლოზ მოსეს ძე ქიქოძე,  
მიხეილ ლევანის ძე ქორქაშვილი,  
ნიკოლოზ გიორგის ძე მაჭავარიანი,  
იოსებ ნიკოლოზის ძე როინიშვილი,  
გიორგი დიმიტრის ძე სიღამონ-ერისთავი.

საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო სისტემის ფორმირების ამ საბოლოო აქტის შემდეგ მართლმსაჯულების სფეროს რეფორმის დღის წესრიგში კვლავ დადგა ადვოკატთა/ვექილთა უფლება-მოვალეობის საკითხი. 1919 წლის 7 ნოემბერს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ განიხილა დეკრეტის პროექტი „ვექილობის უფლების განსაზღვრისა და ნაფიც

26 118. კანონი საქართველოს სენატის დებულების შემოღებისა. კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან არსებული (1920 წელს საქართველოს სენატთან არსებული) საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა, ტფილისი, 1920 წელი.

27 საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), ორმოცდამეათე (50) სხდომა, 1919 წელი, ოქტომბრის 7. ტფილისი, სასახლე.

ვექილთა ახალი საბჭოს არჩევისა.” პროექტის განმარტებაში დეპუტატი, ასევე ცნობილი ადვოკატი, სოციალ-დემოკრატი კირილე ნინიძე მიუთითებდა, რომ ნაფიც ვექილთა საბჭო, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერიის წესრიგით სასამართლო პალატის ნაწილად მოიაზრებოდა და ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის სასამართლო მოდელს უკვე აღარ შეესებამებოდა; ამასთანავე, არსებული საბჭო 1917 წელს იყო არჩეული 2 წლის ვადით და მას უფლებამოსილება უკვე გასული ჰქონდა და წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში ფიზიკურად აღარ იმყოფებოდა. ამასთანავე, საბჭოს წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომი არ იყო და, შესაბამისად, დეკრეტის პროექტი, რომელიც ვექილობის უფლებას საქართველოს მოქალაქეებს ანიჭებდა, ადვოკატთა ამ კატეგორიას უმუშევრობისთვის განწირულად ტოვებდათ. მსჯელობისა და შესწორებების შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ კომპრომისული ვარიანტი დაამტკიცა, რომლის მიხედვით, სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ადვოკატებს ჰქონდათ საქართველოში მუშაობის უფლება და რესპუბლიკა იტოვებდა უფლებას, ანალოგიური დაშვებით მიემართა ამ სახელმწიფოების მთავრობებისათვის.<sup>28</sup>

1919 წლის 11 ნოემბერს დეკრეტის დამტკიცების<sup>29</sup> შემდეგ არსებული საბჭო გაუქმდა და საქართველოს ნაფიც ვექილთა საბჭო ჩამოყალიბდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მართლმსაჯულების სისტემის ჩამოყალიბების საბოლოო აკორდი 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული საქართველოს კონსტიტუცია იყო, რომლის მე-6 თავით (მუხლები 76-83) უმთავრესი ფუძემდებლური პრინციპები განისაზღვრა.

## 1921 წლის საბჭოთა რუსული ოკუპაცია — სამართლებრივი გარემო ტოტალიტარულ სისტემაში

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე თავდასხმისა და ოკუპაციის შემდეგ საოკუპაციო ტოტალიტარულმა რეჟიმმა „პროლეტარიატის დიქტატურის“ ლოზუნგით, დაპყრობამდე არსებული, დასავლური დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნდამენტური რღვევა და მისი ჩანაცვლება ფიქციური საბჭოთა სახელმწიფოს, რეალურად კი უკიდურესად ცენტრალიზებული, ერთპარტიული სტრუქტურებით ჩანაცვლება დაუყოვნებლივ დაიწყო.

28 საქართველოს დამფუძნებელი კრება (სტენოგრაფიული ანგარიში), ორმოცდამეცხრამეტე (59) სხდომა, პარასკევი, ნოემბრის 7, 1919 წ. ტფილისი, სასახლე.

29 194. დეკრეტი საქართველოში ვექილობის უფლების განსაზღვრისა და ნაფიც ვექილთა ახალი საბჭოს არჩევისა, კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან არსებული (1920 წელს საქართველოს სენატთან არსებული) საკოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა, ტფილისი, 1920 წელი.

საოკუპაციო ხელისუფლების ორგანოს – „საქართველოს სსრ რევოლუციური კომიტეტის“ (რევკომი) – დედაქალაქ ტფილისში გამოჩენისთანავე მიღებული #1 ბრძანებით – საქართველოს სსრ საგანგებო კომისია (ჩეკა) ჩამოყალიბდა; ტოტალიტარული რეჟიმის ტერორის აპარატი, რომლის ექსკლუზიურ დაქვემდებარებაში გადავიდა „პოლიტიკური“ საბაბით მოქალაქეთა წინააღმდეგ საქმისწარმოება, რითაც მათ სრულიად მოუსპო პიროვნების ღირსების ხელშეუხებლობისა და სამართლიანი სასამართლოსა და თავის დაცვის ელემენტარული უფლებებით სარგებლობის საშუალება. 1950-იან წლებამდე, ფაქტობრივად, საბჭოური სასამართლო სისტემიდან სახელმწიფო/მოქალაქის დაპირისპირების სამართლებრივი განზომილება სრულიად ჩამოშორებული იყო ოფიციალური სასამართლო ორგანოებიდან და იგი ტოტალიტარული რეჟიმის უსაფრთხოების სამსახურს ჰქონდა დელეგირებული, რომელიც განსაკუთრებული და, ფაქტობრივად, შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდა – თავად აწარმოებდა ოპერატიულ ღონისძიებებს, აღძრავდა საქმეს, უძღვებოდა გამოძიებას, გამოჰქონდა განაჩენი და სისრულეში მოჰყავდა იგი. ჩეკა-შინსახკომი რეალურად მხოლოდ კომპარტიის წინაშე იყო ანგარიშვალდებული და მასზე საბჭოთა პროკურატურა, 1920-იანი წლების ბოლოდან, მხოლოდ უკიდურესად ფორმალურ ზედამხედველობას ახორციელებდა. ოკუპირებულ საქართველოში საბჭოთა რუსული ტოტალიტარული სისტემის ამ სადამსჯელო, არასასამართლო ორგანოს ანგარიშსწორების მსხვერპლი დაახლოებით 80,000-მდე მოქალაქე გახდა.

1921 წლის 1 მარტს საოკუპაციო რსფსრ მუშურ-გლახური მე-11 წითელი არმიის „რევოლუციურმა ტრიბუნალმა“, ფაქტობრივად, მიისაკუთრა უმაღლესი სასამართლო ინსტანციის ფუნქცია და ტფილისში მუშაობას შეუდგა.<sup>30</sup>

საოკუპაციო რეჟიმმა 1921 წლის 22 მარტს რევკომის #6 დეკრეტით განაცხადა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი სასამართლო სისტემა – „როგორც კლასობრივ პრინციპებზე აგებული, არ შეესაბამება ფართო შრომელი მასის მოთხოვნილებებს და ვერ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების სისწორით განხორციელებას“ და გაუქმებულად გამოაცხადა – საქართველოს რესპუბლიკის სენატი, სასამართლო პალატა მისი დეპარტამენტებით, სამხედრო სასამართლო და სამომრიგებლო სასამართლოები.<sup>31</sup> 15 აპრილს, #20 დეკრეტით კი საქართველოს ნაფიც ვეჟილთა საბჭო და თავად ნაფიც ვეჟილთა ინსტიტუტი მოსპო.<sup>32</sup> #78 დეკრეტით (09.11.1921) განისაზღვრა 1921 წლამდე მიმდინარე საქმეების დამთავრების წესი.

1921 წლის სექტემბრისათვის საოკუპაციო რეჟიმმა გადმონერგა საბჭოთა რუსეთში არსებული „სახალხო სასამართლოების“ მოდელი, რითაც საქართველოს სსრ-ში საბჭოურმა სასამართლო სისტემამ შემდეგი სახე მიიღო:

- უმაღლეს სასამართლო ორგანოს წარმოადგენდა უზენაესი რევოლუციური ტრიბუნალი.
- ქალაქებში – ტფილისში, ბათუმსა და ქუთაისში – მოქმედებდნენ რევოლუციური ტრიბუნალები.

30 რევონ ტრიბუნალში; ქრონიკა, კომუნისტი (გაზეთი) #5, 06.03.1921 წელი, გვ. 3

31 დეკრეტი #6; სენატისა და სხვა სასამართლო დაწესებულებათა გაუქმებისა, მოამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა (ჟურნალი) #1, 23.04.1921 წელი, გვ. 3.

32 დეკრეტი #6; სენატისა და სხვა სასამართლო დაწესებულებათა გაუქმებისა, მოამბე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა (ჟურნალი) #1, 23.04.1921 წელი, გვ. 11.

- მაზრებსა და პატარა ქალაქებში – „სახალხო სასამართლოები“, განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულისათვის – მუდმივი სახალხო მოსამართლისა და 6 მორიგე სახალხო მსაჯულისაგან შემდგარი, სხვა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთათვის კი მუდმივი სახალხო მოსამართლის და 3 მორიგე სახალხო მსაჯულის შემადგენლობით.<sup>33</sup>

სახალხო მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები, დებულების თანახმად, ოფიციალურად, საბჭოთა არჩევნებში ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა რიგებიდან ირჩეოდნენ, რაც იმთავითვე დისკრიმინაციული იყო, რამდენადაც ხმის უფლების გარეშე ტოვებდა კერძო კაპიტალის მფლობელთა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილ მოხელეთა გარკვეულ კატეგორიებს, ხოლო მოსამართლეთა და მსაჯულთა არჩევა პრაქტიკაში ბოლშევიკური (კომუნისტური) პარტიის მკაცრი კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდა.

ამგვარმა წესრიგმა 2 წელი გასტანა. 1923 წელს არსებული სისტემა, ოფიციალური რიტორიკით, „პარალელიზმად“ მონათლა და საბჭოთა ფუნქციონერები და პრესა რეფორმის საჭიროებაზე ალაპარაკდა. საბჭოური იუსტიციის სფეროს წარმომადგენლები პრობლემას და მისი გადაჭრის გზებს შემდეგნაირად წარმოადგენდნენ:

*„...დღეს, როდესაც ქვეყნის მესაჭეობა პროლეტარიატმა აიღო ხელში, საჭიროა მართლმსაჯულებასაც შეეხოს ის, საღ ნიადაგზე დააყენოს.*

*საბჭოთა რუსეთში ეს საკითხი რადიკალურად არის გადაწყვეტილი. მართლმსაჯულების ყველა ორგანოდან გამოძევებულ იქნა კონტრ-რევოლუციონური არასაიმედო ელემენტები და მათ მაგიერ მოწვეულია მუშები.*

*რიგი ჩვენზეა, საქართველოს იუსტიციის კომისარიატი უკვე შეუდგა ამ საქმის მოგვარებას და ამ მხრივ სწარმოებს დიდი მუშაობა.*

*საბჭოთა გადატრიალების პირველ დღეებიდანვე ჩვენ გვიხდებოდა ძველ მართლ-მსაჯულების ნანგრევებზე ახალის შექმნა. სახალხო სასამართლო ადგილებზე (წვრილ ერთეულებში), სახალხო სასამართლოს საბჭო ცენტრში არჩევდნენ სამოქალაქო ხასიათის სისხლის სამართლის საქმეებ. მათვე არჩევდნენ რევ. ტრიბუნალებიც. აქედან ცხადია, რომ მართლ-მსაჯულება ორი ორგანიზაციით მიმდინარეობდა. რის გამო, მივიღეთ არა სასურველი პარალელიზმი. ამიტომ ორმაგი შტატი, ორმაგი ენერგიის და რესურსების ხარჯვა და ძალიან ხშირათ ფუნქციათა არე-დარევა – აი დაახლოებითი სურათი მართლ-მსაჯულების ორგანიზაციული სხემისა დღემდე ჩვენში...*

*...ამ რიგად აშკარაა, რომ ჩვენ თავი უნდა დვალწიოთ მართლ-მსაჯულებაში პარალელიზმს და აქედან გამომდინარე არა სასურველ შედეგებს. განთავისუფლება, გაჯანსაღება*

<sup>33</sup> გიორგი სიღამონ-ერისთავი, იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიზანი და დანიშნულება, გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა პირველ ყრილობას! გაუმარჯოს ამიერკავკასიის ერთა ძმურ კავშირს! გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ერთა ძმობას! ძღვნად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა | ყრილობას, მიწის მუშის რედაქციის გამომცემლობა, ტფილისი, 1922 წელი, გვ. 102-103.

სასამართლოსი მავნე ელემენტებისაგან, მაქსიმალურად შეყვანა იქ პროლეტარული ელემენტებისა, ე. ი. მუშებისაგან სასამართლოს შედგენა – აი უახლოესი მიზანი რეფორმისა.

ყალიბდება ამრიგათ მთლიანი სასამართლო სამ ინსტანციაში: ადგილობრივ სახალხო სასამართლოები, შემდეგ საკასაციო ინსტანცია სახალხო სასამართლოებისათვის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სასამართლოები და უმაღლესი ინსტანცია – უზენაესი სასამართლო რესპუბლიკის...<sup>34</sup>

საქართველოს სსრ პირველი მოწვევის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მეოთხე სესიაზე 1923 წლის 19 ივნისს მოსიმიანა რეფორმის ეს პროექტი და დაამტკიცა.<sup>35</sup>

## საქართველოს სსრ „დამცველთა კოლეგია“

1924 წლის 28 თებერვალს საქართველოს სსრ მეორე მოწვევის ცაკ-მა მეორე სესიაზე წინა წელს დამტკიცებულ „სასამართლოს წყობილების დებულებაში“ ცვლილებები და დამატებები შეიტანა.<sup>36</sup> ამ ცვლილებების ძალით მოეწყო საქართველოს სსრ აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს ოლქის სასამართლოების სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა „დამცველთა კოლეგია“. კოლეგიის წევრობა საბჭოთა სასამართლოს მოსამართლეთა და მსაჯულთა მსგავსად მხოლოდ ხმის უფლების მქონე და უმაღლესი იურიდიული განათლების ადვოკატებს შეეძლოთ. კოლეგიის წევრები ირჩევდნენ პრეზიდიუმს რომელიც ორგანიზაციის საქმიანობას წარმართავდა. გაიწერა დამცველთა გასამრჯელოს განსაზღვრის პრინციპები. „დამცველთა კოლეგიის“ დებულება საქართველო სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა.

მიუხედავად დებულების დათქმისა, დამცველთა კოლეგიაში თავი მოიყარა საქართველოში მცხოვრებ ძველ, გამოცდილ ადვოკატთა უმრავლესობამ. კოლეგიის არსებობის დაშვების პარალელურად, საოკუპაციო ტოტალიტარული რეჟიმის იუსტიციის სფეროს არქიტექტორებმა, საბჭოთა პრესაში იმთავითვე სიძულვილის კამპანია გააჩაღეს ადვოკატთა პროფესიული გაერთიანების წინააღმდეგ. საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარმა, იაკობ ვარძელმა „აბლაკატებს“ ზიზღითა და ბრაზით სავსე წერილი მიუძღვნა:

„...ვისგან შესდგებიან ეს „დამცველები“; მათ რიგში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ხელისუფლების მიერ განდევნილ მოსამართლეებს; ხელმწიფის და მენშევიკების სასამართლოებში „გამოცდილ“ ჩინოვნიკებს, ძველ იურისტებს, რომელნიც პოლიტიკური სოციალური და მორალური

34 დ. ნასარიძე, ჩვენი მართლმსაჯულება, კომუნისტი (გაზეთი) #58, 23.03.1923 წელი, გვ. 1.

35 სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის მეოთხე სესია, კომუნისტი (გაზეთი) #139, 20.06.1923 წელი, გვ. 1-2.

36 20. დადგენილება #88, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლო წყობილების დებულების ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შესახებ, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული #1, ნაწილი პირველი (1924 წელი) ტფილისი, 1925 წელი, გვ. 51-53.

მოსაზრებების გამო ვერ იქნენ დაშვებული საბჭოთა სასამართლოებში სამუშაოდ; მათ გარდა, არსაკვირველია, ამ საქმეში ხელს ითბობენ ყოველგვარი აფერისტები, შუღერები და სხვა.

მთელი ეს კომპანია ერთი საერთო მიზნით არის გამსჭვალული; მოხერხებულად, ჩუმად ისარგებლონ გლეხების შეუგნებლობით და მათი უცოდინრობით, თვალი და ჭკუა აუბნიონ მოსამართლეს ყალბი ცნობების მიწოდებით, საქმის გაჭიანურებით და სხვა.

რისთვის – იმისთვის, რომ „გაითქვან“ სახელი და უფრო გაბედულად განაგრძონ „კლიენტების“ ყვლეფა.

გათხსირებული „აბლაკატები“ აწარმოებენ ამ თავიანთ „კეთილ“ მოღვაწეობას არა მარტო სოფლებში, არამედ ქალაქებშიაც. მათ ესელშია დღეს გაბმული ბევრი მუშა და გლეხი, რომელნიც აძლევენ მათ ოფლით შეძენილ უკანასკნელ სალსარსაც კი.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს პირნი არავითარ სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებს არ იხდიან.

საუბედუროდ უნდა ითქვას, რომ ბევრი მშრომელი დღემდის დარწმუნებულია იმაში, რომ თუ საქმე „აბლაკატს“ არ მიანდო, ისე სასამართლოში ის ვერ დაიცავს თავის ინტერესებს. მას ფსიქოლოგიურად ვერ წარმოუდგენია სასამართლოში საქმის დაწყება „უაბლაკატოდ“:

მშომელი მასის ინტერესები და მუშურ-გლეხურ სასამართლოს ავტორიტეტი მოითხოვენ, რომ ამ მოვლენას გაეწიოს სასტიკი ბრძოლა. მოწინავე მუშების და გლეხების მოვალეობას შეადგენს მიაწოდონ სახალხო და საოლქო სასამართლოებს ცნობები ჩუმ „აბლაკატების“ მოქმედების შესახებ. ადგილობრივი მოსამართლეები მოვალენი არიან პასუხისმგებლობის ქვეშ, მაზრის აღმასკომების საშუალებით, ჩამოაშორონ ხალხს და სასამართლოს ამგვარი „მეგობრები“. სასამართლომ უნდა იცოდეს და აცნობოს ფართო მასას, რომ დამცველთა კოლეგიის წევრის გარდა არც ერთ სხვა პიროვნებას, თუ ის არ იქნება მხარეთა ინტერესების კანონიერი წარმომადგენელი, არ აქვს გასავალი ჩვენს სასამართლოებში. საუკეთესო იარაღად ჩუმ „აბლაკატების“ წინააღმდეგ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ კონსულტაციების გამრავლება მაზრებში და რაიონებში...“<sup>37</sup>

ადვოკატთა წინააღმდეგ სიძულვილის ეს კამპანია განსაკუთრებით დაუნდობელი ხდებოდა საოკუპაციო რეჟიმის მიერ მოწყობილი მნიშვნელოვანი – „საჩვენებელი“ სასამართლო პროცესებისას. 1924 წლის მარტში საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის და საკათალიკოსო საბჭოს წევრების გასამართლების დროს, ბრალდებულთა ადვოკატები, დამცველთა კოლეგიის წევრები – კირილე ნინიძე, იესე ბარათაშვილი, სამსონ დადიანი, პეტრე ქავთარაძე, ანტონ გელაზაროვი, ირაკლი გუნცაძე, მიხეილ მღვდლიშვილი და ალექსანდრე ყანჩელი – გახდნენ რეჟიმის საინფორმაციო პროპაგანდის და სასამართლოს დარბაზში მობილიზებული პარტიული აქტივის შეურაცხყოფისა და აგრესიის ობიექტები. საბჭოთა პრესა ისტერიულად ლანძღავდა

37 ი. ვარძიელი, „აბლაკატების“ წინააღმდეგ საჭიროა სასტიკი ბრძოლა, კომუნისტი (გაზეთი) #182(1037), 13.08.1924 წელი, გვ. 1



მათ და საკათალიკოსო საბჭოს წევრთა „დანაშაულის“ პოლიტიკურ თანამონაწილეებათ წარმოაჩენდათ. 1924 წლის 14 მარტს გაზეთმა „კომუნისტი“ ადვოკატებს მოწინავე სტატია მიუძღვნა მრავლისმეტყველი სათაურით – „ხალხის მტრებს და მოღალატეების იცავენ მხოლოდ ხალხის მტრები და მოღალატეები“, რომელშიც რეჟიმი ღიად იმუქრებოდა:

„...რასაკვირველია, მათივე მსგავსი მტრები და მოღალატეები ჩვენი ხალხის, გაიძვერა „პოლიტიკანები“, პოლიტიკურ სინდისზე ხელაღებული აბლაკატები მენშევიკებიდან და ფედერალისტებიდან ე.ი. იმ ჯგუფებიდან, რომლებმაც კონტრ-რევოლიუციონერობა, რეაქციონური ჩხირ-კდელაობა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა გაიხადეს თავიანთ პროფესიად, სწორედ ეს „გმირები“ „თავისუფალი პროფესიისა“ გამოდიან დღეს ნაძალადევი კლერიკალური კონტრ-რევოლიუციის გმირების საძველათ და დასახსნელათ.

საქართველოს და კერძოთ ტფილისის მშრომელმა ხალხმა უნდა იცოდეს ეს. მან უნდა იცოდეს ვის ასამართლებენ და ვინ ცდილობს უშველოს დამნაშავეებს და ეს იცის კიდევაც მან.

... ტყუილათ ცდილობენ დამცველთა კოლეგია და პირადათ ბატონი ნინიძე ჩააჩუმონ პრესა, არ ათქმევინონ მას ის, რაც სათქმელია.

ბატონმა ნინიძეებმა აამეტყველეს თავის დროზე ამბროსი, მათ უჩვენეს მას გენუის მისამართი. კოვზი ნაცარში ჩაუფარდათ. დღეს სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის, ეკუთვნის მშრომელ ხალხს და ისიც თავის წარმომადგენლების პირით იტყვის ამ სიტყვას.<sup>38</sup>

1925 წლისათვის საქართველოს სსრ მასშტაბით დამცველთა კოლეგიაში დაახლოებით 200-მდე ადვოკატი იყო გაერთიანებული.

ტოტალიტარული რეჟიმი, რომელიც 1920-1930-იანი წლების განმავლობაში ვერ ფლობდა საზოგადოების ფართო ფენებში ლოიალობის რესურსს, ეფექტიან კონტროლს ძირითადად ტერორის ინსტრუმენტების გამოყენებით ახორციელებდა. იგი დამცველთა კოლეგიაშიც ვერ ახერხებდა „საბჭოთა ადვოკატების“ უმრავლესობის შექმნას, მის კონტროლსა და განეიტრალებას კი პერმანენტული წმენდებით ცდილობდა.

დამცველთა კოლეგიის წმენდის პირველი კამპანია 1925 წლის იანვარში ჩატარდა. კოლეგიიდან გარიცხეს 8 წევრი, ხოლო მექანიკურად გარიცხულად ცნეს 14 წევრი.<sup>39</sup>

წმენდის მორიგი, უფრო დაუნდობელი ფაზა 1929 წელს დადგა. ადვოკატთა მორიგი ოსტრაკიზმის ანონსი საბჭოურ პრესაში ძველმა ბოლშევიკმა გიორგი სტურუამ გაახმოვანა, რის აუცილებლობასაც იგი, რუსული ბოლშევიკური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, უაღრესად სანიმუშო არგუმენტაციით ხსნიდა:

„...დიახ, ჩვენი მოსამართლენი და პროკურორები ისე არ არიან გაწვრთნილი ჩვენს კანონებში, როგორც დამცველები, და, შეიძლება, ისე გარკვევით და მტკიცედ ვერ ახერხებენ ისინი

38 „ხალხის მტრებს და მოღალატეების იცავენ მხოლოდ ხალხის მტრები და მოღალატეები“ კომუნისტი (გაზეთი) #60(915), 14.03.1924 წელი, გვ. 1

39 დამცველთა კოლეგიის გაწმენდა, სია იმ წევრებისა რომლებიც გამორიცხული არიან დამცველთა კოლეგიიდან, კომუნისტი (გაზეთი) #17(1172), 21.01.1925 წელი, გვ. 7.

თავისი განაჩენის ჩამოყალიბებას, როგორც ეს საჭიროა; მაგრამ განა ყველაფერი ეს უფლებას აძლევს დამცველ მხარეს, ასე გაამასხარავოს და აბუჩად აიგდოს პროლეტარულ სასამართლოს წარმომადგენლები?

იმის მაგიერ, რომ დამცველი მხარე ეხმარებოდეს ჩვენს მოსამართლეებს და პროკურორებს, როლმებიც მუშებმა და გლეხებმა გამოჰყვეს თავის წრიდან, იმის მაგიერ, რომ დამცველი მხარე ხელს უწყობდეს ჩვენი სახალხო სასამართლოებისა და პროკურატურის ავტორიტეტის ზრდას, – ზოგიერთი „დამცველი“ გადადის პირდაპირ იერიშზე მათ წინააღმდეგ და არ ერიდება არავითარ საშუალებას მათი ტალახში ამოსვრის მიზნით.

ჩვენ არ მივცემთ ამის უფლებას გათავხედებულ „დამცველებს“.

...ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო ამ ჩვენი მითითებიდან გამოიტანს სათანადო დასკვნას და, ისარგებლებს რა საბჭოთა აპარატის წმენდით, თვითონ გაატარებს დამცველთა კოლეგიის რიგების წმენდას, რომ დაამყაროს ნორმალური დამოკიდებულება სასამართლოსა და პროკურატურისა, ერთის მხრივ, და დამცველთა კოლეგიას შორის, მეორე მხრივ.<sup>40</sup>

თავისთავად, იუსტიციის სახალხო კომისარიატმა და უზენაესმა სასამართლომ რეაგირება არ დაახანეს. რამდენადაც ადვოკატის, ირაკლი რაზმაძის, პირად არქივში დაცული ოქმი<sup>41</sup> გვაძლევს წარმოდგენას, მეორე – მასშტაბური წმენდის შედეგად დამცველთა კოლეგიიდან – 61 წევრი გარიცხეს. ნიმუშად მოგვაქვს გარიცხულ ადვოკატთა კომისიის მიერ მომზადებული დანასიათება და „ბრალდებები“:

„...“

არუთინოვი სამსონი სტეფანეს ძე – სომხეთის სახალხო პარტიის ცნობილი მოღვაწე, დაშნაკთა მთავრობის ყოფილი მინისტრი... საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე და საბჭოთა მშენებლობისადმი უარყოფითად განწყობილი. ხაზგასმით – კლასობრივი მტრების დაქირავებული დამცველი. ცდილობს სასამართლოს დაბნევას ყალბი დოკუმენტაციით.

...

ბოკერია ევგენი გრიგოლის ძე – სოციალისტ-ფედერალისტთა (მემარჯვენეების) პარტიის ყოფილი წევრი, საბჭოთა ხელისუფლების აშკარა მოწინააღმდეგე. აქებს ბურჟუაზიულ საქართველოს, ცილს სწამებს პროლეტარიატის დიქტატურას და ხელიდან არ უშვებს ყველა მოხერხებულ მომენტს, რომ აგიტაცია გასწიოს საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებების წინააღმდეგ. არაერთგზის იყო დაპატიმრებული გეპუუს მიერ. ყოფილი სახლის მესაკუთრე. დამცველთა კოლეგიის ამორალური წევრი.

...

40 გ. სტურუა, საჭიროა დამცველთა კოლეგიის გაწმენდა, კომუნისტი (გაზეთი) #210 (2556), 12.09.1929 წელი, გვ. 2.

41 Протокол заседания комиссий по чистке членов коллегий ЗАЩИТНИКОВ, ქეთევან დადიანი-რაზმაძის კოლექცია, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, საზოგადოებრივი არქივი.

კანდელაკი მელქისედეკ სპირიდონის ძე – მუშაობს მაკლერთა დახმარებით. თხზავს და ავრცელებს ყოველგვარ ჭორებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ირონიზირებს სასამართლოს მუშაკებს.

...

**ლომინაძე** გრიგოლ იოსების ძე – მიწადმოქმედების სამინისტროს ყოფილი იურისკონსულტი, ხოლო მენშევიკების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და განსაკუთრებული რაზმის. აქვს დისციპლინარული დარღვევები. გარიცხული იყო დამცველთა კოლეგიიდან. გაცნობიერებულად ამუხრუჭებს სწორი კლასობრივი ხაზის გატარებას თავისი ჩხირკედელაობითა და დაუნიტესესებლობით. ამორალურ მოქმედებებს არ ერიდება. დამცველთა კოლეგიის არაკურატული წევრი.

...

**ნინიძე** კირილე ისესე ძე – საბჭოთა ხელისუფლების მტერი; გამოუსწორებელი მენშევიკი. წმენდის დროს თავი გამოიწვევად ეჭირა და არ ისურვა ეპასუხნა, პოლიტიკური ხასიათის მთელი რიგი კითხვებისათვის.

...“

1931 წლის 13 მარტის დადგენილებით, საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და ცაკ-მა დამცველთა კოლეგია დაშლილად გამოაცხადეს, დროებითი დებულება დაამტკიცეს და საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს 2 თვის ვადაში მისი რეორგანიზაცია დაავალეს.<sup>42</sup> 1934 წელს დროებითი დებულება ახალი დებულებით შეიცვალა.

საქართველოს ადვოკატთა პრე-საბჭოთა თაობის გენერალური წმენდა-განადგურება დიდი საბჭოთა ტერორის დროს – 1937-1938 წლების განმავლობაში მოხდა. მასობრივი ტერორისას საბჭოთა სადამსჯელო აპარატმა იურისტთა ძველი თაობის მრავალი წარმომადგენელი დააპატიმრა, დახვრიტა ან „გულაგში“ გადაასახლა. მათ შორის იყვნენ დამცველთა კოლეგიის ყოფილი და მოქმედი წევრები: ევგენი ბოკერია, ივანე გობეჩია, სამსონ დადიანი, შოთა დადიანი, მიხეილ ღვამიჩავა, ნიკოლოზ ატოევი, იოსებ ბარათაშვილი, იოსებ მაჭავარიანი, ილია ფირცხალაიშვილი, პეტრე ქავთარაძე, კირილე ნინიძე, დიმიტრი ღამბაშიძე, ივანე ჩერქეზიშვილი და სხვა მრავალი, რომელთა ვინაობა და ბედი შემდგომი სიღრმისეული კვლევის საგანია.

---

42 88. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს. დამცველთა კოლეგიის რეორგანიზაციისა და საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოსთან არსებული დამცველთა კოლეგიის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლო წყობილების დებულების ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შესახებ, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებული #8, ნაწილი პირველი (1931 წელი) ტფილისი, 05.06.1931 წელი. გვ. 187.

## დასკვნა

1921-1938 წლების განმავლობაში საბჭოთა რუსული საოკუპაციო და ტოტალიტარული რეჟიმის მიერ შექმნილი კვაზი-სამართლებრივი სივრცის ფორმირებით, პერმანენტული და ტოტალური ტერორის ატმოსფეროს დამყარებით, იურისტთა/ადვოკატთა კორპუსზე ფსიქოლოგიური და ფიზიკური შეტევის კამპანიებისა და მასობრივი რეპრესიების შედეგად, სისტემამ მოახერხა და მიუახლოვდა გიორგი სტურუას მიერ იდეალურად დასახულ მოდელს, რომელშიც საბჭოთა სასამართლო, პროკურატურა და ადვოკატურა ორგანულად დაკავშირებულ და ჰარმონიულად მოთანამშრომლედ სტრუქტურებს წარმოადგენდნენ, პროფესიული კოდის ერთგული იშვიათი გამონაკლისები კი ამ სისტემაში საერთო ამინდს ვერ ცვლიდნენ და თავიანთი პრინციპების დაცვის მცდელობით, პოსტ-სტალინური შერბილებული ტოტალიტარიზმის პირობებშიაც კი ხშირად საკუთარ თავსა და კოლეგებსაც ფიზიკურ საფრთხეს უქმნიდნენ.

ამ გარემოში სოციალიზებული იურისტთა და ადვოკატთა თაობა დადგა 1990-იან წლებში დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გამოწვევის პროცესში, მისი ერთ-ერთი ფუნდამენტური ელემენტის – დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის – ჩამოყალიბების ამოცანის წინაშე, რომლის გადაწყვეტის თვალსაჩინო ნიმუში – თანამედროვე ქართული სასამართლოა, რომლის იდეალებისა და პრაქტიკის კრიტიკული ანალიზი და გასული საუკუნეების სხვადასხვა განზომილებასთან შეპირისპირება და მემკვიდრეობითობის დაფიქსირება ამ რეტროსპექტივით აღჭურვილი მკითხველისათვის საკმაოდ მარტივ ამოცანას წარმოადგენს.

მარიამ დარჩიაშვილი \*

# ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები: მიწასთან დაკავშირებული პრაქტიკებისა და მორალის სიმრავლე დუშეთის სოფლებში

## პოსტსკიტი

დუშეთის რაიონის სოფლები საძოვრების შემცირებისა და დაკარგვის საერთო პრობლემის წინაშე დგანან. სოფლების მცხოვრებლები ყოფიან პირუტყვს, რის შედეგადაც ადგილობრივი პირუტყვის რაოდენობა სამჯერ შემცირდა. მწყემსებისა და ძროხების ხილვა ახლად აშენებული ინფრასტრუქტურის სიახლოვეს, წარმავალ ხედად იქცა იქ, სადაც ოდესღაც სოფლების კუთვნილი საძოვრები იყო. ჩემს საკვლევ საკითხს წარმოადგენს ეკონომიკური და სამართლებრივი ცვლილებების გავლენის შესწავლა ადგილობრივ ეკონომიკურ პრაქტიკებსა და მორალის სისტემებზე. განსაკუთრებით კი მაინტერესებს მიწასთან დაკავშირებული პრაქტიკები და მორალის სიმრავლე. ცვლილებების ფონზე გაჩნდა ახალი ცნებები და იდეები მიწის შესახებ; მიწა პრივატიზებული და გასაქონლებული გახდა; თუმცა, წინა მიდგომებს არსებობა არ შეუწყვეტია. მიუხედავად იმისა, რომ ძველი და ახალი ცნებები მიწის შესახებ შეიძლება ურთიერთგამომრიცხავი იყოს, ყოველდღიურ ცხოვრებაში ისინი შეიძლება თანაარსებობდნენ. წინამდებარე კვლევაში განვიხილავ მიწას სამართლებრივი პლურალიზმის პერსპექტივიდან ანთროპოლოგიური გაგებით. სამართლებრივი პლურალიზმი არის ანალიტიკური კონცეფცია იმ სიტუაციებისთვის, როდესაც ადამიანებს, თავიანთი ურთიერთქმედებისას, შეუძლიათ რამდენიმე სამართლებრივი სისტემით ხელმძღვანელობა. კვლევა, უმთავრესად, ეფუძნება ეთნოგრაფიულ მეთოდებს, დაკვირვებებსა და საუბრებს დუშეთის სოფლების მკვიდრ მოსახლეობასთან.

**საკვანძო სიტყვები:** მიწა, მორალის სიმრავლე (moralities), სამართლებრივი პლურალიზმი პრივატიზაცია, საძოვარი, დუშეთი.

\* ასისტენტ-პროფესორი სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის მიმართულებით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

## შესავალი

„რასაც ჩვენ მიწას ვუწოდებთ, არის ბუნების ელემენტი, რომელიც განუყოფლად არის შერწყმული ადამიანის ინსტიტუტებთან. მისი იზოლირება და მისთვის ბაზრის შექმნა, ალბათ, ყველაზე უცნაური იყო ჩვენი წინაპრების წამოწყებებიდან.“<sup>1</sup>

2022 წლის ზამთარში თბილისიდან დუშეთის რაიონში, ბაზალეთის ტბასთან მდებარე სოფელ მლაშეში, წავედი ქეთინოსთან შესახვედრად. ქეთინო მლაშეს მკვიდრია. ის მონაწილეობდა სოფლის ერთადერთი საძოვრის შენარჩუნებისთვის საპროტესტო აქციებში. ქეთინოს პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ ჟუჟუნას, მის დას, სოფელ არაგვისპირიდან, წლებია ვიცნობ. მლაშეში ასვლამდე, ჟუჟუნას შევხვდი და ერთად წავედით ქეთინოსთან. ზამთრის ცივი ღლე იდგა, თოვა იყო მოსალოდნელი. ქეთინოს სახლთან რომ მივედით, შვილიშვილთან ერთად გამოვიდა, გვითხრა, რომ საახალწლოდ ჩურჩხელები დაემზადებინათ. ჟუჟუნამ გაგვაცნო ერთმანეთი და ჩვენც მალევე სოფლის საძოვრებთან დაკავშირებულ საკითხებზე დავიწყეთ საუბარი; ტელეფონზე უკვე რამდენჯერმე ვილაპარაკეთ და საუბრის გაგრძელება ადვილი იყო.

გზად ბაზალეთის ტბისკენ, სადაც საძოვრის ტერიტორიაზე სასტუმროს კოტეჯები შენდებოდა, ქეთინომ გვითხრა, რომ საძოვარი ფარულად გაიყიდა და მიწის ახალმა მესაკუთრემ ყალბი ხელმოწერების საფუძველზე დაიკავა ადგილი. ქეთინოს თქმით, სოფლის საძოვრის გაყიდვაზე მოსახლეობას ეჭვი მაშინ გაუჩნდა, როცა მათ უცნობი პირები შენიშნეს, რომლებიც საძოვრის ტერიტორიას ზომავდნენ. მიწის დასაცავად სოფლის მცხოვრებლებს გადაეწყვიტათ ტერიტორიის რამდენიმე მაცხოვრებლისთვის გადაცემა, თუმცა ქალაქის გამგებამ ამის უფლება არ მისცა და თქვა, რომ ეს იქნებოდა სახელმწიფო ქონების უკანონო მიტაცება. როგორც სოფლის მოსახლეობა ვარაუდობს, მაშინ მიწა უკვე გაყიდული იყო. მალევე ინვესტორები გამოჩნდნენ და შეძენილი ტერიტორია შელობეს. „ეს მიწა არასოდეს ყოფილა დამუშავებული; მას არასდროს ჰქონია სხვა დანიშნულება, ის ყოველთვის გამოიყენებოდა სოფლების საძოვრად, ასე ვიცით ჩვენი წინაპრებისაგან,“ – მითხრა ქეთინომ. ღღეს ოდესღაც ფართო მიწა დაყოფილა დამუშავებულ ნაკვეთებად და მცირე სასაძოვრე ტერიტორიად, რომელიც დაკარგვის რისკის წინაშე დგას. ტბისკენ მიმავლებს, ნაკვეთებზე ძროხები შეგვხვდა, რაზეც ქეთინომ მითხრა, რომ გაზაფხულიდან ამ ადგილებში ძროხებს აღარ დაუშვებენ ნაკვეთების მეპატრონეები, რადგან ხორბალი, ქერი და სიმინდი დაითესება. „ამ დროს გვიწევს ძროხებთან ერთად სირბილი, სანამ ისინი საძოვარზე არ ჩავლენ, რომ სხვის ტერიტორიაზე არ გადავიდნენ,“ – აღნიშნა ქეთინომ ღიმილითა და სინანულით.

როდესაც მივუახლოვდით საძოვარს, რომლის ტერიტორიაზე უკვე აშენებული იყო კოტეჯები, ქეთინომ ამიხსნა, რომ, შეთანხმების მიხედვით, საძოვარზე შესასვლელი გზა კოტეჯების ალაყაფსა და მეორე მხარეს კერძო ნაკვეთს შორის 8 მეტრი უნდა ყოფილიყო, რომელიც ახალ მესაკუთრეებს 5 მეტრამდე ჰქონდათ შემცირებული. ცოტა ხანს გავჩერდი შესასვლელთან, ეს იყო ძალიან მცირე ადგილი პირუტყვის გასაყვანად. ქეთინოს თქმით, მთელი სოფელი

<sup>1</sup> Polanyi, K. (2001) The Great Transformation: The Political and Economic Origins of Our Time. Beacon Press. pg. 187

შიშობდა, რომ სასტუმროს მეპატრონეები მშენებლობის დასრულების შემდეგ ამ გზასაც გადაკეტავდნენ. ქეთინოს ვკითხე, რატომ ფიქრობდნენ ასე და მან მიპასუხა: „ვის უნდა საქონელი სასტუმროსა და ტბას შორის?“

კოტეჯების ტერიტორიაზე დავინახეთ ხალხი, შორიდან ვერ მივხვდით, მშენებლები იყვნენ თუ მეპატრონეები. ქეთინომ მითხრა, რომ ბოლოს კონფლიქტით დასრულდა სოფლის მოსახლეობასა და კოტეჯის ტერიტორიაზე მყოფ ხალხს შორის ურთიერთობა და სიფრთხილისა და მათთან კომუნიკაციისაგან თავშეკავებისკენ მოგვიწოდა. ჩვენ მცირე დროით საძოვართან შევეჩერდით. ქეთინომ ხელის გაშვებით საძოვრის ტერიტორია დაგვანახა, რომელიც ტბასა და კოტეჯებს შორის მდებარეობდა და მითხრა, რომ ტირიფებისთვის მიმეცეცა ყურადღება. ტირიფები რთულად შესამჩნევი იყო, რადგან არ ჰქონდათ ფოთლები. ქეთინომ მოგვიყვა, რომ ეს ტირიფები სოფლის მოსახლეობამ ჩამოიტანა და დარგო დიდი ხნის წინ, ზაფხულში ჩრდილისთვის. „ამ ზაფხულს კი კოტეჯების მეპატრონეების ჯიპები ეყენა ხეების ქვეშ, ჩრდილში; – გულდაწყვეტით გვითხრა ქეთინომ. საძოვრის ტერიტორიაზე ხეების დარგვის პრაქტიკისა და მისი გრძელვადიანი გამოყენების ისტორიის გათვალისწინებით, სოფლის მოსახლეობას ძლიერი ემოციური კავშირი ჰქონდა ამ ადგილთან.“

ზაფხულში ისევ ვესტუმრე საძოვრის ტერიტორიას ტირიფების სანახავად (იხ. ილუსტრაცია: ტირიფები). ამ დროს კოტეჯების მფლობელებს ტერიტორია ფინანსური პრობლემების გამო ჰქონდათ დატოვებული, კოტეჯები კი იყიდებოდა, მოსახლეობის ინფორმაციით. 5-მეტრიანი გზის გაგლის შემდეგ აღმოვჩნდი საძოვრის ტერიტორიაზე, სადაც ლამაზი ხედი გადაიშალა – წინ ტბა, ხოლო მარცხნივ ტირიფები დიდ ჩრდილს ქმნიდა. ზაფხულის მზიანი დღე იყო. მზისგან და სიცხისგან თავის დასაღწევად ტირიფების ჩრდილში შევედი, სადაც გრილოდა და ნიავე უბერდავდა. ხელით გაკეთებულ გრძელ სკამზე ჩამოვჯექი, რომელსაც ასევე მაგიდა ჰქონდა მიმაგრებული. მწყემსებისთვის შესანიშნავი ადგილი იყო შუა დღის შესვენებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ მათი სამუშაო დილის 7 საათზე იწყება და საღამოს 8 საათზე მთავრდება. ადგილზე ქეთინოს ნათქვამი გამახსენდა იმის შესახებ, რომ წინა ზაფხულს აქ მწყემსებისა და საქონლის ნაცვლად მანქანები ჰყავდათ ჩრდილში გაჩერებული კოტეჯების მეპატრონეებს. დუშეთის მაცხოვრებლებთან საუბრისას ისინი ხშირად მიზიარებდნენ თავიანთ გრძნობებს იმ ხეების შესახებ, რომლებიც მათ ერთობლივად დარგეს საბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით კი საერთო დღესასწაულების დროს.<sup>2</sup> მათთვის მოწიფული ხეები წარმოადგენდნენ არა მხოლოდ სიამაყეს, არამედ – ადგილის სიძველეს და ადგილთან კუთვნილების განსაკუთრებულ განცდასაც. მწყემსები საუბრებში ამ საძოვარს მოიხსენიებენ, როგორც „ტირიფების ადგილს“; ტირიფები იქცა ამ საძოვრის სიმბოლურ ნიშნად, რომლის მიმართაც სოფლის მცხოვრებლებს განსაკუთრებული ბმა აქვთ. დაკარგვის პირას მყოფი საძოვრის შემყურემ, დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ რა ცვლილებებს შეეძლო ადგილობრივი მოსახლეობა ჩაეყენებინა იმ მდგომარეობაში, რომ მათ არ ჰქონოდათ შესაძლებლობა დაეცვათ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი მიწები. ამავდროულად, საუბრებიდან გამომდინარე, ჩანდა, რომ ამ ცვლილებებს

2 1982 წელს დუშეთის რაიონში 11 ათასი კაკლის ხე დაირგო, 1983 წელს კი ჟურნალ გაზეთში ვკითხულობთ, რომ იმ წელს რაიონის ახალგაზრდები 40 ათასი კაკლის ხის ნერგის გახარებას გეგმავდნენ, მეტი ამ თემაზე იხ.: ჰამლეტ კერესელიძე, „საქმე საშვილიშვილო“, ჟურნალი დროშა, 1983 წელი.

ადგილობრივი მოსახლეობა პასუხობდა ადგილობრივი ეკონომიკების ცვლილებებით და მიწების გაყიდვით, რაზეც ისინი სინანულით საუბრობდნენ.



ტირიფები, აგვისტო 2023 წ. ავტორის ფოტო.

წინამდებარე სტატიაში ვიკვლევ ეკონომიკურ და საკანონმდებლო ცვლილებებს, იმას, თუ რა გავლენას ახდენს ახალი მიდგომები მიწასთან მიმართებაში ადგილობრივ ეკონომიკებზე და მორალის სისტემებზე. კერძოდ, მაინტერესებს მიწის შესახებ როგორც ძველი და ადგილობრივი, ისე ახალი და გლობალური მიდგომებისა და პრაქტიკების შერწყმა (hybridizing). მე ვაკავშირებ მიწის შესახებ ახალ და გლობალურ ხედვებს ნეოლიბერალურ დისკურსებთან, ხოლო ძველსა და ადგილობრივ ნარატივებს – პოლანისეულ მიმაგრებულობის (embeddedness) კონცეფტთან.<sup>3</sup> ჩემი არგუმენტი ის არის, რომ მკვიდრი მოსახლეობისთვის მიწა უფრო მეტია, ვიდრე ეკონომიკური საშუალება; მიწები ჩაფლულია სოციალურ ურთიერთობებში და მათი სოციალური და ყოველდღიური მნიშვნელობებისაგან გამიჯვნა შეუძლებელია. პოლანი მჯელობს, რომ მიწა ყოველთვის დაკავშირებული იყო ნათესაობასთან, სამეზობლოსთან, რწმე-

<sup>3</sup> კარლ პოლანის ნაშრომებში მიმაგრებულობის (embeddedness) კონცეფტი არაა გამჟღავნებული, როგორც თეორია, თუმცა, ყოველთვის ნათელია, რომ ის მიგვიჩვენებს განვიხილოთ ეკონომიკა ინსტიტუტებთან ბმაში, ასევე ეკონომიკური არაეკონომიკურთან ერთობლიობაში (Polanyi, 2018).



ნასთან, სტაბილურობასთან ან ფიზიკურ უსაფრთხოებასთან. ეკონომიკური ფუნქცია მიწის მხოლოდ ერთ-ერთი ფუნქციაა. პოლანისთვის მიწის ამ ყველაფრისგან გამიჯვნა და საზოგადოების ორგანიზება ისე, რომ ის მოერგოს ბაზრის მოთხოვნებს, საბაზრო ეკონომიკის უტოპიური კონცეფცია იყო.<sup>4</sup>

2022-2023 წლებში რეგულარულად ვსტუმრობდი მლაშესა და დუშეთის სხვა სოფლებს, ვესაუბრებოდი სოფლის მოსახლეობას, განსაკუთრებით – მწყემსებსა და მათ, ვისაც საქონელი ჰყავდა, ვსეირნობდი მათთან ერთად, ხანაც დავყვებოდი ნახირში, ვეკითხებოდი, როგორ ეგუებოდნენ ისინი ეკონომიკურ ცვლილებებს და შემცირებულ მიწებს. მათ, ვინც ამ პროცესების ფონზე გაყიდა საქონელი, დავყვებოდი ახალ სამსახურში და სოფლის პრობლემებზე ვეკითხებოდი. ასევე ვერთვებოდი სოფლის შეკრებებსა და ღონისძიებებში. კვლევით პროცესში აღმოვაჩინე მორალის სიმრავლე მკვიდრი მოსახლეობის ნარატივებში მიწის შესახებ, მათ ნარატივებში პარადოქსულად თანაარსებობდა პოლანისეული და ნეოლიბერალური მორალური სისტემები. ყველა ნაწილში სოფლებში მიწების შემცირების პროცესს და თანაბრად ადანაშაულებდნენ იდეოლოგიებს, ახალ რეფორმებს, კანონმდებლობას, ბიზნესს, სახელმწიფო პირებს, ეკონომიკურ პრობლემებს, მეზობლებსა და თავიანთ თავს მიწების გასაქონლებასა და გაყიდვაში.

ნაშრომის დასაწყისში მიმოვიხილავ ლიტერატურას ნეოლიბერალური რეფორმებისა და დამოკიდებულებების შესახებ მიწის თაობაზე. ასევე ვეცდები ვაჩვენო სტატიის თეორიული ჩარჩო. მოგვიანებით ვისაუბრებ საქართველოს მაგალითის მოხმობით მიწის პრივატიზაციის კონტექსტზე და შევხები საკანონმდებლო გამოწვევებს. შემდეგ ორ ქვეთავში კვლევის მიგნებების, დაკვირვებებისა და ადამიანებთან საუბრების საფუძველზე ვისაუბრებ: ა) მიწის განაწილების პროცესზე და არაფორმალურ პრაქტიკებზე და ბ) მიწის გაყიდვის პრაქტიკებზე, როგორც შედარებით ახალ ეკონომიკურ პრაქტიკაზე ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში. დასკვნაში შევაჯამებ მოსაზრებებსა და მთავარ სათქმელს.

## მიწის გასაქონლება და მორალის სისტემების შერწყმა

ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ნეოლიბერალური რეფორმები კონცეფტუალურ ცვლილებებს იწვევს მიწის ბუნებასთან დაკავშირებით.<sup>5</sup> მიწა უფრო მეტად ფასდება მისი, როგორც სავაჭრო ობიექტის, ღირებულების გამო, ვიდრე მისი კავშირის გამო ადგილობრივ მოსახლეობასთან. ეს კონცეფტუალური ცვლილებები ასუსტებს სახელმწიფოს, მისი მოსახლე-

---

4 Polanyi, K. (2001) *The Great Transformation: The Political and Economic Origins of Our Time*. Beacon Press. pg. 187

5 Cotula, Lorenzo. „The New Enclosures? Polanyi, international investment law and the global land rush.“ *Third World Quarterly* 34, no. 9 (2013): 1605-1629; Millar, Gearoid. „Knowledge and Control in the Contemporary Land Rush: Making Local Land Legible and Corporate Power Applicable in Rural Sierra Leone.“ *Journal of Agrarian Change* 16, no. 2 (2016): 206-224.

ობის, სოციალური ჯგუფებისა და ინდივიდების დაცვის ჩარჩოს და სანაცვლოდ სარგებელი მოაქვს მათთვის, ვისაც აქვს მეტი ფინანსური საშუალება და რესურსი.<sup>6</sup> მათ, ვისაც დიდი კაპიტალი და კერძო ინტერესები აქვთ, შესაბამისად, აქვთ პრივილეგია და კონტროლი მიწაზე, როგორც საქონელზე.<sup>7</sup> მილარი (Millar 2016) მსჯელობს, რომ გლობალური ორგანიზაციები, ინსტიტუტები და კომპანიები იყენებენ გლობალური ნეოლიბერალური მმართველობის წესებსა და იდეებს, რათა შეცვალონ ხალხის აზრი მიწაზე. ისინი აცლიან მიწას კულტურულ და სოციალურ კონტექსტს და ათავსებენ მას კონტროლისა და ძალაუფლების გლობალურ ნორმებში, რაც ხელს უწყობს ნეოლიბერალიზმზე გლობალურ გადასვლას.<sup>8</sup>

დიდმა გარდაქმნებმა მოიტანა ახალი ცნებები და იდეები მიწის შესახებ. მიწა პრივატიზებული და გასაქონლებული გახდა; თუმცა, წინა მიდგომებს არ შეუწყვეტია არსებობა.

კონტექსტი, რომელშიც მოთავსებულია ახალი კანონი ან რეფორმა, არის არა ცარიელი, არამედ პლურალისტურია, ადრინდელი ისტორიული, კულტურული, საკანონმდებლო, პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტებითა და მორალური პრინციპებით. მიწის შესახებ მორალის ასეთ შრეებს შეიძლება მივუდგეთ სამართლებრივი პლურალიზმის პერსპექტივიდან ანთროპოლოგიური გაგებით.<sup>9</sup> ასეთი კონტექსტის აღწერისთვის სხვა მსგავს ცნებებს წარმოადგენს „სამართლებრივი წესრიგის სიმრავლე“ (multiplicity of legal orders)<sup>10</sup> თუ „წესრიგის სხვადასხვა სისტემები“ (multiple systems of ordering)<sup>11</sup>. სამართლებრივი პლურალიზმი თუ სამართლებრივი წესრიგის თუ სისტემების სიმრავლე ხდება იქ, სადაც საერთაშორისო თუ ტრანსნაციონალური კანონები ანაცვლებს, ან გადაიხლართება ეროვნულ კანონებთან, ადგილობრივ წესრიგის სისტემებთან და არაფორმლობებთან. არაფორმლობებში ვგულისხმობ გავრცელებულ და „ფართოდ მიღებულ/აღიარებულ“ ნორმებსა და მოლოდინებს, რომელთა გაუთვალისწინებლობას მოჰყვება საზოგადოებრივი უკმაყოფილება.<sup>12</sup> ოლუჩუ (Örücü 1996) მსჯელობს, ყოველთვის ხდება ცვლილება ახალი სოციალური, ეკონომიკური და სამართლებრივი გარემოს მიხედვით იმ კანონისა, რომელიც გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე.<sup>13</sup> ეს ცვლილება მოიცავს შეგუების, ხელახალი ინტერპრეტაციისა და ადგილობრივ სისტემებთან შერწყმის რთულ პროცესებს. ანთროპოლოგებს მიაჩნიათ, რომ ამ დროს ხდება კონტექსტზე დამოკიდებული ხელახალი ინტერპრეტაცია.<sup>14</sup> ბერენდსი, პარკი და როტენბურგი (Behrends, Park, and Rottenburg 2014) აჩვენებენ, რომ „მოგზაური მოდელები“, მათ შორის გადაადგილებადი კანონები, იძენენ განსხვავებულ მნიშვნელობებს, მაშინ, როდესაც ისინი სცილდებიან წინა

6 Izumi, Kaori. „Liberalisation, gender, and the land question in sub-Saharan Africa.“ *Gender & Development* 7, no. 3 (1999): 9-18.

7 Millar, Gearoid. „Knowledge and Control in the Contemporary Land Rush: Making Local Land Legible and Corporate Power Applicable in Rural Sierra Leone.“ *Journal of Agrarian Change* 16, no. 2 (2016): 206-224.

8 Ibid.

9 სამართლებრივი პლურალიზმი არის ანალიტიკური კონცეფცია იმ სიტუაციებისთვის, როდესაც ადამიანებს თავიანთი ურთიერთქმედებისას შეუძლიათ რამდენიმე სამართლებრივი სისტემით ხელმძღვანელობა, მეტი ამ თემაზე იხილეთ: von Benda-Beckmann, Keebet, and Bertram Turner. „Anthropological Roots of Global Legal Pluralism.“ (2020).

10 Nader, Laura. „The anthropological study of law 1.“ *American Anthropologist* 67, no. 6 (1965): 3-32.

11 Merry, „Legal Pluralism,“ *Law and Society Review* 22, no. 5 (1988): 869-96: 878.

12 Helmke, Gretchen, and Steven Levitsky. „Informal institutions and comparative politics: A research agenda.“ *Perspectives on politics* 2, no. 4 (2004): 725-740.

13 Esin Örücü, Elspeth Attwooll, and Sean Coyl, eds., *Studies in Legal Systems: Mixed and Mixing* (London: Kluwer, 1996).

14 von Benda-Beckmann, Keebet, and Bertram Turner. „Anthropological Roots of Global Legal Pluralism.“ (2020).

კონტექსტებს და ერთგებიან ახალ სოციალურ, ეკონომიკურ თუ სამართლებრივ გარემოში.<sup>15</sup> როგორც ონგი (Ong 2007) წერს, ნეოლიბერალიზმი არაა განსაზღვრული და ფიქსირებული მახასიათებლებისა და შედეგების ერთობლიობა, არამედ ის არის მართვის ლოგიკა, რომელიც გადაადგილდება ერთი პოლიტიკური კონტექსტიდან მეორეში. ონგი გვთავაზობს ასამბლაჟს (assemblage) სტრუქტურის ნაცვლად, რათა გვაჩვენოს მისი კონტექსტუალობა ადგილობრივ მორალსა და რაციონალობის სისტემებთან მიმართებაში. მისთვის ნეოლიბერალური ლოგიკა არის არა უნივერსალური სისტემა, არამედ – მართვის მობილური ტექნოლოგია, რომელიც ერგება მოცემულ კონტექსტებსა და ვითარებებს.<sup>16</sup>

## პრივატიზაცია და ნეოლიბერალური რეფორმები საქართველოში

ნეოლიბერალიზმის გავრცელებული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ბაზრის „უხილავი ხელის“ მეშვეობით საკუთრების ცალსახა უფლებები და საკუთრების ობიექტების მაქსიმალური გასხვისების შესაძლებლობა ეკონომიკური განვითარების საწინდარია. პრივატიზაცია წარმოადგენს ნეოლიბერალიზმის პრაქტიკაში განხორციელებას.<sup>17</sup> საბჭოთა კავშირში სახელმწიფოს კუთვნილებას წარმოადგენდა მიწები, რომლებსაც კოლექტიური ფერმები განაგებდნენ. საქართველოში პრივატიზაციასთან დაკავშირებული ერთ-ერთი გარდამტეხი მომენტი იყო საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვარს მიღებული დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“. მიწის რეფორმის მიზნისთვის გამოიყო სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები და შეიქმნა მიწის რეფორმის ფონდი, როგორც იყო პრივატიზაციის ფონდი. მიწის განაწილების საგანს წარმოადგენდა კომლი, რომელიც რამდენიმე კატეგორიად იყოფოდა. პრივატიზაციის პროცესი მეცხოველეობის სფეროსაც შეეხო და, შედეგად, შეიქმნა აგრარული მეურნეობის კერძო სექტორი.

პრივატიზაციის რეფორმის დაჩქარებულად განხორციელების გამო, მას არაერთი კრიტიკოსი ჰყავს. ასევე, პირადი საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, მსხვილი მეურნეობები დაიყო მცირე მეურნეობებად, რამაც გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის მნიშვნელოვანი შემცირება. განადგურდა წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაირღვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიურ-ორგანიზაციული და ეკოლოგიური ერთიანობა; ხშირ შემთხვევაში, ახალი მფლობელები ვერ ახერხებდნენ მეურნეობების შენარჩუნებას.<sup>18</sup> ეს

---

15 Behrends, Andrea, Sung-Joon Park, and Richard Rottenburg. *Travelling Models in African Conflict Management: translating technologies of social ordering*. Vol. 13. Brill, 2014.

16 Ong, Aihwa. „Neoliberalism as a mobile technology.“ *Transactions of the Institute of British Geographers* 32, no. 1 (2007): 3-8.

17 Hann, Chris M. „Property Relations: The Halle Focus Group, 2000-2005.“ (2005).

18 Lominadze, Merab (2021), *Privatizatsia da Kerdzo Metsarmeobis Ganvitareba Sakartveloshi*, doctoral dissertation, Ivane Javakishvili

პერიოდი, ასევე, ემთხვევა ეკონომიკური ვითარების მკვეთრ გაუარესებას. 1994–1995 წლებში, საქართველოში, სოციალური მობილობის გაუარესება მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. 1996–1997 წლების მსოფლიო ღირებულების კვლევის თანახმად, საქართველოში გამოკითხულ რესპონდენტთა 90% ეკონომიკურად ნათესავებზე იყო დამოკიდებული. იმავე კვლევამ აჩვენა, რომ ქართველების 96.5%-ს სჯეროდა, ისინი ცხოვრობდნენ უარეს სიღარიბეში, ვიდრე 10 წლის წინ.<sup>19</sup> 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველომ განიცადა ეკონომიკური აღორძინება, რაც ნეოლიბერალური რეფორმების გატარებასთან არის დაკავშირებული. საქართველოში იმ დროს მოქმედმა მინისტრთა კაბინეტმა ეკონომიკურ პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად დაისახა სახელმწიფოს მფლობელობაში დარჩენილი ენერგო-სექტორის პრივატიზაცია. ამ საკითხმა საზოგადოებაში აზრთა სხვაობა გამოიწვია – ერთი ნაწილი მხარს უჭერდა სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების სახელმწიფოს მფლობელობაში დატოვებას, ხოლო, საზოგადოების გარკვეული ნაწილი აღნიშნული სექტორის პრივატიზაციას ემხრობოდა.<sup>20</sup>

პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების ცვლილებამ მიწისა და საძოვრების მართვასთან დაკავშირებით არაერთი ხარვეზი წარმოქმნა საკანონმდებლო დონეზე. ამ ეტაპზე, არ არსებობს მიწის მართვის ერთიანი პოლიტიკა, ხოლო იმ რეგულაციებით, რომლებიც სხვადასხვა საკანონმდებლო აქტშია გაბნეული, მრავალი რამ მოუგვარებელი რჩება.<sup>21</sup> არ არსებობს ზუსტი მონაცემები სახელმწიფო და კერძო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების განაწილების შესახებ. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ისაა, რომ 1990-იან წლებში მიწის პრივატიზაციის შედეგად მიწის ნაკვეთები შესაბამისი გეგმის გარეშე გასხვისდა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების პრივატიზაციის ან იჯარით გაცემის პირობები დღემდე არ არის განსაზღვრული.<sup>22</sup> სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სტატუსის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სტატუსად შეცვლამ გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის, მათ შორის საძოვრების, დაკარგვა. საჯარო რეესტრი სტატუსის ცვლილებას აუცილებელი სახელმწიფო თუ სოციალური საჭიროების შემთხვევაში ახორციელებდა, თუმცა ამ საჭიროების დამადასტურებელი ცნობები არსად არ მოიპოვება. სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს ინფორმაცია იმ საძოვრების შესახებ, რომელთა სტატუსი წლების განმავლობაში შეიცვალა და გადაკვალიფიცირდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად.<sup>23</sup> შესაბამისი სპეციალისტების თანახმად, მიწის მართვის პრობლემები გამოწვეულია რეგულაციების შემცირებასთან, რისი ტენდენციაც ვარდების რევოლუციის შემდეგ დაიწყო და დღემდე ნარჩუნდება.<sup>24</sup>

Tbilisi State University.

19 Aliyev, Huseyn. 2015. „Institutional Transformation and Informality in Azerbaijan and Georgia.“ In *Informal Economies in Post-Socialist Spaces: Practices, Institutions and Networks*, edited by Jeremy Morris and Abel Polese, 51–69. New York: Palgrave Macmillan, pg. 56

20 ეკონომიკის მინისტრმა ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნა: „ჩემი მიდგომა, რომ ყველაფერი უნდა გაიყიდოს, არ უნდა ჩავთვალოთ სიგიჟედ; შედეგად სახელმწიფომ შესაძლებლის მაქსიმუმი უნდა მიიღოს და მოგებაში დარჩეს.“ <https://civil.ge/ka/archives/132727>

21 „საზოგადოება ბუნების კონსერვაციისთვის – საბუკო“, საძოვრების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მიმოხილვა, 2020, [https://sabuko.org/wp-content/uploads/2021/01/sazovrebi\\_kanonmdeblobis-mimoxilva\\_GEO.pdf](https://sabuko.org/wp-content/uploads/2021/01/sazovrebi_kanonmdeblobis-mimoxilva_GEO.pdf)

22 Ibid.

23 Ibid.

24 ინტერვიუ ექსპერტთან, შემოდგომა, 2023 წ.

## მიწის გენაწილება და კლვილოზრივი წესრიგის სისტემები

მლაშეში ერთ-ერთი ვიზიტისას, შევხვდი კვირიას, კაცს, რომელიც 1990-იანი წლების ბოლოს მიწის განაწილების პროცესში იღებდა მონაწილეობას. ამ სოფელში კვირია და სხვა ხევსურები 1967 წელს არხოტის (სოფელი ხევსურეთში) ხეობიდან გადავიდა საცხოვრებლად. მლაშეს სოფლის მხარეს, სადაც კვირია ცხოვრობს, ხევსურების უბანს უწოდებენ. როგორც მან მითხრა, თავდაპირველად 25 კომლი ცხოვრობდა ამ უბანში, ხოლო ამჟამად, ძირითადად, გვიანი საბჭოთა პერიოდში არსებული ეკონომიკური პრობლემების გამო, 3-4 კომლია დარჩა. როგორც კვირიამ აღნიშნა, მლაშეში უფრო ღარიბი კოლმეურნეობა იყო, ვიდრე, მაგალითად, წითელწყაროში (მუნიციპალიტეტი კახეთში), სადაც ოჯახები გადასახლდნენ. არსებული ვითარებისა და, ზოგადად, სიღარიბის გამო, როგორც კვირიამ ხაზგასმით ახსენა, საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ ხალხს ეკონომიკური პრობლემების მოგვარება მიწების გაყოფის, მათი დამუშავებისა და პროდუქციის მოყვანის გზით შესთავაზა. საბჭოთა კავშირის სიძლიერის დროს მლაშემ სახელი გაითქვა თავისი საძოვრებით, მწყემსებით, ხორბლის მინდვრებითა და ბაზალეთის ტბის ულამაზესი გარემოთი, რომელიც დასასვენებელ, რეკრეაციულ ადგილმდებარეობად იქცა.<sup>25</sup> დღესდღეობით ტბას, მისი შემცირებული ზომისა და წყლის ხარისხის გაუარესების გამო, ხშირად ჭაობად მოიხსენიებენ.<sup>26</sup>

კოლმეურნეობების დაშლის შემდეგ კვირია მიწის გაყოფის კომიტეტის წევრი გახდა. იგი აწარმოებდა საგანგებო რვეულს, რომელშიც ასახული იყო ინფორმაცია, თუ ვის რამდენი მიწის ნაკვეთი ერგო. არსებობდა პირველი, მეორე და მესამე კატეგორიები. 1500-2000 კვ/მ ფართობის მიწა მესამე კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ეს კატეგორია მათთვის იყო განკუთვნილი, ვინც სოფელში აღარ ცხოვრობდა, მაგრამ იმის დამტკიცება შეეძლო, რომ წარმოშობით ამ სოფლიდან იყო. კვირიას ცნობით, ეს გახლდათ ის კატეგორია, რომელზეც მიწები გაიფლანგა – ზოგმა მიწა ნაცნობობის მეშვეობით მიიღო, შემდეგ ქონება გაყიდეს და ამით მთლიანად შეცვალეს არსებული ვითარება. კვირიას თქმით, „ყველა ამ ქაოტურმა პროცესებმა საძოვრების პრობლემა გამოიწვია.“

დასავლური ყაიდის მიწის პრივატიზაციის რეფორმა გახდა გადაჯაჭვული ადგილობრივ არაფორმალურ პრაქტიკებთან და, შედეგად, წარმოიქმნა გლობალური და ადგილობრივი მორალური სისტემების შერწყმა. ველზე კვლევის წარმოებისას, წავაწყდი არაერთ ცნობას იმის თაობაზე, რომ ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი მიწის დაყოფის წესების საფუძველზე იმაზე უფრო დიდ მიწის ნაკვეთს ელოდა სასურველ გეოგრაფიულ არეალში, ვიდრე მიიღეს. თუმცა, ამ სასურველი შედეგის მიღწევა კორუფციული გარიგების გარეშე შეუძლებელი აღმოჩნდა. „ფავორიტიზმი და ქრთამი მიწების გაყოფის პროცესის განუყოფელი

25 ასეთ ნარატივებს ძველ ჟურნალებში შევხვდი საარქივო მასალების კვლევისას. სოფელი მლაშეს საძოვრების ქებასთან დაკავშირებით იხ.: კომუნისტი (1955), ზამთრის საძოვრები; ბაზალეთის ტბის, როგორც პოპულარული რეკრეაციული ადგილის ქებასთან დაკავშირებით, იხ.: კომუნისტი (1959), ბაზალეთის ტბის პირას.

26 როცა სოფლის მაცხოვრებლებთან ერთად დავდიოდი, ისინი გამუდმებით იხსენებდნენ ტბის ადრინდელ ზომას და იმას, თუ როგორ მოდიოდნენ ბავშვები და ახალგაზრდები ახლომდებარე სოფლებიდან დილით ადრე და მთელი დღის განმავლობაში რჩებოდნენ.

ნაწილი იყო. უკეთესი ნაკვეთის სანაცვლოდ, მამაჩემს მის კუთვნილ თხებს სთხოვდნენ. მაგრამ მამაჩემა უარი განუცხადა და ამტკიცებდა, რომ მას, როგორც ომგამოვლილ პირს, რომელიც ექვსი წლის განმავლობაში არამარტო სოფელს, არამედ სამშობლოსაც იცავდა, იმსახურებდა სამართლიან წილს. მიუხედავად ამისა, 7000 კვ/მ-ის ფართობი მიწის სანაცვლოდ, რომელსაც ის დამსახურებულად მიიჩნევდა, მამაჩემმა მხოლოდ 2000 კვ/მ-ის ფართობი მიწა მიიღო, ისიც ნაკლებად სასურველ გეოგრაფიულ არეალში.<sup>27</sup>

კვირიას აზრით, მიწის არათანმიმდევრულმა განაწილებამ ხალხს მიწაზე ხელმისაწვდომობის უფლება ჩამოართვა. მან მითხრა, რომ სამი წლის განმავლობაში დასდევდა ხელისუფლების წარმომადგენლებს სასაფლაოსთვის, თუმცა მიწის ფიზიკურად არარსებობის გამო, მხოლოდ სამი ჰექტარი მოიპოვა აღნიშნული მიზნით. კვირიას ვთხოვე, ჩემთვის ერგენებინა ის წიგნაკი, სადაც მას ჰქონდა ინფორმაცია მიწების განაწილების თაობაზე. მან მიპასუხა, რომ საძოვრისთვის ბრძოლის საფუძველზე დაიწყო გამოძიება, რომლის ფარგლებშიც მას წიგნაკი ჩამოართვეს. იმ წიგნაკში არსებობდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ადგილები, სადაც სასტუმროს კოტეჯები აშენდა, ადრე სოფლის საძოვრები იყო. კვირიას და სოფლის ადგილობრივი წარმომადგენლების თქმით, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში სოფელ მლაშეში უამრავი რამ შეიცვალა. მაშინ, როდესაც სოფელს 50 ჰექტარი საძოვარი მიწა გააჩნდა, თითოეულ ოჯახში 10-12 კამეჩი იყო. თუმცა, მას შემდეგ, რაც მიწისა და ბალახის რესურსი შემცირდა, ეკონომიკურ პრობლემებთან გასამკლავებლად ოჯახებს ნახირის გაყიდვა მოუწია, რადგან მათი გამოკვების რესურსიც კი აღარ არსებობდა. შედეგად, ოჯახებს შედარებით ცოტა ძროხა ჰყავდათ, მაგრამ მიწის ეტაპობრივი შემცირების გამო მათი გაყიდვაც მოუწიათ. დღეს სოფლად მყოფი ოჯახები, როგორც წესი, 1-2 ძროხას ფლობენ და ამ ოჯახების საარსებო და ძირითადი შემოსავლის წყარო რძის პროდუქტების ვაჭრობით მოიპოვება. დუშეთის მაღალმთიანი სოფლების ეკონომიკურ საქმიანობაში მეცხოველეობას უმნიშვნელოვანესი როლი ჰქონდა ისტორიულად.<sup>28</sup> მეცხოველეობის მსგავს მკვეთრ კლებას დუშეთის სხვა სოფელშიც წავაწყდი. ხელმისაწვდომი მიწების შემცირებისა და ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე, ხალხი საქონელს ჰყიდის. მწყემსებისა და ძროხების ხილვა ახლად აშენებული ინფრასტრუქტურის სიანლოვეს, წარმავალ ხედავ იქცა იქ, სადაც ოდესღაც სოფლების კუთვნილი საძოვრები იყო.

## მიწით ვაჭრობა, როგორც თანამედროვე ედგილობრივი ეკონომიკური პრაქტიკა

2023 წლის ზაფხულში მლაშესკენ მიმავალ გზაზე შევხვდი გზის პირას მდგარ მოწიფულ ალვის ხეს, რომელზეც სოფლის გასაყიდი მიწის ნაკვეთების შესახებ ბევრი პლაკატი იყო გაკრული (იხ. ილუსტრაცია: ბილბორდის ფუნქციის შემთავსებელი ალვის ხე). ხე იდგა სადღაც

27 ინტერვიუ მწყემს მამაკაცთან, სოფელი არაგვისპირი, ზაფხული, 2023 წ.

28 საძოვრებზე ხელმისაწვდომობის დაკარგვა XIX საუკუნეში დუშეთი გლეხების საპროტესტო მოძრაობის მიზეზი გახდა, მეტი ამ თემაზე იხ.: ახოზაძე, მ. გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის 60-90-იან წლებში, გვ. 40

ორ საძოვარს შორის; ეს ორი საძოვარი ადრე ერთი დიდი საძოვრის ფუნქციას ასრულებდა. ამჟამად, ერთ-ერთ საძოვარზე დაახლოებით 2500 კვ/მ-ია დარჩენილი, რომელზეც სასტუმრო კოტეჯების მშენებლობა მიმდინარეობს, ხოლო მეორე დაკარგვის საფრთხის წინაშეა. ეს უკანასკნელი 18 ჰექტრის ფართობისაა. როგორც ერთმა მეცხვარემ მითხრა, არც ისე დიდი ხნის წინ, ამ ადგილზე ვიღაც მოსულა, ეს პერიმეტრი აუზომავს და შეულობავს, რის წინააღმდეგაც ადგილობრივი მოსახლეობა გამოვიდა და მისი საქმის გაგრძელების უფლება აღარ მისცა – ლობე დაანგრის. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთმა მწყემსმა მითხრა, რომ, ხალხის პროტესტის მიუხედავად, თუ მყიდველი რომელიმე მიწაში კარგ თანხას გადაიხდის, სოფელს არავინ შეეკითხება აზრს და ისე გაასხვისებენ ამ მიწას. მან ასევე დასძინა, რომ სოფლის მოსახლეობა ეკონომიკურ გაჭირვებას მიწების გაყიდვით უმკლავდება. ახალმა მეზობლებმა, რომლებსაც ნაკლები მიჯაჭვულობა აქვთ ამ მიწებთან, არ იციან ამ ადგილების ისტორია და, შესაბამისად, ნაკლებად ადარდებთ ცვლილებები – ახალი მორალური პრინციპები და ეკონომიკური პრაქტიკები სოფელში.



ბილბორდის ფუნქციის შემთავსებელი ალვის ხე, 2023წ. ავტორის ფოტო.

ჩემთვის, კონტრასტული მორალის სისტემები, რომლებიც არსებობს იმ სოფლის მკვიდრთ შორის, რომლებიც მიწის დაკარგვას აპროტესტებენ და რომლებიც მიწას ჰყდიან შემოსავლის მიღების მიზნით, წარმოადგენს კვლევის საგანს. ურთიერთგამომრიცხავი მორალური პრინციპები აღმოვაჩინე ერთ-ერთ ოჯახშიც, სადაც ცოლს სურდა მიწის გაყიდვა სახლის გარემონტების მიზნით, ხოლო ქმარი და ვაჟი დედის ამ იდეას ეწინააღმდეგებოდნენ და წინაპრების მიერ დატოვებული მიწის შენარჩუნების სურვილს გამოხატავდნენ. ერთ-ერთმა მწყემსმა, რომელთა-

ნაც ხანგრძლივი საბარი მქონდა, მითხრა: „ეს საძოვარი გვასულდგმულებს ჩვენ, მამაპაპური<sup>29</sup> მიწა, ეს არის ჩვენთვის დანატოვარი, მემკვიდრეობა წარსულიდან, რომელიც ახლა ჩვენზეა მინდობილი. ის უნდა გადავცეთ ჩვენს შვილებს მოსავლელად, თუმცა ის ხელიდან გვეცლება, რამდენადაც მიმდინარეობს ბაზალეთის ტბის განაშენიანება. ვის შეეძლო ამის განჭვრეტა? თითქოს, ყველაფერი იყიდება და ჩვენ ამას დაგვიანებით ვაცნობიერებთ. ჩვენ არ შეგვიძლია მისი მახვილით დაცვა, არა?“<sup>30</sup> სავლელ ვიზიტისას, არაერთ პლაკატს წავაწყედი მიწების გაყიდვის თაობაზე. სოფლის მოსახლეობისთვის მიწების გაყიდვა შემოსავლის ახალ წყაროდ იქცა. მე შევხვდი სოფლის მოსახლეობას, რომლის წარმომადგენლებიც ხაზს უსვამდნენ მსხვილ სამშენებლო პროექტების სიახლოვეს მიწის ნაკვეთის ფლობის მომგებიანობას ფასის ზრდის პერსპექტივიდან გამომდინარე. მათ ან გაყიდული ჰქონდათ ან მომავალში აპირებდნენ მიწის ნაკვეთების გაყიდვას მაღალ ფასად. „ზოგმა მართლაც ისარგებლა მსხვილი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტით“,<sup>31</sup> მაგრამ, ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, უფრო ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მოსახლეობის მდგომარეობა უარყოფითად იცვლებოდა.

2023 წლის ზაფხულში, სოფელ ჭოპორტში (დუშეთის რაიონი,) ადგილობრივმა მოსახლეობამ მასშტაბური საპროტესტო აქცია გამართა. სოფელი ჭოპორტის მოსახლეობის კუთვნილი ნაკვეთები, რომლის სიახლოვეს ნატახტარი-ჟინვალის ახალმა გზამ უნდა გაიაროს, „მართვეის“ უფლებით გადაეცა „ჯივიპის“<sup>32</sup> შედეგად, აღნიშნულმა კომპანიამ გააფართოვა „სანიტარული ზონა“ და მოსახლეობას კუთვნილ მიწებზე მშენებლობა შეუზღუდა.<sup>33</sup> მოსახლეობის აზრით, მშენებლობის უფლების შეზღუდვასთან ერთად, კომპანია ამ პროცესში მიწის ღირებულებას ხელოვნურად ამცირებს. ადამიანების უმრავლესობას, ვისაც დუშეთის სოფლებში შევხვდი, ჭოპორტის საპროტესტო აქციაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. მათი თქმით, „არავინ უწყის, როდის გახდა ჩვენი მამაპაპური მიწები კერძო კომპანიის საკუთრება“. ინგამ, მწყემსმა ქალბატონმა მიაჩნო იმ გაურკვევლობის შესახებ, რომლის წინაშეც დააყენა დუშეთის მოსახლეობა მაგისტრალის მშენებლობის გეგმამ. ჭოპორტის შემთხვევის გათვალისწინებით, მასა და მის თანასოფლელებს ბიჩნიგაურში (დუშეთის სოფელი) სჭირდებოდათ გარემოებების დაზუსტება; მათ უნდა გადაწყვიტონ საკუთარი მიწების მომავალი: გაყიდონ, თუ დაელოდონ ახალი გზის მშენებლობას. დაბნეულობის ხარისხს ის გარემოებაც ზრდის, რომ ხალხმა ჯერ კიდევ არ იცის ზუსტად, სად გავა ახალი გზა; იქნება კი ის სარგებლის მომტანი, თუ მორიგი პრობლემა იმ მრავალთაგან, რომლის წინაშეც დუშეთის სოფლების მოსახლეობა იმყოფება.

29 „მამაპაპური“ – მამა-პაპის შესაფერი, მამა-პაპის დამახასიათებელი, ძველებური, როგორც ამას უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი განმარტავს. როცა დუშეთის სოფლების მცხოვრებთა ნარატივებს ვაკვირდებოდი, ტერმინში „მამაპაპური მიწები“ ისინი მხოლოდ საკუთარ მიწებს არ გულისხმობდნენ, არამედ, ასევე, ძველ მიმართებებს მიწებთან, ისეთს, როგორიც ადგილზე იყო მიღებული. ისინი გულისხმობდნენ ერთგვარ ადგილობრივი საერთო აზრს მიწების შესახებ – ადგილობრივ ტრადიციებსა და ეკონომიკებს.

30 ინტერვიუ მწყემს მამაკაცთან, სოფელი მლაშე, ზაფხული, 2023.

31 ინტერვიუ ჩემს ინფორმანტთან, რომელიც არის დუშეთის სოფლიდან, საკრამული, რომელიც ესაზღვრება სოფელ მლაშეს და გათხოვდა სოფელ არაგვისპირში. ზაფხული, 2023.

32 კომპანია საქართველოს წყალმომარაგების ბაზარზე. კომპანია სასმელი წყლით უზრუნველყოფს თბილისისა და ქალაქ მცხეთის მოსახლეობას, სახელმწიფო დაწესებულებებს, სამრეწველო და კომერციულ ობიექტებს.

33 მშენებლობის წართმეული უფლება, formula.ge, [https://www.facebook.com/watch/?v=605682384504370&textid=CL-UNK-UNK-UNK-AN\\_GK0T-GK1C&mibextid=2Rb1fB&ref=sharing](https://www.facebook.com/watch/?v=605682384504370&textid=CL-UNK-UNK-UNK-AN_GK0T-GK1C&mibextid=2Rb1fB&ref=sharing)



## დასკვნა

საქართველოში პრივატიზაციის პროცესი და რეფორმები სწრაფად განხორციელდა ადგილობრივი კონტექსტისა და სიფრთხილის გათვალისწინების გარეშე. იგი განხორციელდა ისე, რომ არ იყო მხედველობაში მიღებული ადგილზე არსებული წესრიგის და მორალის სისტემები და არაფორმალური. შესაბამისად, მოხდა სოციალისტური, კაპიტალისტური და ადგილობრივი მორალური სისტემების შერწყმა. ამ იდეოლოგიების თუ ლოგიკის სისტემების ნაზავი განსაკუთრებით საინტერესოა სამართლებრივი პლურალიზმის პერსპექტივიდან. ის გვიჩვენებს მორალის სისტემების გადახლართულობას, ყველაზე ცხადად კი ფორმალური და არაფორმალური, გლობალური და ადგილობრივი ლოგიკების თანაარსებობას ერთ სივრცეში.<sup>34</sup> ამგვარი გადაჯაჭვულობა მოგზაურ თუ მობილურ რეფორმებსა და კანონებს, ერთი მხრივ, და ეროვნულ და ადგილობრივ წესრიგის და მორალის სისტემებს შორის, მეორე მხრივ, განიხილავენ სხვადასხვა მკვლევრები, რომლებიც საუბრობენ ისეთ პროცესებზე, როგორებიცაა ადაპტაცია, კონტექსტებზე დამოკიდებული ხელახალი ინტერპრეტაცია და შერწყმა თუ ჰიბრიდიზაცია (Örücü 1996; Behrends, Park, and Rottenburg 2014). ონგი (Ong 2007) გვთავაზობს ასამბლაჟის (assemblage) კონცეპტს იმისათვის, რომ მოვიხელთოთ ამგვარი კავშირები საერთაშორისოს, ეროვნულსა და ადგილობრივს შორის, მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მე ვფიქრობ, რომ ონგისეული ასამბლაჟი კარგად უკავშირდება ანთროპოლოგიური გაგებით სამართლებრივი პლურალიზმის თეორიულ ჩარჩოს.

ამ კონტექსტში მიწის შესახებ შეხედულებები შეიცვალა. მოხდა მიწის გასაქონლება, ის იქცა ვაჭრობის ობიექტად, მაგრამ, ამავდროულად, მან შეინარჩუნა მისი ტრადიციული მნიშვნელობა – ის დღემდე უკავშირდება წინაპრებისაგან დანატოვარ მემკვიდრეობას, რომელსაც სჭირდება მოფრთხილება, შენარჩუნება და მომავალი თაობებისათვის გადაცემა. აღსანიშნია, რომ მიწის შესახებ განსხვავებული მორალის სისტემები შეიძლება კონფლიქტის წინაპირობაც გახდეს ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ზოგ შემთხვევაში მორალის სიმრავლე შესაძლოა იყოს ერთ ჯგუფშიც კი და ის კონტექსტის მიხედვით მონაცვლეობდეს. დღეშეთის სოფლებში არსებობს აზრთა თანხვედრა იმის შესახებ, რომ მიწაზე ხელმისაწვდომობა და უფლება უნდა ჰქონდეს მკვიდრ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ ამ უფლებას საფრთხის წინაშე აყენებს კერძო ან უცხოური კომპანია. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივ მოსახლეობას მიწასთან დაკავშირებით უფლებებისთვის ბრძოლაში მხარს უჭერს მოსახლეობა მეზობელი სოფლებიდან. ქოპორტის აქცია ამგვარი სოლიდარობისა და ურთიერთგაგების ნათელი მაგალითია. მლაშეში საძოვრისთვის ბრძოლის მაგალითი კი აჩვენებს მიწის უფრო ფართო მნიშვნელობას, ვიდრე მის მხოლოდ ეკონომიკურ დანიშნულებას. ეს პროტესტი და ნარატივები მის ირგვლის აჩვენებს მიწასთან ადგილობრივების განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა და მიჯაჭვულობას, რომელიც თანაბრად უკავშირდება ტრადიციებს, წინაპრების პატივისცემას, ადგილობრივ ეკონომიკებსა თუ ხეების დარგვის პრაქტიკებს.

34 უფრო მეტი ინფორმაციისთვის ფორმალურისა და არაფორმალურის გადახლართულობის შესახებ იხ.: Darchiashvili, Mariam, and Elene Gavashelishvili. „Entanglement of the Formal and Informal in Everyday Surrogacy Negotiations: The Case of Georgia.“ *Studies of Transition States and Societies* 15, no. 1 (2023).

ჯგუფი მკვლევრებისა თანხმდება იმის შესახებ, რომ ნეოლიბერალურმა რეფორმებმა და კანონებმა ინდივიდები დაუცველ მდგომარეობაში ჩააყენა მიწები დაცვასთან დაკავშირებული უფლებების და შესაძლებლობების კუთხით; შეიქმნა უთანასწორობა მკვიდრ მოსახლეობებსა და ძლიერ და მდიდარ ორგანიზაციებს შორის (Izumi 1999; Cotula 2016; Millar 2016). ეკონომიკური და საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე მოირღვა დაცვისა და კეთილდღეობის სისტემები ადგილობრივი მოსახლეობებისთვის და უპირატესობა მიენიჭათ მათ, ვისაც მეტი ფინანსური საშუალება და რესურსი აქვს (Izumi 1999; Povinelli 2020).

Giorgi Meladze\* Mariam Lortkipanidze\*\* Malkhaz Nakashidze\*\*\*  
Lasha Shainidze\*\*\*\* Giorgi Chitidze\*\*\*\*\*

# COMMUNITY POLICING REFORM IN POST-SOVIET GEORGIA: DECODING THE PERSISTENT CHALLENGES THROUGH SOVIET LEGACIES

## ABSTRACT

Police reform has always been on the reform agenda in independent post-soviet Georgia. Still, after the “Rose Revolution”, the reform gained momentum and was promoted to top priorities. The police suffered a significant lack of trust during Shevardnadze’s presidency due to the association of that institution with corruption, violence, and organized crime, police. One should also consider the heavy influences of the Soviet period on the culture of policing.

Supporters of reform have always stressed the importance of transforming totalitarian police into a democratic institution, and various experiences have been examined to address the challenge. This article looks at the community police reform carried out in 2017 as one of the features of democratic policing and conceptualizes the essential characteristics of the reform.

It has been argued that political actors, lack of finances, lack of a professional cadre, and so forth could have helped the effective implementation of the reforms. This study argues that Soviet legacies could also potentially affect the establishment of democratic policing in Georgia, and one should not overlook this factor when dealing with the subject. While our study does not assess the actual impacts of these legacies, it introduces legacy arguments. It suggests considering it as a fac-

---

\* Associate Professor of Law, Ilia State University.

\*\* Public Policy analyst, Constitutional Law Researcher.

\*\*\* Jean Monnet Professor in Law, Batumi Shota Rustaveli State University.

\*\*\*\* LL.M. Student, Batumi Shota Rustaveli State University

\*\*\*\*\* Visiting Professor of Law, Ilia State University

